

ლიტერატურული გაზეთი

№16(152) 4-17 სექტემბერი 2015

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დათო ტურაშვილი

რატომ არის თოვლი თეთრი

II-III

დათო მალრაძე

CURRICULUM VITAE

IV

პაატა ნაცვლიშვილი

შესაპრებთა ბადანაცვლება

VIII-IX

სოსო მეშველიანი:

„ასე გამიბატა ლექსმა“

XIV-XV

ჯარჯი ფხოველი

ჩემი არნივი

შავი ქარცივი: კენესა ქარწვიმის...
შავი ყორანი: ჩემი არნივი...

ის არნივების კლდე-ბუდეში გაზარდა დედამ,
დედაყორანმა და ასწავლა მარტოობა:
არნივული ერთადერთობა...

იმისი ფრენა ყაშყაშია,
ღრუბლებს რო აფრთხობს...
იმისი ცა ლაყვარდია, თვალუნიერი:
ამ ცაზე ძველი ვარსკვლავების სეტყვა ინამა...
დაინერა თვალის გუგებზე
სამყაროთა დიდი დარდის მეტაპოემა...

ჩემი არნივი რო დავარქვი,
ვიცი, აღარ გაუკვირდება...
ეს სახელი ედგარსაც ხომ გულზე ეხატა:
თუმცა არა თქვა,
მაგრამ მალე დაიჯერა
მისი გულის ერთადერთობა...

ედგარიც ხომ არნივი იყო!
ამერიკის პრერიებში
კლდე-ბუდეში გაზარდა დედამ...
არნივი იყო: სხვა ლაყვარდებს იზეპირებდა
და კაცის თვალი ვერ წვდებოდა
იმის იროს...
იმის ფრენას ციხიქითურს,
იმის კენესას:
საღვთო სიტყვებს:
ვარსკვლავების მეტასტრიქონებს...

წმინდა ვაჟაც ხომ არნივი იყო!
არნივი, ვიცი, შენ ეს აღარ გაგიკვირდება...
შენი ფრთით წერდა
ჩარგლის ხეში თავის სიმღერებს...
აქ სტრიქონებად გადაადნო შენი ყრანტალი!

ის არნივი ხარ,
ვარსკვლავ-სეტყვის ანასხლელი
კვერცხიდან რო გამოიჩეკა,
კლდე-ბუდეში რო გაგზარდა დედამ,
შავი სამოსით რო შეგმოსა
სამყაროთა წარღვნის წინაღულს...

შავკლდე-ბუდეში გაგზარდა დედამ:
დედაყორანმა
და არნივის გული ჩაგიდგა...

ეხლა ჩემი არნივი ხარ: შავი არნივი...

და ცხოვრებაც შავი კლდე არი
და შენ იმისი ბუმბული ხარ: პოეტის გულმა
დაგიტავისა,
როგორც სიტყვა თავდაპირველი,
როგორც კენესა, ციხიქითური!

ბებრისციხელას ურევია შენი ცრემლები,
ყოველდღე რო ვსვამ:
თან შავი კლდის კენესას ვაყოლებ!
შენი ცრემლით ინერება მეტალექსები...
შენმა სიტყვებმა და შენმა კენესამ,
ყრანტალი რო დაარქვა ხალხმა,
მე დამანახეს სამყაროს ბოლო –
წამი,
როცა დაავინყდა ადამიანებს
გული: პოეტის ერთადერთი ფეხმოსაკიდი!..

შავო ფრინველო,
სისხლში წანართობ ნისკარტით მეტყვი
სიტყვებს, რო მოგაქვს
შუალამის ვარსკვლავების დედაენიდან...

ეს სიტყვებია: მაშინ ედგარს რო დაუტოვე,
ეს სიტყვებია: წმინდა ვაჟას რო დაუტოვე:
შავი ოქროს შავი კენჭები...

და კიდევ უნდა გავიმეორო
ძველისძველი ჭეშმარიტება,
რომ არნივია ჩემი ყორანი:
ის სამშობლოს ცხელი ცრემლით
გაზარდა დედამ:
დედაყორანმა,
ვისი კენესაც ურევია მეტასტრიქონებს,
შავი არნივის ფრთით რო ვწერდი,
ამ ქალაქის უდაბნოში
რო ვხატავდი შუალამის შავი ცრემლებით...

V

ვის როგორ და, წითურ ბიჭუნას,
სიმინდის მარცვლებით სავესე პატარა
ტომსიკის ასჯერ აკენწვლა რომ შეე-
ძლო გინდა მარჯვენა და გინდა მარ-
ცხენა ფეხით, დიდების ბურთაობის
ყურება კარის უკნიდან უყვარდა.
დიდუბის იპოდრომზე წვრილი თოკე-
ბისაგან დაწვულ ბადეებს მხოლოდ
მაშინ ამარჯებდნენ კარის ძელებზე,
როცა ერთმანეთს სხვადასხვა ქალა-
ქის გუნდები ეჯიბრებოდნენ; კირი-
თაც მაშინ ხაზავდნენ მოედანს და
მსაჯობასაც ერთის ნაცვლად სამი
კაცი სწევდა. ღონივრად დარტყმუ-
ლი, მეკარის მიერ მოუგერიებელი
ბურთის ბადეზე მოხვედრის ხმა
მუსიკასავით, ღამით გაგონილი იდუ-
მალი შრიალივით ჩაესმოდა ბიჭუნას,
რომელიც მუდამ იმ კარის უკან დგე-
ბოდა, მისი რჩეული მობურთავეები
რომ უტევდნენ. ბადეების გარეშე
თამაშსაც ჰქონდა თავისი ხიბლი,
მოუგერიებელ და შორს გაფრენილ
ბურთს მოტანა ხომ უნდოდა; ვერავინ
ასწრებდა გაქცევას და მოთამაშე-
ბისათვის მორბენინებას. დიდი სიამ-
ოვნება იყო კარგად გაბერილი, თას-
მებგადაჭერილი ბურთის ხელში დაჭ-
ერა, რომელსაც ტყავის მკვეთრი
სურნელი ასდიოდა. ბიჭუნას მოსწონ-
და ეს სურნელი და მიაჩნდა, რომ
სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ნამ-

ზაალ სამადაშვილი

იუნკარ ერისთავის ბუცები

დვილი ვაჟკაცური არომატი. მაყ-
ურებლები, რომელთა რაოდენობა
რამდენიმე ათეულს არ აღემატებო-
და და მათ შორის ზრდასრული კაცე-
ბიც ერივნენ, გუნდებთან ერთად
ცალკეულ ფეხბურთელებსაც ირ-
ჩევდნენ საგულშემატკივროდ. ბიჭუ-
ნა მაღალ, მხრებში გაშლილ, თმა-
დატალღულ ყმაწვილს ქომაგობდა,
რომელიც ყველაზე სწრაფად დარბო-
და, ყველაზე ზუსტად ურტყამდა
კარში და ბურთსაც ყველაზე დროუ-
ლად აწვდიდა თანაგუნდელებს. მისი
თამაშით აღტაცებას ისიც განაპი-
რობებდა, რომ იუნკერი იყო, თბილი-
სის ყველაზე ცნობილი სამხედრო
სასწავლებლის კურსანტი. ამ სასწავ-
ლებელში სამხედრო საქმის ბრძო-
ლებში გამონათობილი ოფიცრები,
ხოლო „ჩვეულებრივ“ საგნებს სახელ-
განთქმული მეცნიერები და მწერლე-
ბი ასწავლიდნენ — იუნკერთა სკოლა
მიხეილის ქუჩაზე იდგა და იქიდან
დიდუბის იპოდრომამდე მისვლას,
დიდი-დიდი, ნახევარი საათი სჭირდ-
ებოდა. ისეთი ნავარჯიშევი ბიჭისთ-
ვის კი, როგორც მობურთალი

იუნკერი გახლდათ — ამ დროის ნახ-
ევარი. ვინრო და ხალხმრავალი
სავაჭრო რიგის — „პასაჟ კროშკას“
— ავლისას თუ შეფერხდებოდა კაცი,
თორემ მერე, ელისაბედის ქუჩაზე
თავისუფლად შეიძლებოდა სწრაფი
ნაბიჯით სიარული. სპორტული ფორ-
მა — გულამოღებული მაისური, გრ-
ძელი, გვერდებზე ზოლებჩაყოლებუ-
ლი ტრუსი და ფეხბურთის მოთამაში-
სათვის ყველაზე აუცილებელი რამ,
ბუცები — იოლად ეტეოდა მხარ-
ილივ გადასაკიდებელ, აბგასავით
ჩანთაში. იპოდრომს გასახდელი
ჰქონდა, ქვის პატარა, უფანჯრო შე-
ნობა, სადაც ჟოკეები იცვლიდნენ
ხოლომე ტანსაცმელს არასაფეხბურ-
თო დღეებში. ისინი ძალიან განსხ-
ვავდებოდნენ ათლეტური აღნაგობის
მობურთალებისგან. ტანმორჩილი,
მკვირცხლი კაცები — მაღალყელიან,
წვივებზე შემოტყევილ ჩექმებსა და
დიდწინაფრიან კეპებში — საახალწ-
ლო ნაძვისხის სათამაშოებს, კალის
ჯარისკაცებს ჰგვანდნენ. წითური
ბიჭუნა არც ცხენების რბოლებს აკ-
ლდებოდა და არც გამამხნეველებ

შეძახილებს იშურებდა წინასწარ
შეთვალთვლებული ბედაურები-
სათვის, მაგრამ ფეხბურთს ვე-
რაფერი შეედრებოდა — თითქმის
ყველაფერი აინტერესებდა ამ არა-
ჩვეულებრივი თამაშის, მათ შორის
მატჩისწინა სამზადისი — გასახდელ-
იდან გამოსული ფეხბურთელები მინ-
დორზე რომ მოკალათდებოდნენ და
ბუცების ძირებზე გლუვთავიანი კბი-
ლანების მიხრახვნას რომ შეუდგე-
ბოდნენ. ბიჭუნას „ჯილას“ ამ სა-
ქმეშიც არ ჰყავდა ბადალი — ყველა-
ზე სწრაფად და ყველაზე მოხერხეუ-
ლად ირჯებოდა, ცერა და საჩვე-
ნებელ თითებს შორის მოქცეულ კბი-
ლანას სამი, ან ოთხი მოტრიალებით
სვამდა ბუდეში და ფეხზე წამომდ-
გარი მოკლე გარბენით ამონებდა
მათ სიმყარეს, თუ როგორ ეჭიდებო-
და მიწას ორივე ძირი. ასეთ დეტა-
ლებს და თავად მატჩების ყველაზე
საინტერესო ეპიზოდებს ბიჭუნა მერე
თანატოლებს უყვებოდა და ეს ისე
კარგად გამოსდიოდა, რომ მსმენელი
ყოველთვის მრავლად ჰყავდა... გინ-
და შინ, აივნებიან ეზოში და გინდა გა-
რეთ, სკოლის დერეფნებში.

VI

ისპანელმა მწერალმა და მეცნიერმა, ხაბიერ ფერნანდეს პანადერომ, რამდენიმე წლის წინათ, ზუსტად ასეთი სახელწოდების წიგნი გამოსცა და იმ წიგნში ზუსტად ისეთი შეკითხვებს მოუყარა თავი, ბავშვებს რომ ყველაზე მეტად აწუხებთ. მართალია, ბავშვებს უამრავი შეკითხვა უჩნდებათ, მაგრამ უფროსებს, სამწუხაროდ, ყოველთვის არა აქვთ ზუსტი პასუხები პატარების შეკითხვებზე და პატარებიც (იქნებ სწორედ ამიტომ) ხშირად ტირიან.

ყოველ შემთხვევაში, პირადად (რაც დანამდვილებით მახსოვს) სწორედ იმ დღეს ვიტყვი, როცა პირველად გამიჩნდა უპასუხო შეკითხვა და საბავშვო ბაღის მასწავლებელმა, უბრალოდ, ვერ ამიხსნა, თუ რატომ იყო თოვლი თეთრი. აღმზრდელმა ის კი გვითხრა — შეხედეთ, როგორი თეთრი თოვლი მოდისო, მაგრამ რატომ იყო თოვლი ასეთი თეთრი (და არა მაგალითად, წითელი), ველარ გაგვგებინა და მეც ტირილი დავიწყე. მე, ალბათ, უფრო იმიტომ ვტიროდი, რომ იმ დღეს დედაჩემმა ჩემს წასაყვანად მოსვლა დაავიანა და დღის ბოლოს იმ ბაღში მხოლოდ მე დავრჩი. მახსოვს როგორ ვიდექი მარტო, ახლოს ფანჯრის, რაფასთან და ცრემლიანი თვალებით გავეყურებდი გაყინული ფოთლებით სავსე ეზოს, სადაც ძალიან ნელა ეშვებოდნენ თოვლის დიდი ფანტელები. შეიძლება იმ საღამოს (სინამდვილეში) იმიტომაც ვიტყვი, რომ დედაჩემის მოსვლამდე (ისე დაივიანა, რომ) ჩავისვარე კიდევ და, ეტყობა, თან ამის მრცხვენოდა, თან დედა მენატრებოდა (თანაც ძალიან) და ჩემად ვტიროდი...

ავტობიოგრაფიის წერისას, პირველ რიგში (მაშინვე), სწორედ ეს ეპიზოდი გამახსენდა (ჩემი შორეული ბავშვობიდან), მაგრამ ისიც ვიფიქრე, შეიძლება მიხეილ ზოშენკოს ბრალიც იყო, რომ ტვინში სწორედ ის კადრი ამოტივტივდა, რომელთანაც ჩემი პირველი ტკივილია დაკავშირებული. თუმცა მახსოვს უფრო ადრინდელი ეპიზოდიც იმავე საბავშვო ბაღიდან, როცა აღმოვაჩინე რაღაც განსხვავებულმაგვარი ბიჭებსა და გოგონებს შორის, რადგან გვაიძულებდნენ, რომ ყველას ერთდროულად, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოგვესაქმებინა. ვისხედით ხოლმე ეგრეთწოდებულ ლამის ქოთნებზე (ოღონდ დღისით) და ეს იყო კიდევ ჩემი პირველი შეხება საბჭოური ტიპის კოლექტიურ აზროვნებასთან. სხვათა შორის, დაახლოებით იმავე ასაკიდან, მახსოვს კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა, როცა ერთ ზაფხულს ბებიჩემმა სოფელში წამიყვანა და კოლმურენოების წევრებს ხმამაღლა ვავიხე. შეუძლებელია, რომ მაშინ, იმ ასაკში, ინტუიციით მანაც მივმხვდარიყავი, თუ რამდენად ბოროტი ან კეთილი მოვლენა იყო საბჭოური კოლექტივიზაცია და, როგორც ჩანს, უბრალოდ, სადაც გაგონილი ფრაზა გავიმეორე. ოღონდ ეს არ იქნებოდა ჩვენს სახლში ნასწავლი გინება, რადგან ჩემი მშობლებისგან არასოდეს მომისმენია ხმამაღლა გამოთქმული საბჭოთა ხელისუფლების აუგი. მეტიც, უკვე სიჭაბუკისა და სტუდენტობის წლებში, როცა ანტისაბჭოურმა მოღვაწეობამ მეც გამიტაცა, ისინი ყოველთვის მირჩევდნენ, რომ არ დავებრისპირებოდი მაშინ არსებულ რეჟიმს თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. თუმცა ჩემს ძვირფას მშობლებს ყოველთვის არ ვუჯერებდი (სამწუხაროდ) და ასეთ შემთხვევებში კი ბებიჩემი ჩემზე ამბობდა ხოლმე — მაინც უკუაფრეს გაავიხეებო, ხომ იცით რომ შეუღლებართათაო. თავიდან ეს უბრალოდ სალანძღავი გამოთქმა მეგონა, მაგრამ მერე (მოგვიანებით) ისიც აღმოვაჩინე, რომ თბილისის ერთ-ერთ სამშობლოში, მართლა უკუღმა, ფეხებით დავიბადე. დედაჩემსაც ისეთი რთული მშობიარობა ჰქონია, რომ მეთ-გინეკოლოგს ჩემზე უთქვამს კიდევ — ამ უკუღმა დაბადებულისგან რა უნდა გამოვიდეს, იქნებ გადაჩენადაც არ ღირდეს და მშობელსაც ტყუილად ნუ ვანვალბებო. ჩემს მშობელ დედას კი მაინც დაჟინებით მოუთხოვია ჩემი გადარჩენა და სხვა გზა რომ აღარ დარჩენიათ, ფეხებითა მოუხერხებიათ ჩემი გამოყვანა.

არ ვიცი, ამის ბრალი იყო თუ კიდევ სხვა რამ მიზეზის, მაგრამ თურმე კარგა ხანს, თითქმის შეიძლება ითქვას, ვეღარ ვიხსენებდი, რომ მამაჩემმა ლოგოპედთან წამიყვანა, რომელმაც მამა ლიმბით დაამშვიდა

— ეს ბავშვი იმიტომ არ ლაპარაკობს, რომ ფიქრობსო. იმ ლოგოპედმა, რასაკვირველია, იხუმრა, მაგრამ ჩემი უმარტივესი გათვლებით და ვარაუდით ისე გამოდის, რომ შეიძლება მხოლოდ ვიგინებოდი (ისიც ძალზე შეზღუდულად) და სხვა თემებზე საუბარი არც კი შემიძლო. ჩემი მშობლებიც სწორედ ჩემს დუმილს განიცდიდნენ სანამ ვდუმდი, მაგრამ მას შემდეგ რაც ავლაპარაკდი, რასაკვირველია, ჩემი ამეტიყვევება უფრო პრობლემატური აღმოჩნდა მათთვის და არა მხოლოდ მათთვის. ჩემთვისაც, ძალიან ბევრჯერ, ძალიან ბევრი ზიანის მომტანი აღმოჩნდა ჩემი მთავარი სისუსტე, რომელიც დღემდე ჩემი თანამდევნი თვისებაა, რადგან დღემდე ვერ ვისწავლე დუმილი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ვისწავლე და მათ შორის ისეთი მოთმინებაც, რომელიც არასოდეს მქონია.

პირველად ისიც კი ვერ მოვითმინე, რომ სადაც შორეულ ამერიკაში ინდიელებს ჩაგრავენდნენ (როგორც საბჭოთა პროპაგანდა გვინერგავდა მონდომებით)

მერე წერაც დავიწყე, შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ თვითონვე შემექმნა ისეთი სამყარო, სადაც ყველაფერი ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული და, ალბათ, ამას მაშინ მხოლოდ ინტუიციით ვგრძნობდი და თავიდან მხოლოდ სიამოვნებისთვის ვწერდი. ჩემი თანაკლასელი გიო ახვლედიანი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა (იმავე მერხთან), აგრეთვე წერდა თავის პირველ მოთხრობებს (იმავე ასაკიდან თითქმის) და ახლა იმ ჩემი ბავშვობის მეგობარს, აკა მორჩილაძის ფსევდონიმით უფრო იცნობენ.

პატარები კი ვიყავით, მაგრამ ძალიან მალე მივხვდით, რომ რასაც ჩვენ ვწერდით, იმას არავინ დაბეჭდავდა მაშინ და ხელნაწერი უფროსის გამოცემა დავიწყეთ. უფრო სწორად, იმ ხელნაწერ გაზეთს გიო გამოსცემდა, ჩვენ კი მის დახმარებას ვცდილობდით და ახლაც მგონია, რომ იმაზე უკეთესი გაზეთი საქართველოში მერე არც შემხვდრია...

ის გოგო კი, რომელიც ჩვენი სკოლის ეზოში შემხვდა პირველად და მაშინვე მო-

პირველად ვაკოცე კოჯორში გაცნობილ ჩემზე მალაღ გოგოს, რომელიც ფიჭვის ძირას იდგა, ავინი ფეხისწვერებზე და რატომ გავუბედე ტუჩებში კოცნა, ახლაც არ ვიცი. სამაგიეროდ ზუსტად ვიცი, რომ ეს მოხდა სწორედ იმ ზაფხულს, როცა მეშვიდე კლასი დავამთავრე და მშობლებმა ბანაკში გამაგზავნეს, რომელიც ძალიან ახლოს იყო იმ სახლთან, სადაც არამ ხაჩატურიანი იზრდებოდა. ბანაკს ალბათ პიონერული კი ერქვა, მაგრამ სახელის შესაბამისი იქ თითქმის არაფერი ხდებოდა, რადგან საბჭოთა საქართველოში თითქმის ყველაფერი ფორმალური იყო და მათ შორის ბანაკებიც.

რაც შეეხება ჩემს პირველ სექსს, ეს უკვე მოგვიანებით, ერთი წლის შემდეგ მოხდა, თუმცა არა საქართველოში, არამედ ჩრდილოეთკავკასიურ კურორტ ესენდუკში და თანაც ეს იყო არასრული, ამკარად ფრაგმენტული და მხოლოდ ზედაპირული სექსი. მართალია, ის გოგონა ქართველი და ასაკითაც ჩემზე უფროსი გახლდათ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე, ალბათ, იგივე სითამამეს, ვერ გამოიჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მორცხვობისა და უტოლდინარობის გამო, სხვა გზა არც ჰქონდა.

პირველი შემოსავალიც ტკბილი იყო და უფრო ადრე იყო, ვიდრე წერით მოპოვებული ჩემი პირველი ჰონორარი. პირველი შემოსავალი ფეხბურთით მოვიპოვე და მოგებულს სულ სხვა გემო ჰქონდა, მაგრამ იგი არც ისე რეგულარული აღმოჩნდა, როგორც თავიდან მეგონა, რადგან ვისაც ვუგებდით, ხშირად, ჩვენი უბნელები იყვნენ და „გარასხოდებზე“ უარის თქმა ძალიან მიჭირდა ხოლმე.

რასაკვირველია, ჩემს ავტობიოგრაფიასთან კავშირი არა აქვს ქვემოთაქმელს, მაგრამ რადგანაც ჩვენი უბანი ვახსენე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი თანატოლი უბნელების უმრავლესობა უკვე ცოცხალი აღარ არის და ისინი ისევე ემსხვერპლნენ ნარკოტიკებს, როგორც თბილისის სხვა უბნელები, რომლებიც კამიტულაციის გამოცხადების გარეშე დაიბეჭდნენ არეულ ნუთისოფელს. რა თქმა უნდა, ომს, ყველგან დეპრესია შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ის, რაც საქართველოში მოხდა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, იმ თვითმკვლელობას უფრო ჰგავდა, რომელსაც მოსოფლიოში ახალგაზრდა არა აქვს. არსად მოსოფლიოში ასეთი ტიპის გენოციდი საკუთარი თავისთვის არცერთ ხალხს არ მოუწყვია და მითუმეტეს ჩვენსავით მცირერიცხოვანს, ვისთვისაც ყოველი სიცოცხლე ძვირფასი უნდა იყოს. შეიძლება, დაუჯერებელიცაა, მაგრამ ამ პროცესს თვითონ ხელისუფლებაც უწყობდა ხელს უგუნურობისა თუ ანგარების გამო და არც ჩვენი საზოგადოება ცდილობდა, ყოფილიყო პრინციპული და კატეგორიული ამ ბოროტების წინააღმდეგ. ეს ბოროტება მე კი თავიდანვე მძულდა, მაგრამ მასთან დაპირისპირება შეუძლებელი იყო და მხოლოდ ერთეულად გადაურჩნენ ჩვენი დროის ამ საშინელ მტერს.

თავიდანვე არ მიყვარდა ჩხუბიც და არასოდეს ჩემი მიზეზით არ მიჩხუბია და თუ მიჩხუბია, მხოლოდ სხვების გამო და ისიც იშვიათად. მეტიც, იმ ასაკშიც კი, როცა მთელი უბანი საგულდაგულად შეიარაღებული დადიოდა, მე დანაც კი არ მედო ხოლმე ჯიბეში და კონდრატი თათარაშვილივით უიარაღოდ დავაბოტებდი. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ შედეგად უშიშარი ვიყავი, არამედ სწორედ იმის გამო, რაც მოგვიანებით ჩემი ომში არწასვლის მიზეზი გახდა — მეშინოდა, რომ არავინ მომეკლა და არა პირიქით და ახლაც, თითქმის ყველაფრის მეშინია საკუთარი სიკვდილის გარდა.

თუმცა სიკვდილზე ფიქრი ძალიან ადრე დავიწყე და ჩვიდმეტი წლის ასაკში უკვე დაწერილი მქონდა მოთხრობა, რომელსაც „ჩემი გარდაცვალება“ ერქვა და ეს მოთხრობა, სხვებთან ერთად, იმ ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში მივიტანე, რომელიც მაშინ საქართველოში გამოდიოდა ყოველთვიურად და რასაკვირველია, ყოველმხედველს გაბრაზებულმა, იმავე ღამეს, როცა უარი მითხრეს, რომანის წერა დავიწყე და ძალიან მალე დავამთავრე კიდევ, მაგრამ ჩვიდმეტი წლის ასაკში დაწერილი ჩემი პირველი რომანი დღემდე არ გამოიქვეყნებია.



დათო ტურაშვილი

რატომ არის თოვლი თეთრი მოკლე ავტობიოგრაფიული სავარჯიშო

და ჩვენი უბნის ხეებზე ინდიელების დასაცავი პროკლამაციები გავაკარი. ალბათ, საბჭოური პროპაგანდის შედეგი იყო კოსმონავტობაზე ოცნებაც, რადგან ჯერ კიდევ მანამ, სანამ ინდიელების დამცველი გავხდებოდი, კოსმონავტობა გადავწყვიტე. ტელეეთერიდან გამუდმებით გვიდასტურებდნენ კიდევ, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირი, ვიყავით კოსმოსის პირველამთვისებელი ზესახელმწიფო და მუდამ გაღიმებული იური გაგარინიც გულწრფელად მიყვარდა, მაგრამ ისიც ხშირად მესმოდა (უკმაყოფილო უფროსებისგან), რომ ქართველი კოსმონავტი (რატიმლაც) საერთოდ არ არსებობდა. ამიტომაც გადავწყვიტე, პირველი ქართველი კოსმონავტი გამხდარიყავი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ოცნება (საბჭოთა საქართველოში) უამრავ ბავშვს ჰქონდა (ჩემსავით) და შეიძლება ამის გამო იყო, რომ ძალიან მალე ოცნებაც გამიჩნდა. უფრო ზუსტად კი ეს მოხდა 1978 წლის ზაფხულში, როცა არგენტინა-ჰოლანდიის ფინალი ვნახე მოსოფლიო თასზე ფეხბურთში და კოსმონავტობის პარალელურად ფეხბურთელობაც გადავწყვიტე. ის უძილო ღამეებიც მახსოვს, როცა ნათლად ვხედავდი კუთხეებიდან ჩამოსივდივულ ბურთს, რომელსაც თავს ვუხვევდებოდი ნახტომში და მონინააღმდეგე გუნდის მეკარე მხოლოდ თვალს აყოლებდა ცხრიანში გახვეულ იმ კოპლებიან ბურთს. თუმცა ჩემს ბავშვურ ოცნებაში მთავარი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ მე საქართველოს ნაკრების წევრი ვიყავი, მიუხედავად იმისა, არათუ საქართველოს ნაკრები, მაშინ თვითონ საქართველოც (როგორც ცალკე სახელმწიფო) არ არსებობდა.

მქონდა მესამე, უფრო მიწიერი ოცნებაც, მაგრამ არც ამ ოცნებას ეწერა ასრულება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩემი მშობლები ნამდვილად არასოდეს მიყიდ(ი)დნენ მოტოციკლ(ეტ)ს, რომელსაც „ვერხოვინა“ ერქვა.

ვიცოდი, რომ არ მეყოლებოდა, მაგრამ მაინც ვოცნებობდი, სხვა რა გზა და საქმე მქონდა...

მეწონა, ჩვენზე ერთი წლით უმცროსი იყო და ძალიან ლამაზი ფეხსაცმელები ეცვა. მერე ის გოგო თითქმის ყოველდღე მხვდებოდა ხოლმე დერეფანში, კიბეზე ან ფიზკულტურის დარბაზთან, საიდანაც თანაკლასელებთან ერთად გამოდიოდა დარცხვენილი, სევდიანი და ჩაფიქრებული. ამ სევდასა და ტრაგიზმს განაპირობებდა სპორტული რეიტუზი, რომლის ჩაცმასაც მკაცრად გვაკრძებდნენ ფიზკულტურის გაკვეთილებზე. ასეთი რეიტუზების ფასი სულ რაღაც სამი მანეთი იყო, მაგრამ ეს იყო კაცობრიობისათვის სრულიად უცნობი ფერისა და ფაქტურის ნაჭერი, რომლის მორგება და მოხდენა შეუძლებელი გახლდათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იმ შარვალს დაუჯერებლად უშნოდ ებერებოდა გაცრეცილი მუხლისთავები. გოგოებიც იტანჯებოდნენ ცალკე სირცხვილისაგან და ცალკე ტკივილისაგან, რომელიც თან ახლდა მათ აცოცხლანს თოკის ბაგორზე, რაც მეტად რთული იყო. ეს მსხვილი თოკი ჭერზე ეკიდა ხოლმე თითქმის ყველა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში და ფიზკულტურის თითქმის ყველა მასწავლებელი განიცდიდა განსაკუთრებულ სიამოვნებას სწორედ მაშინ, როცა გოგოები იჭედებოდნენ. გაჭედვას მასწავლებლები უწოდებდნენ გოგონების მეტად უხერხულ პოზა-მდგომარეობას ზედ თოკზე, როცა ისინი ველარც ზევით მიინევენდნენ და ქვევით ჩამოსვლაც, სამწუხაროდ, არ შეეძლოთ...

უფრო სამწუხარო კი ის იყო, რომ ჩვენი გაცნობიდან ძალიან მალე ის სამუდამოდ წავიდა ამერიკაში — დედამისი ცოლად გაჰყვა რომელიღაც ამერიკულ გამოფენასთან ერთად თბილისში ჩამოსულ ხელოვნებათმცოდნეს და ეს მაშინ იმდენად იშვიათი მოვლენა იყო, რომ დეპრესია დამეწყა. რასაკვირველია, ეს არ იყო შავი დეპრესია, მაგრამ, როგორც ყველაფერი პირველი, კარგად დამამახსოვრდა.

იმ პირველებს შორის კი განსაკუთრებული მაინც პირველი კოცნა იყო — მივადექი ერთ მშვენიერ დღეს თანაკლასელ გოგონას და ლოყაზე ვაკოცე. ტუჩებში კი



მერე სკოლაც დავათავრეთ და სტუდენტებიც გავხდით. მე ჩავაბარე უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ სრულიად შემთხვევით, რადგან უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება იმ წელს სულ არ მეჩქარებოდა, რომ არა დედაჩემის ცრემლები და მისი აკვიატებული ფრაზა „რა ვუთხრა ხალხს?!“

საბუთების შესატანად უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს მივადექი 30 ივლისს და ეს იყო განაცხადების მიღების ბოლო დღე და ამიტომაც დამხვდა საშინელი რიგები შენობაში, სადაც აუტანლად ცხელოდა. საბუთებით ხელში რამდენჯერმე დავათვალიერე ეს გრძელი რიგები და გადავწყვიტე განცხადების შეტანა იქ, სადაც შედარებით ნაკლები აბიტურიენტი დამხვდებოდა, მაგრამ ასეთი ფაკულტეტის მიგნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

რადგან ადამიანთა უმრავლესობისთვის (საბჭოთა საქართველოში) მთავარი იყო დიპლომი და არა განათლება, ქართველ აბიტურიენტთა უმრავლესობა საბუთების შეტანას უსუსტად ისეთ ფაკულტეტებზე ცდილობდა, სადაც იმ წელს უფრო მცირე კონკურენცია იყო. ამის გარკვევა კი მხოლოდ ბოლო დღეს იყო შესაძლებელი და ამიტომაც აწყდებოდა ხოლმე ამდენი ხალხი უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს სწორედ 30 ივლისს. მეც სწორედ ამ მიზეზით გადავწყვიტე შენობიდან უკან, გარეთ გამოსვლა (როგორც ხელჩაქეულმა აბიტურიენტმა), როცა საბუთების მიმღები ერთ-ერთი ფანჯრიდან სრულიად ჯადოსნური ფრაზა შემომესმა — „ბიჭებო ურიგოდ ვიღებთ!“

ერთი წამითაც კი არ დავეიკრებულვარ, ისე გადავანოდე იმ ქალბატონს ჩემი საბუთები და მხოლოდ ამის მერე ავხედე ფაკულტეტის აღმნიშვნელ წარწერას...

ასე გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და მერე კიდევ ორ უნივერსიტეტში ვსწავლობდი საქართველოდან შორს, სადაც რამდენიმე ფაკულტეტი გამოვიცვალე, რადგან არასოდეს მაინტერესებდა მხოლოდ ერთი საგანი და მხოლოდ ერთი მეცნიერება. მქონდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული გატაცებებიც, მაგრამ ჩემი პირველი და ძველი გატაცება, მგონი, მაინც მთები იყო. ძალიან მიყვარდა მთაში სიარული, თუმცა არასოდეს მქონია ალპინისტური ამბიციები იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მთებისადმი სპორტული დამოკიდებულება არასოდეს მომწონდა. არადა, საბჭოთა კავშირში ალპინიზმიც სპორტული შეჯიბრი იყო და მე კი ყოველთვის მძულდა თანრიგები, მედლები და ორდენები და მთებისკენ გული (სტუდენტობიდანვე) არა სპორტული, არამედ სულ სხვა მიზეზების გამო მიიმჩევდა.

სხვათა შორის, სწორედ იმ ზაფხულს, როცა პირველად გავხდი სტუდენტი, პირველად ვიმოგზაურე საქართველოში და მერე კი რამდენჯერმე ფეხით შემოვიარე საქართველო ჩემს მეგობრებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა სოფელში ვარ ნამყოფი, საქართველოში მოგზაურობა დღემდე არ მგებრდება და როგორც კი ამის შესაძლებლობა მეძლევა, უკვე მერამდენედ მივდივარ საქართველოს აღმოსაჩენად.

სტუდენტობისას, გარდა სწავლისა, ხეტიალისა და სადღეგრძელოებისა, დაკავებული ვიყავი ანტისაბჭოური აქციების ორგანიზებითა და მათში მონაწილეობითაც. თუმცა თავიდან ეს იყო პროზაული დასაწყისი, როცა აღმოვაჩინეთ, რომ გარეჯის უნიკალური მონასტერი საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიგონზე იყო განლაგებული. ჩვენ იქ დავდიოდით ხოლმე თითქმის ყოველი კვირის ბოლოს და ვეხმარებოდით რესტავრატორებს, რომ-

ლებიც კედლის მხატვრობაზე მუშაობდნენ. მაგრამ ეს არ იყო ადვილი, რადგან სამხედროები იქ ზოგჯერ დღისითაც კი გადიოდნენ წვრთნებს და ვიბრაციისაგან ყველაფერი ნადგურდებოდა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა რუსები პირდაპირ ესროდნენ ფრესკებს და ჩვენ დავწერეთ საპროტესტო წერილი, რომელიც მონოდებასაც შეიცავდა გარეჯის გადასარჩენად. თუმცა ის წერილი არსად დავგვიტყდეს საბჭოურ პერიოდიკაში და იძულებული ვავხდით, მიტინგი მოგვეწყო, რომელსაც თავდაპირველად ძალიან ცოტანი ესწრებოდნენ და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ჩვენი მოძრაობა ძლიერი და მრავალრიცხოვანი. მოგვიანებით იმასაც მივხვდით, რომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობა მოგვეთხოვა და ჩვენი ქვეყნის ყველა პრობლემა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს გადაეწყვიტათ. მახსოვს ის სიჩუმეც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ტრიბუნიდან პირველად წარმოვთქვი სიტყვა თავისუფალი საქართველოს შესახებ და იმ დარბაზში მსხდომი ადამიანების უმრავლესობას, უბრალოდ, სუნთქვა შეეკრა.

საბედნიეროდ, ახლაც იგივე იდეალები მაქვს, რაც ახალგაზრდობაში მქონდა (პოლიტიკური თვალსაზრისით) და ახლაც ვოცნებობ დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოზე, სადაც სახელმწიფოსთვის სახელდახელოდ დაგებული ასფალტს თუ ნვალებით ამოშრობილ ქაობზე მნიშვნელოვანი იქნება რიგითი ადამიანი. მინდა, ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, სადაც კანონის უზენაესობა ყველასთვის ერთნაირად იარსებებს, სადაც ადამიანთა უფლებებს ყველანი ერთნაირი მონდობებით დაცვენ და ქვეყანაში იქნება სამართალი...

უსამართლობას (სხვათა შორის) ბავშვობიდან ვერ ვიტანდი და ყოველთვის მათ მხარეს ვიყავი, ვისაც ჩაგრავენ და ახლაც მახსოვს, როგორ ვიტყვი ბავშვობაში, როცა პირველად წავიკითხე ვაჟა-ფშაველას ლექსი „ის კი არ არის ბიჭობა“. მერეც ბევრჯერ მიტირია და მაშინაც კი, როცა უკვე პატარა აღარ ვიყავი, თვალებში სისველე მხოლოდ იმიტომ მიგრძენია, რომ ადამიანები უსამართლოდ იქცეოდნენ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრჯერ მიგრძენია ძალიან დიდი ტკივილიც, ძალიან ახლობლებისგანაც კი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, რომ ყველაზე უკეთ სწორედ მათ მოვქცეოდი. მაგრამ ტკივილმა დარდი იცის, დარდმა კი — დაგროვება და ჯერ მქონდა კლინიკური სიკვდილი, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ჩვეულებრივი სიკვდილი, რომელსაც ჩემი თვითმფრინავით გადაყვანა დასჭირდა სტამბულში, სადაც ფენერბახჩეს კარდიოლოგიურ კლინიკაში ხელმეორედ დავიბადე. ამიტომაც სტამბული მშობლიური ქალაქივით მიყვარს და მენატრება ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ჩემს ძალიან დიდ ტკივილთანაც არის დაკავშირებული.

როცა ოპერაციიდან მეშვიდე დღეს

აზროვნების უნარი დამიბრუნდა, მივხვდი, რომ ვეღარასოდეს მოვწვედი სიგარეტს და იმაზე ფიქრი დავიწყე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო სიგარეტის ალტერნატივა და აღმოვაჩინე, რომ სიგარეტს ვერაფერი შეცვლის ჩემს ცხოვრებაში და ამ აღმოჩენამ გამანადგურა. აღმოჩნდა, რომ ვარ ისეთი პრიმიტიული არსება, რომელსაც არ შეუძლია იმაზე უფრო საინტერესო და სასიამოვნოს მოძებნა ამ სამყაროში, ვიდრე სიგარეტის მოწვევა და შავი დეპრესია დამეწყო. ეს კი გრძელდებოდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში და ერთი წელი ვინეტი და ვფიქრობდი, რატომ არის თოვლი თეთრი და როგორ შეიძლება, ადამიანმა თავი დააღწიოს ხანგრძლივი ნარკოზის გავლენას ნამღების გარეშე. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი და ამიტომაც კარგა ხანს ვიღებდი დამამშვიდებელ მედიკამენტებსა და ანტიდეპრესანტებს და კარგა ხანს მეგონა, რომ ამ მხრივაც ვეკუთვნოდი უმცირესობას, მაგრამ შევცდი. იმ ბოლო მიტინგზე (ძალადობის წინააღმდეგ), რომელშიც ათასობით ადამიანთან ერთად მივიღე მონაწილეობა, წამლის დაღვევის დრომ მომიწია და პირდაპირ რუსთაველზე ამოვიღე ჩემი აბი და წყალც მივყოლე. ჩემს გვერდით მდგომმა გიორგი ასანიშვილმაც იგივე გააკეთა და მერე დანარჩენებსაც ხუმრობით მიმართა — ვისაც წამლების მიღების დრო გაქვთ, არ დაგავინყდეთ და საოცრება მოხდა, ადამიანებმა მასიურად ამოიღეს გადახახული ტაბლეტები. გიორგი, რომ უმრავლესობას (იმ ათასობით ადამიანს შორის) ჯიბეში ედო ერთი დიაზეპამი მაინც და ეს საყოველთაო ნევროზიც საერთო ბიოგრაფიის ნაწილია, რომელიც თავის ქვეყანასთან ერთად ადამიანებს დარდივით ერგოთ საქართველოში. ჩემი მთავარი დარდი, რის გამოც საშინელ სინანულს განვიცდი ხოლმე, ის რამდენიმე ადამიანია, ვისაც სხვადასხვა დროს ვაწყენინე და თავს იმითლა თუ ვიმშვიდებ, რომ ეს მხოლოდ უნებელი შემთხვევები იყო და ავი განზრახვა არასოდეს არავის მიმართ მართლა არ მქონია (ერთხელ, მაგალითად, სტუდენტობის დროს, ისე ცუდად ვიხუმრე თენგიზ სიღამონიძის ლიტერატურულ საღამოზე, რომ ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც, როცა რაღაც ცუდი შემართება, მისი გაკვირვებულ სახე მახსენდება და ახლაც ბოდიშის მოხდა მინდა ხოლმე).

თუმცა დარდების გარდა, ბევრი სიხარულიც მქონია და მაქვს, რადგან მყავს ძვირფასი მეუღლე მაკა კეკელიძე, რომელიც ზუსტად ისეთს მიძლევს, როგორც ვარ და მყავს სამი ქალიშვილი: ანა-მარიამი, ლიზარაზუ და სოფიო...

P.S. სინამდვილეში არც დრო მქონდა (საკმარისი) და არც სურვილი საკუთარი ცხოვრების აღწერისა, მაგრამ ახლა, როცა დავასრულე, მივხვდი, ავტობიოგრაფიის დანერა ერთგვარი სასარგებლო საგარეჯიშოცაა იმაში დასარწმუნებლად, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეიძლება, ვერც კი მიხვდე, თუ რატომ არის თოვლი თეთრი...

თამარ იაშვილი ქარცემულ ბაღში მოპრიალე ხე მინდა ვიყო...



„ღღეს ლანდი ვნახე ზაზა თვარაძის...“ ქუჩას მიუყვება, მიდის და ფიქრში, ალბათ, სიტყვებს მიათამაშებს, სიტყვებს, რომლებიც არც წერია და არც წარმოითქმება, მაგრამ ისინი არსებობენ და მსუბუქად ლივლივებენ ჰაერში. არსებობენ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რადგან „სიტყვა ცოცხალია“. ზოგი მათგანი მანათობელი და გამჭვირვალეა, ზოგი — მკვეთრად მოცახცახე, ზოგიც დღის სინათლეზე გამუდმებით იცვლის ფერს, შეუცნობელ სურნელს აფრქვევს, ლანდივით ფუთფუთებს ან ნისარს ნაკადივით მიიწვევება. მათი უმრავლესობა თევზს ჰგავს, რადგან ის ფიქრობს, რომ „სიტყვები ზღვის ფსკერზე იბადებიან“, იქ, სადაც „წყალი მუქ-მწვანეა და ფოსფორ-ესცენცირებული“, იქ, სადაც „ჩანოლილა მარადიული მანათობელი ღამე“.

სიტყვები თევზებზე მსუბუქად დაცურავენ ჰაერში... და ისიც, მონუსხული ამ მართლაც ზღაპრული და არნახული სანახაობით, ისე შეჰყურებს სიტყვებს, როგორც ოქროს თევზებიან აკვარიუმს. ოქროს თევზს კი შეგიძლია, სურვილიც ჩაუთქვა და თუ შენი გული სუფთაა, უთუოდ აგისრულდება. და ესეც რომ არა, თევზს თუ მშიერ ადამიანებს გაუნანილებ, დააპურებ მათ. და ბოლოს და ბოლოს, შეგიძლია, სიტყვა — თევზები ტექსტებად აქციო, შენი საკუთარი სამყარო შექმნა და სხვაც შეიპატორო.

ამ სამყაროში კი ხშირად სიტყვები „ფოთლებივით იფანტებიან ჩუმი შრი-ალით“ და ქუჩა ემსგავსება „შემოდგომის ქარცემულ ბაღს, სადაც ჭადრის ნითელ-ყვითელი, მენამული, ვარსკვლავისებრი, ხმელი ფოთლები ნისლიან ჰაერში იფანტებიან და ცვივიან, თითქოს მთელი ცა დაბლა მოცივია...“ მან კი ფოთლებში მკლავები უნდა შეარხიოს, როგორც ქარში მდგარმა ხემ, რომ სიტყვები მოიხელოთ, ერთმანეთს მიაბას და ლექსებად აქციოს... მერე მისი მეგობარი პოეტი ამ ლექსებს ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში მოიტანს (სწორედ იქ მუშაობდი იმჟამად), გამოქვეყნდება („ლიტერატურა და სხვა“. 1991 წლის აპრილი), შემდეგ დაქვევებული იკითხავს კიდევ — მართლა მოგვეწონა თუ მეგობრობის ხათრით დავუბეჭდეთ. მაინც „გარისკავს“ და ნელ-ნელა მოთხრობებსაც გამოამზეურებს... მანათობელი, ჯადოსნური სიტყვების საიდუმლოს კი სულ ბოლოს გავგიმხვლს.

მანამდე ბევრს ივლის ნაცნობი თუ უცნობი გზებით, რათა ჯერ თავად აღმოაჩინოს, განიცადოს სიტყვების ჯადოსნური ნათება, ჯერ უამრავი აზრი სიტყვებად უნდა გადმოაფრქვიოს, იდაოს, იკამათოს მეგობრებთან, ფსიქოლოგიურ ნიაღვრებს მიმართოს ან სულაც თავისებურად „იფილოსოფოსოს“. მერე კი წეროს, წეროს, წეროს... რომ გარდაცვალების შემდეგ ხესავით იშრიალოს, იმ უცნაური ხესავით,

დასასრული მე-7 გვერდზე





დათო მალრაძე

921-ში ცა რომ მოიქუფრა,
ქალთა პანსიონის მღერდნენ გოგონები:
„ისე ხარობს“ — ნაცვლად,
„ისე გლოვობს ტურფა
ჩემი ქვეყანაო“ — ბებო იგონებდა.

ევროპა გერბს წერდა,
ალბათ ჰიმნს — აზია...
მრეელი კი გალობდა
ციმციმზე სანთლების,
...უნინ პაპაჩემის იყო გიმნაზია,
ახლა სამინისტრო არის განათლების.

— რაც დრო გადიოდა,
მით უფრო,
მით მეტი
დავღვარეთ
ცრემლი და
სისხლი და
ოფლიო...
— ამბობდნენ ძველები, რომ ოცდაჩვიდმეტის
ჭრილობას თან მოჰყვა მეორე მსოფლიო...

თუმცა გაიბზარა, რაც ერთხელ გამთელდა
და ახლა სიმართლე გამხდარა სადაო,
მისმინე, მოვსულვარ,
სტრიქონით ქართველთა
პრანჭვა და ფარცქვალი რომ გავასადაო.

ულექსო წუთები დროს გამოვაკელი,
ვწერდი და სალამოს მელოდა ბარი ტონ-
იკით და
ჯინით და
თამბაქოს ეკალით
ჩემი ხმა მიადგა გაბზარულ ბარიტონს.

ენუხვარ, რომ ვერ შევძლებ ტაძარში გალობას,
თუმცა ზებეში, ჯვრის ფიცრის განივის
ვინახავ მონატებს —
იესოს წყალობას,
ვხრიალებ შაბათის ჩაჩხილ კრავივით.

ჩემს სიტყვას მავანი სხვაგვარად განმარტავს,
ვინ ჩემი განკითხვით, ფიქრობს რომ მწვერვალობს,
ამ ბოთლს რომ გამოვცლი,
გემოს კი არ ვატან,
ვცდილობ, რომ დის საფლავს
ბოთლში დავემალო.

...ეს ღამის კლუბია, კვამლით შებოლილი...
ის ჩვენებური ჩანს, არა ჰგავს ასასინს,
ეს ქალი თან მიცქერს, თან დედიშობილობს.
— ძმობილო, მოგვხედე,
დაასხი ას-ასი!

— ულექსოდ სამყარო იქნება კარცერი,
ერთხელ მივევებოდი ქუჩას და ... მალე ლო-
ცვასავით აფიშამ მომნახა, წარწერით:
— მოდი, მოიცალე
ლექსისთვის, გამვლელი!

და თითქოს გაისმა წყაროს ხმა გუბეში,
ვიგრძენი ვარსკვლავის წკრიალი ღამეში,
აზიურ ფიცარზე
ნათება დუ-ბემის,
შამპათის ღიმილი კარზე გილგამეშის.

ლექსების რვეულის მოხვიე ფურცელი
და ღამით მორიგე აფთიაქს ვეძებდი,
აფიშის წარწერა დავტოვე უცვლელი,

მედღას გაუწოდე,
ვით წამლის რეცეპტი.

და ლექსის ფორუმზე მსურს ვფეთქო თოფი, ცერ-
ბერი რომ დავაფრთხო
და ცეცხლი გავყარო...
როგორც თადარიგის შეჭვერის ოფიცერს,
ნიშნად, რომ პოეტი შემოვრჩი სამყაროს.

და ეჭვის სიმძაფრის გემოს ვგრძნობ სასაზე,
დროს თუ გავასწარი...
და ჩემი დრო თუა...
ბორბლების ნივლით გავრეკავ ტრასაზე
და დროს კი დროულად დავუთმო ტროტუარს.

დროს უნდა სიცოცხლე,
დროს უნდა რევანში,
რადგან უდროობას მე ხელი შევახე
და როგორც მზის სხივი ჩავდექი მტევანში,
ვუძღვნი სიმფონიას რქანიტელ ვენახებს.

და ვწერ სიმფონიას ბოსფორის ნიავის
შესახებ, რომელიც მე მიძღვნა თოლიამ,
ფრთების მარათა ახლოს ლოლიავით
და მისი სურნელი შორს გამომყოლია.

სტამბოლში ჰაშიმის ვიცნობდი ბარიგებს,
უანდარმი შეკრული მათ მიმართ ლოია-
ლურია. სალამო კარტივით არიგებს
ბოსფორზე თოლიებს, —
როგორც ფლემროიალს.

ჩემი ბედისწერა ამ წყალზე ფონია
ეს ლექსი, —
„რჩეულის“ ნოტების ანონსი,
და ფრთების მარაოს რხევის სიმფონია
სრულდება შენი ფორტეპიანოსთვის.

სრულდება, რომ ცრემლი გაბრწყინდეს ჭაღვივით,
პარტურში გვამი რომ აქციოს სხეულად,
ხანდახან სიტყვების დინება მარტივი
ქვებზე შადრევნებად
ხომ გადასხვრეულა...

და ეს სიმფონია სამეფო არ არის,
არც მარმარილოა მთებიდან კარარის
აქ, კლავიშს უნდოდა
გზა იქ გაეკვლია,
სად მეთევზეები მისდევენ ეკლიან
გვირგვინს და სუდარას სისხლიან ლაქებით,
...რა სიალაღა, როდესაც აღილო
გსურს გულში გაივლო, სთქვა სიტყვა საქები,
როდესაც სარკმლიდან არილი არილობს,
რომ სული ჩაუდგა
მთვლემარ მარმარილოს.

„ავრორას“ გასროლას პოეტი ვლადიმერ
ეკვეთა სალმით და
უმღერა არია,
ბროდვეის ლამპიონს უკმევდა „Bloody Mar“-ს,
მხრებში ვინრობდა ბაღდათის მთვარიანს.

ახალი ეპოქის მეკვლე და ძმაბიჭი
რუსეთის მარხილში შეება სამ ცხენად...
ბრძანა, მომყევითო, შეწყობილ ნაბიჯით:
— მარცხენა!
— მარცხენა!
— მარცხენა!
— მარცხენა!

ბასრი მეტაფორა ხან გაძლევს რიკოშეტს
მაგ:
როგორც ინფანტას ღამის მენინები
მთვარეს ხის ჭურჭელით, იქ, ამერიკაში,
ჭიდან სახლისაკენ დაარბენინებენ.

ჩინეთში ლოკაუს სადგურის კედელზე
ანათებს სტრიქონი, —
ნათურა ნეონის...
ვინც მოჰყვა ბადეში ბიბლიურ მეთევზეს,
მათ ვინაობაზე ჰყვება პანთეონი.

აქ, აღმოსავლეთში წესია მარტივი, —
ერთი ღრმა ნაფაზით სამყაროს მოიარ,
ბოსფორი თოლიებს არიგებს კარტივით,
და ვჩითავ სურათებს,
როგორც ფლემროიალს.

მგონი, მე წამილო...
და ამცდა ნობელი,
ბარმენის ბრალა, ემსგავსა ასასინს,
ეს ქალი რომ მიცქერს და დედიშობილობს,
— ძმობილო, ხომ გთხოვე,
დაასხი ას-ასი!

— მაღამ, ან ადამი,
ან ბალი ედემის...
ან ოქროს საფულე
ან ლექსის სოფელი...
მიიღე სტრიქონი ნასროლი შენდამი,
ანდა აირჩიე მყუდრო სამყოფელი.

ხან გვანთებს სიმღერა ჭაღვივით, ანდა ხან-
დაზმული სხეულის ვნებანი მარტივი,
— მაღამ, ეს ყოფაა —
ლალატი ხანდახან,
...იღვიძებ საწოლში გაჭრილი კარტივით.

რისკს მოაქვს ყოველი ცდუნება უკლებლივ,
თუმცა კი გემჩნევთ თამამი ჩვევანი,
— მაღამ, განსაცდელი და თავისუფლება
არის ერთადერთი შენი არჩევანი.

ან დათმე ძლიერი ვნება და კაპრიზი,
ან გემი...
ტალღები...
შეხვედრა კაპრიზე...
ღვინო სამხრეთული, ღვინოსთან „კაპრზე“
და კუნძულ კაპრიზე ეს ლექსი საპრიზო.

მაღამ, თქვენ მომთხოვეთ CV-ი და ამ CV-ით
ვეჭვობ, რომ მიმილოთ თქვენს ერთგულ მხლებელად,
რადგან თქვენს ოფისში CV-ების მასივი
გაქრება, თუ მინდვრად
გასდიეთ პეპელას.

სადაც გზა იყრება, იქ არ ჩანს კონსენსი.
— ან ბალი სამყოფი!
— ან ვაშლის ნაყოფი!
დღეს მე მაქვს კალამი —
ხელჯობი მოსესი, —
ბოსფორის ტალღების შუაზე გამყოფი.

ჩემი ბედისწერა სრუტეზე ფონია,
ვთხოვე რომ გავეშვი...
ბოსფორმა:
— არაო...
ეს ჩემგან სახსოვრად ფრთების სიმფონია
და თეთრი თოლია — ბოსფორის მარაო.

მეტანასატი

„ლომო, შე ლომის მოკლულს, ბუსნის ჭალის პირსაო, ლამაზად დაგიტირებდი, ხათრი არ მქონდეს ქმრისაო“... ხალხური

მარტოობის ნაკრძალი მხარე: თითქოს უმთვარო შუალამე ტანზე გაცვია...

და ქარდაკრული მწუხრის მინდორი, სადაც ნკვარამში ნაპოვნ სიტყვებით დაიხატება ეს სტრიქონები: ამ ნახატში შენი გული უნდა დავციო... ამ ნახატში შენი ცრემლი უნდა დავციო...

ამ ნახატში ის ლამაზი დატირება უნდა დავციო: ბუსნის ჭალის პირას მოკლული ლომის დატირება, ქმაროხერის ხათრით რო ვერ თქვი ისტორიის შუალამეში!

ეს მინა

ყოველდღე რო ჰკმეჭ, მწარე არი ზარავანდივით ეს მინა: ბერნი, ცრემლით სველი, გულს რო გადივლის: დიდვაჟის დარდი, დიდმოზარე დედის მანდილი!..

ყოველდღე რო ჰკმეჭ, მწარე არი ზარავანდივით...

და...

და იზრდება უდაბნო... და იზრდება სასაფლაო... და მრავლდება ფურცლები... და მრავლდება მტაცებლების ნატერფალები... და ქვიშას ისევ ქვიშა ფარავს... და საფლავსაც ქვიშა ფარავს... და ფურცელსაც ქვიშა ფარავს დავინყებისა...

და იზრდება უდაბნო... და იზრდება შავი ღრუბელი... და იღვიძებს პოეტი ვინმე... და იღვიძებს ღრუბლების მწყემსი... და იღვიძებს სიტყვების მწყემსი... და იზრდება სასაფლაო... და მრავლდება საფლავები... და მრავლდება აჩრდილები: უდაბნოში მოხეტიალე...

და მრავლდება ფურცლები... და იზრდება ტექსტების ქვიშა... და იზრდება ქალაქის უდაბნო... და იზრდება შავი ღრუბელი... და იზრდება შენი ღამე: საღალსარებო... და იზრდება უდაბნო... და იზრდება უძილობა...

და იზრდება ყორნის ყრანტალი: ვებერთელა წერტილივით...

PATHETIKOS

სამშობლოს სისხლში უკვე გაცურეს: მიწის დარდიც ხომ აღარ აღელვებს გველებს, გულშავებს და მეკაცურებს, ყაჩაღიანის დამყაჩაღებლებს...

კეთილი მიწის თავსასთუმალი აღარ ეკუთვნით გველებს, გულსვავეებს... ეს ბედი ელით: ვიცი, სულ მალე რომ საგველეთში მიაღწერს მავნი!


თავისუფალი ჰაერი

ვარსკვლავობაში ეჭვმიტანილი, ძველისძველი, მოხალისე მზე ამოდის მთების ხერხემლებიდან და აისბერგებს ქორებს უვარცხნის...

ფანჯრებს გახსნი და: ვარსკვლავების ცას უერთდება ტყვეობაგამოვლილი, კაცის სუნთქვაგამოვლილი ერთი ოთახი თავისუფალი ჰაერი...

ვარსკვლავების ცას უერთდება ის ტკივილი, ჰაერის გულში ძველისძველ სიტყვებს რო აკენებს და: ამ კენესიდან იზადება მეტასტრიქონი, მეტალექსი, ფურცელს რო ათრთოლებს ისე, როგორც მოხალისე ქარის შეხება...

ჯარჯი ფხოველი



და მსუბუქი ფურცელი მიაქვს დროის მღვრიე დინებას და ვარსკვლავების ცას აგვევიანებს...

ამ მისტიკიას ნულარ მისტიკი: ის შენს ფურცელზე ველარ ეტევა, ტყვეობაგამოვლილი, კაცის სუნთქვაგამოვლილი, ერთი ოთახი თავისუფალი ჰაერი...

კაცის გულიც ხომ ასეთია: ტყვეობის შემდეგ ის კაცის ტანში ველარ ეტევა, გულის გულშიც ველარ ეტევა: ევინროება ცა და მიწა, ევინროება ეს მთავორები, ცისქვემეთიც ევინროება!

მეტალქსი ვაჟა

რას იტყვის წმინდა ვაჟა-ფშაველა შენს მეტალექსზე, მეტაცრემლზე, მეტასტრიქონზე...

ეს მეტალექსი იმიტომ ხომ არ იწერება, თავი ვინმეს რო მოაწონოს!..

და შენ აღარ გაგიკვირდება, დიდმა პოეტმა რომ თავისი ძველისძველი და უკვდავი ფსევდონიმიდან ის მოკლე სახრე გამოაძროს: და მოგიღეროს!..

რა გინდა, დიდო კლასიკოსო, ფშავისხევის პოეტების პლაგიატორო, რო კენესოდი ჯვარ-ხატების სადიდებლებზე... თავისთავი ხომ ღვთაებრივი გუნდა გეგონა, სამშობლოს წყლულებს მოსაჩეხად რო დაეღირე!

ცხოვრებამ მეც ხომ დამაგუნდავა და ბედნიერზე უარესი ავადობა შემყარა: მაგას მე მეტალექსი დავარქვი და დაუშვალე ადამიანებს, როგორც შეშლილის სისხლ-კონოლი, გამოღწეული გულის მსახვრალი ჭრილობებიდან!

მაინცდამაინც შენი აჩრდილი დამიდგება თვალწინ ამილით, როცა ყორნის ცანასვამი, როცა კუპრის ციხემოვლილი უკვდავ ღმერთებს ვესაუბრები!

პრიმიტივი: ALITERATIO

თვალს გააყოლებ მღვრიე მორევებს, მოგდევს მდინარის ამოშხეფილი ხმა, რასაც კენესა გამოერევა... ზვარეს ზრიალით ზარავს ზეფირი...

აქ შენი გულიც მღვრიე არაგვის მსგავსად ჩქაფუნობს... ისიც გამოცრის კენესას და ტკივილს: ცალკე ალაგებს დღეებს: შხამიან თასებს, გამოცლილს...

კენესა გაისმის მთების ბრეშაში... მოჩანს ნაპრალი წარღვნის შხეფივით... შეეხიდება შავად ფშებს ფშავი... ზვარეს ზრიალით ზარავს ზეფირი...

KATARSIS

შუალამურ ვარსკვლავ-ჭრილობებს ეხლაც ისევ ეგუები და:

იღვრება ხსოვნის წვეთები... ჟონავს და ჟონავს და იწრითება სიბერის დარდი და შეუნაღველი, შენამდე სხვებსაც რო მოერიო...

ყველას, ყველას მოერიო, ოღონდ საღვთო სიტყვა გადარჩა: ჟამთასვლას მარტო დედაენის გულმა გაუძლო!

და იღვრება ხსოვნის წვეთები... და ქალაქის ფერფლი ცვივა ფანტელბივით...

თავზე გადგას ის ღრუბელი, რითაც სახე მთვარემ დაფარა შენი გულის ნაბზარები: სისხლდაშხეფილი...

ვარსკვლავჭრილობებს ეხლა ისე შევეგუები, როგორც არაგვი ეგუება ნაპირების ნაბზარებს, როცა კალაპოტიდან ხევზუვების ჩამოტანილ ტალახს იშორებს და გულიდან უხსოვრობის ქვალორლს გადაყრის!

რამდენჯერ მინა მაკმეჭინე ჩემი სიზმრის ღამეებში, ცხელი ცრემლით დაბანილებში...

რამდენჯერ მწარე სტრიქონებით გამაზომვინე მთვარის ფურცლები, ცანასვამები...

რამდენჯერ ხელი, ჩაქნეული, ისევ გულთან მიმატანინე და არ გამრიე კაცის სისხლისმსმელებში და არცა გველისმჭამელებში, არ გამრიე ნარკოლოთებში...

შენს დროშას ზოგჯერ ვეფხვის ტყავი ეხატა და ზოგჯერ კიდევ გველის ჭარი ეხვია ტანზე... და გველისმჭამელს ეჭირა ხელში...

ამ დროშის ქვეშ ბევრჯერ მინა მაკმეჭინე, ბევრჯერ კიდევ დედაენის ცრემლი მასმიე... სიზმრის ველებზე მახატვინე შენი გულის გვირგვინები: შენი გულის ღვთაებრივი არტერიები!

აბრაკადაბრა

ცას გადამტკავლავს მწუხრში მეხი რო: კაი ფერები ქმნიან კაი ფონს... ეგებ ის სიტყვაც წამოგეხოს, საუდაბნოვე და საკაიფო!

ლექსი ვერ უძლებს ცრემლის სიცივეს. რწევით ირჯება რითმა ირიბი... დღეს ბერნი მინა მწარედ იწივლებს, დაგტოტნის ტოტი მტირალ ტირიფის...

სიზმარს გაატან ეხლა ქაროხერს, ცრემლებს დაამცვრევე მთაში მამალ-ხევს... ეს ვარსკვლავები მთვარით დაროხეს ნუხელ და მწუხრის ხელით დამარხეს!

ჩხრიალებს ბამბა აბრაკადაბრის... ჯიხვები ჯიბრზე ქმნიან კაი ფონს... სიტყვა იჩქარის: გულზე გადარბის: საუდაბნოვე და საკაიფო!

ისევ ყორანი

შენი სიტყვები: მიამიტები... ყორნის ყრანტალი: ღამის მარილი... აქ ძველ ტკივილებს მიემატება ეს ერთიც: მკვლელის ნატერფალივით!..

სიმწარე: შენი გადასატანი: ის დღეებს გართმევს, მაგრამ აყოვნებ... ყორნის ყრანტალი: კენესა სატანის... ფარავს არყოვნებს ჟამი საყოვნე...

აღარ მოელის შენ გულს წყნარი თვე: ჟამი, სამზეო და სატანტალო... შენ ამ ღამეში გველის ჭარივთვე გაზომავ ჩემს დარდს, ყორნის ყრანტალი!

და შენი ხმა: მწუხრის მარილი მავინყებს სტრიქონს, მზისთვის მიწერილს... გულზე მეხვევა გველის ჭარივით ეს მეტასიტყვა: ობოლმინელი!..

დასაწყისი პირველ გვერდზე

ის იპოდრომთან ახლოს ცხოვრობდა და არც სკოლა იყო შორს. როგორც ერთის, ისე მეორის სახურავებიდან კარგად მოსწანდა რკინიგზის სადგური, ვერცხლისფრად აპრილებული ლიანდაგები, ლოტკინის გორა და გორის ფერდობებზე უწყისრიგოდ მიმოფანტული ქოხმახები. ბიჭუნას გაგონილი ჰქონდა, რომ იქ ჩვეულებრივი კი არა, ბრაზიანი მუშები ცხოვრობდნენ, რომლებიც ხშირად იფიცებოდნენ და თავიანთ ხმაურთან თავყრილობებზე შინდისფერი ქართული დროშის ნაცვლად წითელ ბაირალებს აფრიალებდნენ. ეს დაბლვერილი, თვალეზიანითლებული კაცები არასოდეს ჩნდებოდნენ იპოდრომზე, სამაგიეროდ მათი ნახვა არცთუ იშვიათად შეიძლებოდა თამბაქოს ქარხნის უკან მდებარე მომცრო მოედანზე, სადაც მანანალები და მათსავით ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი რუსი დეზერტირები იყრიდნენ თავს. ბიჭუნას ხანდახან უნებდა ამ ადგილის გავლა და ყოველ ჯერზე მის ყურთასმენას ცუდად ხვდებოდა უნმანური სიტყვებით გაჯერებული გადაძახილ-გადმოძახილი. ყნოსვასაც არ ადგებოდა კარგი დღე — ყროლის სუნი მოჰქონდა ნიავს, მდარე არყის, ამჟავებული ღვინის და დამპალი ბოსტნეულის...

იმ წლის ბოლო თამაში გვიან შემოდგომაზე გაიმართა. „შევარდენის“ ბიჭები, რომელთა დევიზი — „გვუშავებ ერს“ — პირზე ეკერა ყველა თბილისელ სტუდენტსა და გიმნაზიელს, ფოთელ მეზღვაურებს ერკინებოდნენ. ყოჩალი იუნკერი „შევარდენის“ მაისურით დაჰქროდა გადაყვითლებულ, ალაგ-ალაგ მოტიტვლებულ მოედანზე. მის გუნდსა და თავად მას ადრინდელზე მეტი ხალხი გულშემმატკივრობდა. მათ შორის გამოირჩეოდა ქერათმიანი, სიფრიფანა გოგონა კალთებზე ბენეშემოყოლებული პელერინით, რომელიც ხელთათმანის ხელეებით უკრავდა ტაშს და აღტაცებისგან დროდადრო ხტოდა...

წითურმა ბიჭუნამ იუნკერი შემდეგ წელს, თებერვლის თვეში ნახა. ოლონდ დიდუბის იპოდრომზე არა, მიხეილის ქუჩაზე, სამხედრო სასწავლებლის წინ, სადაც უამრავი მოქალაქე იყო მისული სააღლუმო ფორმებში გამორეკვილი კურსანტების გასაცვლელად. ახლაგზრდები საომრად მიდიოდნენ, რუსული არმია რამდენიმე მხრიდან უტყდება თბილისს, ყველაზე გააფთრებული ბრძოლები ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოჯრისა და ტაბახმელის ფერდობებზე მიმდინარეობდა. იქითკენ ჰქონდათ გეზი ალებული, იმ ფერდობებზე გათხრილ სანგრებში უნდა წაშველებოდნენ დედაქალაქის დამცველებს. მანამდე კი, რიგებდა გამწკრივებულს სამწყობრო ნაბიჯით უნდა გადაეკეთათ ქალაქი — გაევიოთ მიხეილის ქუჩას, ვერის ხიდი, ვერისავე აღმართი, რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, შედგომოდნენ სოლოლაკის ქუჩას, მერე ამაღლებისას, ბოლო მონაკვეთს ფრონტისაკენ მიმავალ გზაზე...

რაც მოხდა, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ბიჭუნასათვის, რომელიც ხველიკვიით დაძვრებოდა შეჯგუფულ ხალხში და ცდილობდა, თვალი მოეკრა მობურთალი იუნკერისათვის. გამცილებლები ქუჩის ერთ მხარეს იდგნენ, იუნკერები — მეორე მხარეს, თავიანთი სასწავლებლის ფანჯრებქვეშ. მათ შორის ცარიელი სივრცე იყო, რომელიც ბრძანების გაცემის შემდეგ გაივსებოდა და ახმაურდებოდა. როგორღაც მოახერხა ვინრო დერეფნის გავალვა მჭიდროდ მდგარ, ლამის ერთმანეთს აკრულ ადამიანებს შორის და ცროტუარის კიდემდე მიღწევა. აქედან ყველა კარგად მოჩანდა, ძალიან ბევრიც არ იყვნენ, ასზე ცოტა მეტი ბიჭი. სანამ გადაწყვეტდა, მარჯვნიდან ჩამოეტარებინა მზერა თუ მარცხნიდან, ვილაცამ დაუქნია ხელი. იმავ წუთს ვერ იცნო, რადგან ასე გამონყობილი არასოდეს ენახა — თხელი მახარა ეცვა და ოფიცრულის მსგავსი, კოკარდიანი ქუდი ეხურა, რომელიც ქოჩორს უფარავდა. რომ გაიაზრა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, გული კი აუჩქოდა სიხარულისაგან, მაგრამ ეჭვმა სძლია, ალბათ სხვას ესალმებოდა და უკან მიიხედა იმ „სხვის“ აღმოსაჩენად. იმან კიდევ, თითი მიაშვირა, შენაო, შენ გესალმებოდა და ნაცნობობის დასადასტურებლად, ეჭვების გასაფანტავად მარჯვენა ფეხი ისე აამოძრავა, თითქოს რეზინის კამეროიან, თასმებგადაჭერილ ბურთს კენწლავდა. შეგრძნებას, ბიჭუნას რომ დაეუფლა ამის დანახვისას — გულის აჩქარება აღარ ერქვა. დიახ, თამაშის დროს, შეძახილებით ამხნევებდა. დიახ, ბურთიც მიუბრუნებინა რამდენჯერმე, მაგრამ ისიც თუ ამჩნევდა მას დამეტიც, შესვენების დროს, როცა ფეხბურთელები ბალახზე მინოლილები ითქვამდნენ სულს, თვალყურს ადევნებდა მის „აფჭალურს“ (ასე ერქვა ტომსიკის კენწვლას) და აფასებდა მის ოსტატობას — ყველაზე კარგ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. იმ მაღლიერების გამოსახატავად, რომელსაც გრძნობდა — ხელის დაქნევა ეცოტავებოდა. როგორ მოქცეულიყო, რა ენიშნებინა საპასუხოდ — ვერ გადაეწყვიტა. ისევ მოპირდაპირე მხრიდან მიილო შეტყობინება. უესტიკულაცია წინგამოწეული ხელისგულით სავარაუდოდ ნიშნავდა — მანდ იდევით. ბიჭუნა ისედაც არ აპირებდა წვალებით მოპ-

აქეული დაიძრა და ბიჭი მიჰყვა. არ ეგონა, რომ მთელ გზაზე ისეთივე ხალხმრავლობა იქნებოდა, როგორც სასწავლებელთან. ყველგან სავსე იყო ტროტუარები, კვლავ ისმოდა ქვითინის ხმა, თუმცა ყვავილებსაც ისროდნენ ქალები, უმეტესად მაღალი შენობების აივნებიდან. სულ გზის გაკაფვა უნებდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, მწყობრი ნაბიჯით მიმავლებს რომ არ ჩამორჩენოდა. როგორც კი ოდნავ სიხალვათეს ნაწყვეტობდა, დაბრკოლებების გადალახვისას დაკარგულ დროს ინაზღაურებდა, მიზნობდა. თებერვლის წუნკალი, ნესტით გაჯერებული თოშის მიუხედავად სიცივეს ვერ გრძნობდა, ხვითქიც კი გასდიოდა ხელოადრო. ნაჩუქარი შეკვრა ხან ცალი ხელით ჰქონდა მიკრული მკერდზე, ხან ორივეთი. შეხებით ვერ ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო გახვეული მუყოსავით სქელ ქალაღში, რომელსაც გარდიგარდმო წვრილი თოკი ჰქონდა შემოჭერილი. გახსნაზე არც უფიქრია, არც წარმოსახვა დაუძაბავს გამოსაცნობად. მის ფანტაზიას სხვა სურვილები აფორიაქებდა. უნდოდა, გზა, რომელსაც იუნკერებთან ერთად ადა — ბოლომდე გაევიო, მათ გვერდით აღმოჩენილიყო ბრძოლის დროს.

ზაალ სამადაშვილი იუნკერ ერისთავის ბუცები



ოვებული ადგილის მიტოვებას, მაგრამ იუნკერის მოულოდნელმა გაუჩინარებამ მეგობრების ზურგსუკან მიახვედრა, რომ ხელისგულით რაღაც უხილავს შეკავების იმიტაცია „მანდ იდევით“-სთან ერთად „დამელოდე“-საც ნიშნავდა...

კინოთეატრ „აპოლოს“ მხრიდან ოფიცერთა ჯგუფი რომ გამოჩნდა და რამდენიმე მათგანი იუნკერებთან ერთად დადგა, ხალხი ამოძრავდა და ახმაურდა. ქალები, მანამდე ძლივს რომ იკავებდნენ ცრემლებს — აქვითინდნენ; კაცებმა კი, ზოგმა მხრებზე ხელის მოხვევით და ზოგმა ხმადაბალი საუბრით, დამშვიდება დაუწყეს მათ. კაცებსაც ემჩნეოდათ სისველე სახეზე, თუმცა ძელი სათქმელი გახლდათ, რით იყოს გამომწვეული ეს — გრძნობების მოძალებით თუ თოვლით, რომლის ფანტელებიც დილიდან მოფარფატებდნენ ჩაყამებული ციდან. გაისმა ბრძანება — „დადევით!“ და ახლა იუნკერები აფუსფუსდნენ. ტროტუარებიდან ქუჩაზე გადმოინაცვლეს და სწრაფად, ლამის სიბილით შეუდგნენ წინასწარ განსაზღვრული ადგილების დაკავებას. ფეხისწვერებზე ანუელი ბიჭუნა გაფაციცებული ადევნებდა თვალს მათ გადაადგილებას, მორიგ შეტყობინებას ელოდა, ტყუილად ხომ არ ანიშნებდნენ — დაიცადეო. მხარზე ხელის შეხება რომ იგრძნო საიდანლაც გვერდიდან, არც კი გაუხედავს, ვინ იყო, იფიქრა, ვეფარები ალბათ ვინმესო და ფეხისწვერებიდან ჩამოინია. ვის დაუფარავდა თვალთახედვის არეს განრიპული ბიჭი, ცხადია — ვერავის, მაგრამ ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია, სხვაგან ჰქროდა მისი გონება. მსუბუქად რომ შეაჯანჯლარეს, მხოლოდ მაშინ მიიხედა; ვისაც ეძებდა, ის შერჩა ხელთ — იუნკერი, რომელიც მისკენ დახრილიყო, უდიდოდ და რაღაც შეკვრას უნვდიდა; ეს შენო — ამ ორად-ორი სიტყვის თქმა მოასწრო, გაიქცა და ჩადგა თანამებრძოლებს შორის...

როგორც ძალიან მკაცრი წიგნების კითხვისას, ახლაც ხედავდა, როგორ ეხმარებოდა სისხლსა და ტლახში ამოსვრილ მეომრებს — როგორ აწვდიდა მათ წყალს გვერდებშეჭყლეტილი ლითონის მათარით და როგორ მიათრევდა მათკენ ტყვიაწამლით სავსე ყუთებს. ამ სურათებში ერთი მეომრის სახე იკვეთებოდა ყველაზე მკაფიოდ და ეს არ გახლდათ გასაკვირი... ბიჭუნა მხოლოდ ერთ მათგანს იცნობდა. მხოლოდ მოზურთალი იუნკერის მზერა და ნაკვთები იყო ალბეჭდილი მის მეხსიერებაში...

სურვილები სურვილებად, მაგრამ ადრე თუ გვიან რეალობას უნდა დაბრუნებოდა, უნდა დამორჩილებოდა სოლოლაკის ქუჩის დასაწყისში გამწკრივებულ სამხედროებს, მათ ბრძანებას, რომლის თანახმადაც მოქალაქეებს ეკრძალებოდათ „შემდგომი გადაადგილება სამხრეთის მიმართულებით“, უნდა დასჯერებოდა თვალის გაყოლებას ასეულები-სათვის და როცა ვეღარ დაინახავდა მას, იმით უნდა ენუგეშებინა და გაემხნეებინა თავი, რომ ქუჩებსა და მოედნებზე შეკრებილი ხალხისაგან განსხვავებით მან არამარტო განსაკუთრებული ყურადღება, არამედ საჩუქარიც დაიმსახურა. რაც უნდა აღმოჩენილიყო შეკვრაში, სულ უბრალო, თითზე გადასახვევი ძაფივით იოლად მოსაპოვებელი ნივთიც კი, ის აუცილებლად გახდებოდა ბიჭუნას თავმომწონეობის მიზეზი და ცოტა ხანში ყველა, ვინც უსმენდა ხოლმე მის მონათხრობებს იპოდრომზე გამართული ბურთაობებისა და მოზურთალების შესახებ — საკუთარი თვალთი იხილავდა მას. „პასაჟ პროჰჰაში“ ორ შაურად ნაყიდი ჩიკორიც რომ ყოფილიყო, რომლის დაბზრიალებას ქამრის შემოკვრით ხელის მაგარი განაფვა სჭირდებოდა — იმასაც კი სხვა ფასი დაედებოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა, რა თქმა უნდა, გამჩუქებლისა და

გაჩუქების მომენტის გამო. თუმცა, ჩიკორი ვერ იქნებოდა, ვერც სხვა მომცრო რაიმე, რადგან შეკვრა მოზრდილი გახლდათ, დაახლოებით ბიჭუნას მკლავის სიგრძე. ზუსტად ამ ზომისა აღმოჩნდა ის, რაც თოკისა და ქალაღის შემოსხნის შემდეგ დაინახა ბიჭუნამ. მას ისეთი რამ შერჩა ხელში, რაზეც ახლა კი არა, რამდენიმე წლის შემდეგ უნდა გაეხედა ოცნება — ხაოიანი ტყავისაგან შეკერილი, ოდნავ ცხვირებაქლეთილი, თასმებით ერთმანეთზე გადაბმული ბუცები. სწორედ ის ბუცები, რომლებსაც თამაშის წინ ძირებზე კბილანებს უმაგრებდა ხოლმე სულ ცოტა ხნის წინ მტერთან საომრად ნასული თმადატალღული ბიჭი...

შალვა ერისთავს ისე სწრაფად არაოდეს ურბენია. მან იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი გარბენა იყო, რომ ამჯერად ყველაზე ძლივეამოსილ მონინაღმდეგეს ეჯობებოდა, რომ დისტანციის, გვარიანად დამრეცი ფერდობის ბოლოს ტყვიამფრქვევი ელოდებოდა, წონოლაქუდიანი გადამთიელის ხელში აკაკანებული „მაქსიმი“, რომელიც უმოწყალოდ უქადადა მოცეკვას მის თანამებრძოლებს. ამ იარაღის ცხელ ლულას უნდა დაჯახებოდა მკერდით, ზედ გადაფარებოდა და საიმედოდ დაეგმანა, რათა ფრენა ვეღარ გაეგრძელებინა, გარეთ ვეღარ გამოეღვინა ვერც ერთ ტყვიას...

ეს ამბავი იუნკერების ბრძოლაში ჩაბმის მესამე დღეს მოხდა. ფრონტის რვაკილომეტრიან მონაკვეთს, რომელსაც ისინი იცავდნენ, ვერაფერი მოუხერხა მტერმა. მას ვერც უკვე დაპყრობილი ბაქოდან გადმოსროლილი და მამარე ძალამ უშველა და ვერც არტილერიის ამოქმედებამ. ასეულმა, რომელმაც პირადი შემადგენლობის მესამედი დაკარგა, რამდენიმე კონტრიერიში განახორციელა და მნიშვნელოვანი სიმაღლეები დაიკავა; ბრძოლის ველი კი მხოლოდ მაშინ დატოვა, როცა სარდლობისგან უკან დახვევის ბრძანება მიიღო. ბრძანების გაცემის თარიღი ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ოცდაოთხი თებერვალი გახლდათ, ხოლო მეორე დღეს — ოცდახუთ თებერვალს თბილისის თავზე დამპყრობლის, ბოლშევიკური რუსეთის სისხლისფერი დროშა აღიმართა...

იუნკერ ერისთავის თავგანწირვის და დაღუპვის ამბავს ბიჭუნა აუცილებლად შეიტყობდა. ყურს მოკრავდა იმასაც, როგორ ჩამოასვენეს და მალულად როგორ დაკრძალეს მისი ნეშტი ოჯახის წევრებმა და საცოლემ, ალბათ, იმ ქერათმინამა გოგონა, დიდუბის იპოდრომზე რომ იმყოფებოდა შეკვრებულის საგულშემმატკივროდ. ცრემლები ჩამოუგორდებოდა ჭორფლით დაწინკულ ლოყებზე და შეეცდებოდა, წარმოედგინა, რას გრძნობდა უკანასკნელი გადანყვტილების მიღებისას ბიჭი, რომელმაც ბუცები უსახსოვარა. რთული სათქმელია, რამდენად ზუსტი იქნებოდა მისი ვარაუდი, თუმცა რეალობასთან მეტნაკლებად მიახლოებული ვერსია, რომელიც იმ მომენტში დაეხადებოდა, მთელი ცხოვრება გაჰყვებოდა და ამა თუ იმ ეტაპზე, ცდუნებით გარემოცობის და არჩევანის წინაშე მდგარს, სწორი ნაბიჯების გადადგმამი დაეხმარებოდა. სიცოცხლისუნარიანობას ვერსიისა, რომლის თანახმადაც შალვა ერისთავი იმ საბედისწერო ჟამს სიყვარულსაც გრძნობდა, სიძულვილსაც, სინანულსაც, სიცივესაც კი, ანუ ყველაფერს შიშის გარდა — გაუხანგრძობლებად და გაუძლიერება სახსოვარი — ცხვირებგადაქლეთილი ბუცები, რომლებსაც კედელზე დაჰკიდებდა... როგორც უძვირფასეს რელიქვიას, როგორც განხორციელებული გმირობისა და განსახორციელებელი მიზნის სიმბოლოს... და არაერთი ათეული წლის მანძილზე, თუკი ამდენი ხნის სიცოცხლე ენერა, თვალისჩინივით მოუვლიდა მას...

ეს რაც შეეხება ვარაუდებს, დაბეჯითებით კი, ერთი რამის მტკიცება შეიძლება — ბოლშევიკური ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარ ადამიანებთან ურთიერთობისას მუდამ ყროლის სუხს იგრძნობდა, იმ სუხს, რომელიც ნიავს მოჰქონდა ხოლმე ოდესღაც ბრაზიანი, წითელი დროშების მოფრიალე მუშებისა და რუსი დეზერტირების თავშეყრის ადგილიდან...

დასასრული

ფოტოების ნაცვლად სიტყვები რომ გამოუსახამს.

აი, მისი ესეები, სიზმრები, ჩანანერები, რელიგიურ საკითხებზე მსჯელობა („ჩადექი მანდი“ 2014წელი) — ისევ ის ზაზაა, როგორცაც ვიცნობდი. როცა ვკითხულობ, წარსული დღეების ნოსტალგია მეძალეა.

...მშვენიერი მზიანი დღეა, კვირა. სიონიდან მოვდივართ. მე, ზაზა და ლელა ნიქარიშვილი (კვირაობით ხშირად ფეხით მოვუყვებოდით გზას სიონიდან რუსთაველის მეტრომდე. იქ ვიშლებოდით). ვსაუბრობთ რელიგიის საკითხებზე, ვკამათობთ, ზაზა შეკითხვას დამისვამს, წამომავებს ანკესზე, ჩემი პასუხით არ კმაყოფილდება, მეკამათება, არ ვუთმობთ ერთმანეთს... ლელა სიცილით კვდება, კამათში არ ერევა. გზა შეუმჩნევლად ილევა საუბარში...

როგორც ვხვდები, ზაზას „ეკლესიაში სიარულის მერე სკეპსისის და მწუხარების პერიოდი“ დაეწყო, მაგრამ რელიგიის საკითხებზე ფიქრი არ შეუწყვეტია, პირიქით უფრო ღრმად წასულა...

და ახლა, 25 წლის შემდეგ, ამას რომ ვკითხულობ, ისევ იქ ვბრუნდები, უკან, წარსულში, ლესელიძის ქუჩას მივუყვებით სამნი... და სადაც შეჩქვითვდება ლანდების მოედანი, სადაც მოედანს ერთვის ქუჩა დადიანის, სწორედ იმ ქუჩას მოვუყვებოდი ერთ მშვენიერ დღეს“ (ზაზა თვარაძე). ახალგაზრდები ვართ, ხალისიანები, ერთად ყოფნა გვიხარია, ერთმანეთით ვიცვებით...

ამჟამად იმ ლამაზი დღეების ნოსტალგია იმ სამიდან მხოლოდ მე მხვდა წილად.

...„დღეს ლანდი ვნახე ზაზა თვარაძის“, გვერდით ჩამიარა, ახლოს, ძალიან ახლოს... მერე მობრუნდა და გამიღიმა:

— „გინდა, დაგიტოვო ჩამუქებულ ცაზე ვარსკვლავებს?“

— მინდა.

— „აგერ ჩამოვსხდეთ, მე ვარსკვლავების დათვლას დაიწყებ“. და მერე „სინათლეებზე, ბნელი ღამის სინათლეებზე, ორნი ერთმანეთს ვუამბობდით უცნაურ არაკს...“

— როგორ ხარ, ზაზა?

— „თუ ჩემი ამბავი გაინტერესებს, მე ისევ ვარ, როგორც მკვდარი, ვცოცხლობ ჩრდილების პლანეტაზე, ტბეთის სულთა მატეანეში...“

— რას აკეთებ?

— „მე ვწერ. მე მძინავს. მე სიზმარს ვხედავ — წვიმიან სიზმარს...“

— როდის გამოიღვიძებ?

— „მე აღარ ველი გამოღვიძებას აქ, ამ ქალაქში, მე აღარ ველი გამოდარებას“.

— „სად არის ზეცა, სად არის მზე, მე რომ დამპირდი?“

— „ეს იყო ოდესღაც — მე კარი გავხურე, უცნობ გზებს გავყევი.“

— და საით ნახევდი?

— „სადაც დგას ქოხი და ქოხის გვერდზე — თუნდაც ერთი ხე.“

— ხე?

— ხე!

— სხვას რას მეტყვი?

— „მე რაც შემეძლო ყველაფერი ვთქვი“... ახლა კი შენ „მითხარ რამე სულელური, რამე მეტაფიზიკური“... „მომავლი რამე ძველი აბაღუბდა“...

— რისთვის?

— „რადგან დრო მიდის, დრო ხომ ილევა, ის წვრილდება, როგორც მავთული, იკარგება მოუსავლეობაში — ო, რა ბრიყვულად იხარჯება ჩვენი სინათლე, ჩვენი სულის კილოვატები... მრიცხველებით ტრიალებენ ბედის ბორბლები, ითვლიან სხივებს, სითბოს, ნათელს, ითვლიან ზღაპრებს...“

— გაქვს რამე ნატვრა?

— „მხოლოდ ვნატრობ, რომ ხე ვიყო და ვშრილებდე“.

— მე კი მეგონა, მდუმარების უდაბნოებს გადასერავდი, სიტყვების ოაზისს აღმოაჩენდი, შენ ხომ პოეტი ხარ და ბედუინი?!

— „ქარმა წაიღო ის, რაც ვიყავი, ის, რაც მოგესმა...“

— მეც რომ ხე ვიყო შენ გვერდით მდგარი და მოშრილებდი?!

— „ჯერ უნდა მოკვდე!“

— „ჯერ უნდა მოკვდე?“

— „როცა ნაყოფი მინაში ლებება, მაშინდა იწყებს ახალ სიცოცხლეს, თუ არ მოკვდა, არც იარსებებს...“

— გახსოვს კაფეში...

— „დავიწყება მთხოვა ბალახმა — მეც დავივიწყე.“

— კაფეში რომ მარტო დამტოვე და მერე ისევ უკან დაბრუნდი სადღაც მინიდან ნაჩქარევად ამოთხრილი ბალახით ხელში...

— „და ბალახი ისევ განახლდა.“

— ჰო, ბალახი.

— „და კაფე, სადაც შენ გხვდებოდი, ცარიელია.“

— ნუ ინალვლებ, ბოლოს მაინც ყველაფერი ბალახით და ხეებით დაიფარება. და მთელი სამყარო ერთ დიდ ტყედ გადაიქცევა.

— „და იშრილებს, იშრილებს, იშრილებს“...

თამარ იაშვილი

ქარცემულ ბაღში მოშრილნი ხე მინდა ვიყო...



„დღეს ლანდი ვნახე ზაზა თვარაძის“, თითქოს ისევ კამათს აპირებს ჩემთან, როგორც ადრე...

...1995 წელია. „მაუგლის“ მაძლევს წასაკითხად, საბეჭდ მანქანაზე აკრეფილს, რომელიღაც ლიტერატურულ ჟურნალში აპირებს გამოქვეყნებას. თითქოს ჩემი აზრი არც აინტერესებს, ისე, სხვათა შორის მაძლევს... ვერ ითმენს, მეორე დღესვე მირეკავს. მეც, რა თქმა უნდა, უკვე ნაკითხული მაქვს. ბოლო არ მომწონს მისი მოთხრობის, თითქოს რაღაც აკლია, და გულახდილად ვუთხნები.

— ბაყაყის ბუდი რაში გაინტერესებს, ბაყაყი მკვდარია! — ბრაზდება.

— იმიტომ, რომ ბაყაყი იგივე მაუგლია! მეგონა, გაცოცხლდებოდა. იქნებ შეგცევა ალა დასასრული? — არ ვიშლი ჩემსას.

— მაინც როგორ?

— ხომ შეიძლება, მკვდარმა ბაყაყმა კანი გამოიცვალოს და კაცად გადაიქცეს? მერე კი მშვიდად გადაჭრის მოედანს და გაუჩინარდება.

— მე აღქმის კონსტანტობაზე ვწერ, შენ კი ზღაპარს მთავაზობ. რას გადაეკიდე ამ ბაყაყს? არა, არა, მე ის მოვიპოვო!..

აქ ჩვენი საუბარი წყდება.

მოგვიანებით, როცა ზაზას მოთხრობების პირველი კრებული „მოხეტიალე“ (1999 წელი) გამოვა და შიგ „მაუგლიც“ შეტანილია, აღმოვაჩენ, რომ აქა-იქ ჩაუსწორებია, რაღაცები ჩაუმატებია, დასასრულიც შეუცვლია, თუმცა არა ისე, როგორც მე ვურჩევდი. არ ვიცო, ჩემი რჩევა გაითვალისწინა თუ ნუგზარ შატაიძის, რომელიც ამ წიგნის რედაქტორი გახლდათ (პირველადი ვარიანტი, რომელიც ჩემთან დარჩა, დათარიღებულია 1993 წლის დეკემბრით).

...კაფეში. ზაზას მთელი ფული ყავაზე ძლივს გვეყო, მანამდე ჩემს ქუჩაზე უვლია წინ და უკან. მელოდა. არადა, შესაძლოა, სულაც გვიან დავბრუნებულყავი სახლში (ნეტავ როდემდე დამელოდებოდა? ხომ მოხვიდოდი როდესაცაა?!). მერე კაფეში დამპატიჟა, უკანასკნელი კაპიკები ამოკრიფა ჯიბიდან. მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული საქმე ჰქონდა. ბოლოს გაზეთი (მგონი, „არილი“ იყო) დამიღო წინ, ჩემი ახალი მოთხრობა („სალომე“) გამოქვეყნ-

და, ნაიკითხე, მაინტერესებს, რა შენიშვნები გექნებაო. ვიუარე, მაინც არაფერს ითვალისწინებ, თანაც უკვე დაბეჭდილია და რა აზრი აქვს-მეთქი. მაგრამ არაფრით მომეშვა და მეც რაღა დამრჩენოდა, დავიწყე და რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი გადმოვუღაგე. ზაზა თავდაცვის პოზიციაში იდგა. ბოლოს სათაურსაც მივადექი, სალომე რა შუაშია, აქ ძალიან მთავარი, რომელიც შენს შიშს გამოხატავს-მეთქი. ზაზა „თავს იმართლებდა“ — სალომეს მეშვეობით მოხდა შიშის დაძლევა, სალომეა მთავარი. მივხვდი, მის ცხოვრებაში ახალი ქალი გამოჩენილიყო, მაგრამ მაინც „დავარწმუნე“, რომ სათაური შეეცვალა. მოიფიქრა — „წითელი ძაღლი“ (შეიძლება უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა ან დანერგული „წითელი ძაღლები“ ან სულაც იმ მომენტში მოუვიდა აზრად ახალი მოთხრობის დანერგვა). ეს ვარიანტი დავუწუნე, რადგან მოთხრობაში ძაღლი არ იყო წითელი, მხოლოდ თვალები ჰქონდა ამ ფერის. ახლა აღარ მახსოვს, კიდევ რა სათაურებს

გაგიკვირდეს და არც არაფერი გენყინოსო. მე მაინც მწყინს...

უცებ გვერდითა მაგიდიდან ხანშიშესული კაცი თვალთ რაღაცას მანიშნებს. მის მზერას გავყევი და რას ვხედავ: ზაზა მობრუნებულია, კაფეში არ შემოდის, მინაზე ცხვირმიჭყლეტილი დგას და ცდილობს, კაფეში მსხდომნი დაინახოს. აინტერესებს, ისევ იქ ვართ თუ ნავედი. მე თავი ისევ გაზეთში ჩავრგე და ვითომც ვერ ვხედავ, გავაგრძელე კითხვა. სინამდვილეში ცალი თვალთ იქით ვიხედები და ერთი სული მაქვს, კაფეში შემოვიდეს, რომ გამარჯვება ვიხეიძო.

ბოლოს, როგორც იქნა, დამინახა, სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, ჩემთან მოიჭრა და ღამის იყვინა: მოვიფიქრე სათაური — „სალომე“ კი არა, „სალომეს!“ გაკვირვებისგან ხმა ჩამივარდა, თვალები შუბლზე ამივიდა. იფიქრა, ვერ გავიგე და ახსნა დამინყო: ს, ...ს დავამატე. უცებ ისეთი ხარხარი ამიტყდა, მთელი კაფე მე შემომყურებდა. ვერაფრით გაგჩერდი, რომ წარმოვიდგინე, ეს ამხელა „სცენა“ ამ ერთი უაზრო „ს“-ს გულისთვის მოაწყო, კარგა ხანს გარეთ ირბინა, იფიქრა და მერე ამაცი სახით მომახსენა. თანაც მოთხრობა იმ ქალისთვის რომ მიეძღვნა კიდევ, ვისზეც წერდა, მაინც აბსურდი იყო ასეთი სათაური, რადგან ქალის რეალური სახელი ჩანაცვლებული ჰქონდა.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ შევთანხმდით, რომ სათაურს იგივეს დატოვებდა. (მაინც აზრი არ ჰქონდა კამათს. ან მე რას დავიჟინე, არ ვიცო). ზაზა კმაყოფილი დარჩა.

დამშვიდობებისას მრავალმნიშვნელოვნად მაჩუქა რაღაც ბალახი თავის ფესვიან-მინიანად, რაც კაფეში უკან მობრუნებულმა თან მოიტანა და ბოლო ნუთამდე ხელში ეჭირა. სხვათა შორის, სახლში მისულმა ის ბალახი ჯერ სადღაც მივაგდე, მაგრამ შემდეგ ქოთანში ჩავრგე, იქნებ და რა აღმოცენებულიყო... ჩემს გაცუებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეგრეთ ნოდებული ბალახი ერთ მშვენიერ დღეს „განახლდა“ და ყვავილად იქცა — ნარგვი აღმოჩნდა...

...ზაზას „სიტყვები“ „ცისკარში“ რომ გამოქვეყნდა, დაეურეკე, მივულოცე, ძალიან მომეწონა-მეთქი. ყურმილში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს გაკვირვებულმა მკითხა:

— მართლა მოგეწონა?

დავუდასტურე, რომ მომეწონა და სანამ ჩამაცივდებოდა, რა არ მოგეწონაო, საუბარი სხვა საკითხზე გადავუტანე და დავემშვიდობე. გამიხარდა, რომ შენიშვნები ვერ დამტყუა. არ გასულა ორი წუთი და ტელეფონი რეკავს. ზაზაა.

— მართლა მოგეწონა? — მეკითხება...

ყოველთვის ის კი არ აინტერესებდა, რა მომეწონა, არამედ ის, რა არ მომწონდა. ამჯერად შენიშვნები არ მქონდა. არა იმიტომ, რომ ტექსტში საამისოდ არაფერი მოიძებნებოდა, არამედ მიმაჩნდა, რომ ეს იყო მისი „მთავარი წიგნი“, მისი შემოქმედების მწვერვალი (ახლაც ასე მგონია). საკუთარ თავში მრავალგზის ჩაღრმავებინა თუ უარყოფის, კომპლექსებთან თუ შიშებთან ბრძოლის შედეგად ზაზამ ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინა საკუთარი სამყარო — საოცარი და განუთქმობელი, სადაც ის თავად იყო შემოქმედი. იქ მას სხვისი დახმარება აღარ ჭირდებოდა, რადგან რაც უფრო ჩაღრმავდები საკუთარ მე-ში, რაც უფრო გაიგებ ფესვებს, მით უფრო ძლიერდები და შენს გარეთ არსებული სამყაროც შენ გემორჩილება. ამიტომაც „სიტყვების“ სამყაროში ზაზა ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი — წყალში.

აქ შეეძლო მას მკლავები შეერხია, როგორც ქარში მდგარ ხეს და სიტყვები ფოთლებად აეშრილებინა. მერე კი თქვა: „აქ არის ზეცა, აქ არის მზე — აჰა, შეხე!“

ბოლოს, როცა ყველაფერს დაფარავს ბალახი და ხეები, როცა „ჩვენ წინაშე ჰყვრი ისეთივე გამჭვირვალე და ინერტული იქნება, როგორც ხუთი ათასი წლის წინ“, სიტყვები მაინც იარსებებენ („სიტყვები, როგორც საშველი, სიტყვები, როგორც საშხილი“), იშრილებენ ტყეთა კოსმიურ დუღუნში (სიტყვა ხომ ცოცხალია)!

ცხოვრება, სავსე — ყურძნის მტევანებით...

- 108.1. გადებული თოხივით ჰქონდა მხარზე მზე მართლა.
- 108.2. გადებული თოხივით ჰქონდა მხარზე მართლა მზე.
- 108.3. გადებული თოხივით ჰქონდა მზე მართლა მხარზე.
- 108.4. გადებული თოხივით ჰქონდა მზე მხარზე მართლა.
- 108.5. გადებული თოხივით ჰქონდა მართლა მხარზე მზე.
- 108.6. გადებული თოხივით ჰქონდა მართლა მზე მხარზე.

- 109.1. ჰქონდა თოხივით მართლა მხარზე მზე გადებული.
- 109.2. ჰქონდა თოხივით მართლა მხარზე გადებული მზე.
- 109.3. ჰქონდა თოხივით მართლა მზე გადებული მხარზე.
- 109.4. ჰქონდა თოხივით მართლა მზე მხარზე გადებული.
- 109.5. ჰქონდა თოხივით მართლა გადებული მხარზე მზე.
- 109.6. ჰქონდა თოხივით მართლა გადებული მზე მხარზე.

- 110.1. მართლა თოხივით ჰქონდა მხარზე მზე გადებული.
- 110.2. მართლა თოხივით ჰქონდა მხარზე გადებული მზე.
- 110.3. მართლა თოხივით ჰქონდა მზე გადებული მხარზე.
- 110.4. მართლა თოხივით ჰქონდა მზე მხარზე გადებული.
- 110.5. მართლა თოხივით ჰქონდა გადებული მხარზე მზე.
- 110.6. მართლა თოხივით ჰქონდა გადებული მზე მხარზე.

- 111.1. ჰქონდა მართლა თოხივით მხარზე მზე გადებული.
- 111.2. ჰქონდა მართლა თოხივით მხარზე გადებული მზე.
- 111.3. ჰქონდა მართლა თოხივით მზე გადებული მხარზე.
- 111.4. ჰქონდა მართლა თოხივით მზე მხარზე გადებული.
- 111.5. ჰქონდა მართლა თოხივით გადებული მხარზე მზე.
- 111.6. ჰქონდა მართლა თოხივით გადებული მზე მხარზე.

- 112.1. თოხივით ჰქონდა მართლა მხარზე მზე გადებული.
- 112.2. თოხივით ჰქონდა მართლა მხარზე გადებული მზე.
- 112.3. თოხივით ჰქონდა მართლა მზე გადებული მხარზე.
- 112.4. თოხივით ჰქონდა მართლა მზე მხარზე გადებული.
- 112.5. თოხივით ჰქონდა მართლა გადებული მხარზე მზე.
- 112.6. თოხივით ჰქონდა მართლა გადებული მზე მხარზე.

- 113.1. მართლა ჰქონდა თოხივით მხარზე მზე გადებული.
- 113.2. მართლა ჰქონდა თოხივით მხარზე გადებული მზე.
- 113.3. მართლა ჰქონდა თოხივით მზე გადებული მხარზე.
- 113.4. მართლა ჰქონდა თოხივით მზე მხარზე გადებული.
- 113.5. მართლა ჰქონდა თოხივით გადებული მხარზე მზე.
- 113.6. მართლა ჰქონდა თოხივით გადებული მზე მხარზე.

- 114.1. თოხივით მართლა ჰქონდა მხარზე მზე გადებული.
- 114.2. თოხივით მართლა ჰქონდა მხარზე გადებული მზე.
- 114.3. თოხივით მართლა ჰქონდა მზე გადებული მხარზე.
- 114.4. თოხივით მართლა ჰქონდა მზე მხარზე გადებული.
- 114.5. თოხივით მართლა ჰქონდა გადებული მხარზე მზე.
- 114.6. თოხივით მართლა ჰქონდა გადებული მზე მხარზე.

- 115.1. გადებული მართლა თოხივით მხარზე მზე ჰქონდა.
- 115.2. გადებული მართლა თოხივით მხარზე ჰქონდა მზე.
- 115.3. გადებული მართლა თოხივით მზე ჰქონდა მხარზე.
- 115.4. გადებული მართლა თოხივით მზე მხარზე ჰქონდა.
- 115.5. გადებული მართლა თოხივით ჰქონდა მხარზე მზე.
- 115.6. გადებული მართლა თოხივით ჰქონდა მზე მხარზე.

- 116.1. თოხივით მართლა გადებული მხარზე მზე ჰქონდა.
- 116.2. თოხივით მართლა გადებული მხარზე ჰქონდა მზე.
- 116.3. თოხივით მართლა გადებული მზე მხარზე ჰქონდა.
- 116.4. თოხივით მართლა გადებული მზე მხარზე ჰქონდა.
- 116.5. თოხივით მართლა გადებული ჰქონდა მხარზე მზე.
- 116.6. თოხივით მართლა გადებული ჰქონდა მზე მხარზე.

- 117.1. გადებული თოხივით მართლა მხარზე მზე ჰქონდა.
- 117.2. გადებული თოხივით მართლა მხარზე ჰქონდა მზე.
- 117.3. გადებული თოხივით მართლა მზე ჰქონდა მხარზე.
- 117.4. გადებული თოხივით მართლა მზე მხარზე ჰქონდა.
- 117.5. გადებული თოხივით მართლა ჰქონდა მხარზე მზე.
- 117.6. გადებული თოხივით მართლა ჰქონდა მზე მხარზე.

- 118.1. მართლა გადებული თოხივით მხარზე მზე ჰქონდა.
- 118.2. მართლა გადებული თოხივით მხარზე ჰქონდა მზე.
- 118.3. მართლა გადებული თოხივით მზე ჰქონდა მხარზე.
- 118.4. მართლა გადებული თოხივით მზე მხარზე ჰქონდა.
- 118.5. მართლა გადებული თოხივით ჰქონდა მხარზე მზე.
- 118.6. მართლა გადებული თოხივით ჰქონდა მზე მხარზე.

- 119.1. თოხივით გადებული მართლა მხარზე მზე ჰქონდა.
- 119.2. თოხივით გადებული მართლა მხარზე ჰქონდა მზე.
- 119.3. თოხივით გადებული მართლა მზე ჰქონდა მხარზე.
- 119.4. თოხივით გადებული მართლა მზე მხარზე ჰქონდა.
- 119.5. თოხივით გადებული მართლა ჰქონდა მხარზე მზე.
- 119.6. თოხივით გადებული მართლა ჰქონდა მზე მხარზე.

- 120.1. მართლა თოხივით გადებული მხარზე მზე ჰქონდა.
- 120.2. მართლა თოხივით გადებული მხარზე ჰქონდა მზე.
- 120.3. მართლა თოხივით გადებული მზე ჰქონდა მხარზე.
- 120.4. მართლა თოხივით გადებული მზე მხარზე ჰქონდა.
- 120.5. მართლა თოხივით გადებული ჰქონდა მხარზე მზე.
- 120.6. მართლა თოხივით გადებული ჰქონდა მზე მხარზე.

ამასობაში ის ჩრდილი, გზაზე რომ მიდიოდა, ჩემი მზერის არედან გავიდა და მზეც ჩავიდა.

თოხივით არა, მართლა ჩავიდა.



ზაირა არსენიშვილის გარდაცვალებამ, მიუხედავად მწერლის სოლიდური ასაკისა, ჩემზე დამთრგუნველად იმოქმედა. ზაირას მსგავსი ადამიანები ამ ცხოვრების ისეთ ბალავარს ქმნიან, რომ გგონია, სულ უნდა იცოცხლონ, როგორც ყოფიერების იდუმალმა მესაძირკველებმა, წუთისოფლის ხალისისა და ჭირვარამის სრულად დამტყვევებმა.

ზაირა არსენიშვილიც, მიუხედავად თავისი საოცარი მოკრძალებულობისა და სიჩუმისა, ჩვენი კულტურული და სამწერლო ცხოვრების ერთ-ერთი ღონიერი ნიშანს-ვეტი იყო, რომლის არსებობაც ყოველთვის გაძლევდა იმედს, რომ სივრცე, სადაც ასეთი ადამიანი ტრიალებს, მუდამ იქნება დახვეწილი, ამალღებული და იმდენად ზნეობრივი, რომ ზედმეტს, არაგულწრფელს, უხამსსა და ვულგარულს არასოდეს არაფერს მიიკარებს.

ის თავისი სიღინჯით, აუჩქარებლობითა და გულიდან ნამოსული სიბრძნით იმ უკვე მინავლობით თაობის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ბრძანდებოდა, რომელთა შემხედვარე ადამიანს ადამიანად ყოფნა გეამაყებოდა, რადგან ეს ადამიანობა დატვირთული იყო ყველაზე ღრმა, ჯერ კიდევ გაუცვთელი და გაუხუნარი შინაარსით: საკუთარი თავის თითქმის რელიგიური უარყოფით მეორე ადამიანის, მოყვასის სასარგებლოდ. ზაირა თითქოს ასახიერებდა ფსალმუნის საოცარ სიტყვებს: „სული წმინდაი დაბადე ჩემ თანა, ღმერთო, და გული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“. ის ყოველ წამს წრფელი გულით იბადებოდა ცხოვრების ყველანაირ გამოვლინებაში: ყოფით ურთიერთობებში, მეგობრობაში, სიყვარულში და რაც მთავარია, თავის სრულიად უნიკალურ და არაჩვეულებრივ შემოქმედებაში.

სამწუხაროდ, ზაირა არსენიშვილის მემკვიდრეობა არ არის ისეთი მდიდარი, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, მწერალს რომ სხვა პირობებში და სხვა საზოგადოებრივი დაკვეთით ეცხოვრა.

მეც კი ბოლო დრომდე მას, როგორც სცენარისტს ისე უფრო ვიცნობდი. ცხადია, ამითაც ის იყო ძალზე მნიშვნელოვანი ადამიანი ჩვენი კულტურისთვის.

ორი არაჩვეულებრივი ქალბატონის — ზაირა არსენიშვილისა და ლანა ლოლობერიძის მეგობრობამ და შემოქმედებითმა ტანდემმა ქართული კინემატოგრაფია არაერთი ბრწყინვალე ფილმით გაამდიდრა. ზაირა არსენიშვილი იყო ათეულობით კინოსცენარის ავტორი, მათ შორის, „როცა აყვავდა ნუში“, „დღეს ღამე უთენებია“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ორმოტირალი“ და კიდევ არაერთი ფილმისა, რომლითაც ქალბატონმა ლანა ლოლობერიძემ მართლაც მთელი ეპოქა შექმნა და სრულიად განსხვავებული კინოენა დაამკვიდრა.

ამაში კი რეჟისორთან ერთად ლომის წილი სწორედ ფილმების სცენარის ავტორს — ზაირა არსენიშვილს ედო.

ამიტომაც, მხოლოდ ეს ფილმები რომ ყოფილიყო, ცხადია, ზაირა არსენიშვილს მუდამ ექნებოდა თავისი გამორჩეული ადგილი მეოცე საუკუნის ქართულ კულტურაში, იმ რამდენიმე მოთხრობასთან ერთად, ძალზე იშვიათად რომ დაუბეჭდავს სალიტერატურო პერიოდიკაში.

მისი დებიუტი ამ მხრივაც გამორჩეული აღმოჩნდა და ზაირა არსენიშვილის „შაჰბასა“, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო ქართული მოთხრობაა.

ამ ყველაფერს ახლა იმიტომ ვამბობ, რომ ზაირა არსენიშვილმა მხოლოდ სიცოცხლის ბოლო 15 წლის მანძილზე გამოაქვეყნა თავისი სამი ბრწყინვალე რომანი, რომელთაგან ორი ძალიან კარგი, ხოლო მესამე — „ვაჰ, სოფელო“, ვფიქრობ, რომ ჟანრის შედეგია. ოსტატობის ასეთი კლასი, რაც ამ უბრწყინვალეს ნაწარმოებში გვხვდება, იოლი მისაღწევად არ არის. ჩვეულებრივ, ასეთ ოსტატობას მთელი ცხოვრების განმავლობაში, საკუთარ თავზე და სიტყვაზე დიდი მუშაობის შედეგად თუ აღწევნა ხოლმე.

„ვაჰ, სოფელო“ მნიშვნელოვან მტევანით სავსე რომანია, მწერლის მთელი ცხოვრების წიგნი, სადაც ათას განცდასა და ნაფიქრში გამოტანვული დიდი სიმართლებია ჩანაურული. ამიტომაც მგონია, რომ ამ წიგნს ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავს ადამიანიც და ისიც, ვინც უკვე აღარ არის ადამიანი, მაგრამ ადამიანად ყოფნა ჯერ კიდევ ენატრება.

„ვაჰ, სოფელოც“ ამ მონატრების წიგნია — თითქოს უკვე არქაული, მაგრამ ამავე დროს ძალიან ცოცხალი და თანამედროვე ხასიათებითა და ტიპაჟებით. გამორჩეულია ნაწარმოების ენაც: წიგნში ისეთი ქართული მირაკრაკებს, ისე თავის ადგილას ზის თითოეული სიტყვა, ისე ოსტატურად ენაცვლება კილოკავი კილოკავს, რომ რომანი ქართული ენის სიმფონიასავით ჟღერს, კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებებით, სადაც არც ერთი ბგერა ზედმეტი არ არის.

ეს გამოცდილება ზაირა არსენიშვილს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში მოღვაწეობიდანაც ჰქონდა. ის წლების მანძილზე ამ ორკესტრის მუსიკოსი იყო და სწორედ სიმფონიური ორკესტრის ამბები უდევს საფუძვლად მის რომანს „რეჟიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის“, რომელიც საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდში, მეოცე საუკუნის დასაწყისისა და შუა ხანების ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებას აცოცხლებს.

დამშვიდობება, ალბათ, ძალიან ბანალური სიტყვა იქნებოდა, თუკი მას ზაირა არსენიშვილთან დაკავშირებით გამოვიყენებდით. პირიქით, მგონია, რომ მისი ნამდვილი სიცოცხლე ახლა უნდა დაიწყო, როცა ჩვენი საზოგადოება წაიკითხავს მის წიგნებს, გაიაზრებს და, რა თქმა უნდა, კუთვნილ ადგილს მიუჩენს იმ ღირებულ ნიმუშებთან, რაც ქართველ კაცს საამაყო და თავმოსაწონებელი შეუქმნია. ეს სიცოცხლე დაიწყება იმიტომაც, რომ ზაირა არსენიშვილის წიგნები და საერთოდ, მისი შემოქმედება, თაროზე, თუნდაც თავმოსაწონებლად, შემოდებული ძვირფასი ნივთი ნამდვილად არ არის. ეს დიდი გამოცდილებაა და ახლა ჩვენზე დამოკიდებული, გვეყოფა თუ არა ღირსება ამ გამოცდილების მისაღებად და გასაზიარებლად.

გიორგი ლოჟანიძე

2015 წლის 8 ივნისს მსოფლიო მედია „საუკუნის გამოცანის“, ჯუნა დავითაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციამ მოიცვა. საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ტელეარხზე ვუყურე გადაცემებს, ტელეშოუებს და სერიალსაც კი ჯუნას შესახებ — ისეთები, მართო „საუკუნის გამოცანა“ რომ დაიტყვდა. ამ ზღვა მასალას ჩემი ერთი მოკრძალებული მოგონებაც მინდა, გავერთო ასირიელთა დიდოფლის, ეგვიპტის იფაშენა სარდისის — ჯუნას შესახებ. ეს არის სრულიად უპრეტენზიო მოგონება, ისეთი, როგორც ჯუნაზე ჩემი და ჩემი წინა თაობის თითქმის ყველა თბილისელს რომ შეიძლება ჰქონდეს.

ჯუნა ჩვენთვის არც ასირიელი დედოფალი, არც გენერალი, არც აკადემიკოსი და არც გამოცანა არ ყოფილა. იყო ბატაისკიდან ჩამოსული ეგვიპტეური გარეგნობის, თავისუფალი ქვეყნის ძალიან კეთილი გოგონა, რომელიც მაშინდელი თბილისის ერთადერთ პოპულარულ კაფე „მეტროში“ ოფიციალურად მუშაობდა და გენიალურად მარჩიელობდა ყავაზე. „მეტროში“ იმდროინდელი შემოქმედებითი ბოჰემის (მამაჩემის და ჩემი ქმრის ჩათვლით), ვერის ძველბიჭობა (ბიძაჩემის ჩათვლით) და შედარებით გაბედული „სვეციკი“ გოგონები დადიოდნენ. თბილისელების ეს წრე, ვფიქრობ, „მეტროში“ სწორედ ჯუნას არსებობამ შეკრა. ლარიბ „ბოჰემისტებს“ და არანაკლებ ლარიბ ვერელ ძველ ბიჭებს თითქმის ყოველთვის გარანტირებული ჰქონდათ ნისია ყავა და სასმელი ჯუნასგან. თან, თუ ხასიათზე იყო, ამას მარჩიელობაც მოჰყვებოდა ხოლმე.

— მაგარი გოგო იყო. აბა, ერთი ვინმეს გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა, ჭიქას დაამსხვრევდა თავზე. ჯუნას ერთი ხმაბალი სიტყვა და მის გამოსაქომაგებლად ყველა ყალყზე ვდგებოდი. ერთხელ მე და ჯემომაც ვიჩხუბეთ მისი გულისთვის, — მეუბნება ჯუნას ძველი ავლაბრელი მეზობელი და ძმაცაი ვაჟა ჯიჯავაძე.

ჯემო ახალი გარდაცვლილი იყო. სახლში ვიჯექი გამოუსვლელად და ალბათ ასე ვიქნებოდი დღემდე, ჩემს უახლოეს მეგობარს ვერაგი სენი რომ არ შეჰყროდა. მაშინ გამოვედი სახლიდან პირველად და, ფაქტობრივად, მასთან გადავსახლდი. ერთ დღეს ტკივილებისგან გათანგულ ჩემ მეგობარს სამკურნალოდ სახლში სწორედ ის ეგვიპტეური გარეგნობის ოფიციალტი მოუყვანეს კაფე „მეტროდან“. თბილისში თურმე უკვე ლაპარაკობდნენ ჯუნას სასწაულმოქმედ ხელებზე. მან პირველივე შეხებით მოუხსნა ჩემ მეგობარს ტკივილი და შეება მისცა. უთხრა, მე შენ ვერაფრით დაგეხმარები, მაგრამ ენერგო ველებს გაგიხსნი და ამ ენერგიით შენ თავად დაამარცხებ დაავადებასო. კიდევ რამდენჯერმე ვნახე ჯუნა იმ ოჯახში. დაჟინებით ვუყურებდი ხოლმე თვალებში, მაგრამ არ დავლაპარაკებია. ისიც რაღაც უცნაურად მიყურებდა, ეტყობა, არ სიამოვნებდა ჩემი ასეთი მიშტერება.

ერთ საღამოს ჩემი დაქალი ტკივილმა შოკში ჩააგდო, ძლივს ამოიღულულულა, ჯუნას დაურეკეთო. ხასნაფოდ დაურეკეს. იმან იქიდან ბრძანა, ყურმილი გადაეცითო. კინაღამ გავცოფდი, ვიფიქრე ახლა მიღში გავძვრები და სულ თმებს დავანინკნი-მეთქი, მაგრამ ეს იყო და ჩემ თვალწინ ნაძვლილი სასწაული დატრიალდა:

— ბალიტ, ჯუნა, ბალიტ! — კვნესოდა ჩემი მეგობარი, — და, ბალიტ, ოჩენ ბალიტ!

ბალიტ — ყვიროდა ჩემი დაქალი და ასე ყვირილის დროს უეცრად მოეშვა, თავი გვერდზე გადააგდო და ღრმად ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, ბავშვები სად არიანო, იკითხა. მაშინლა გავგახსენდა, რომ რეზიკოს ბალიდან მოყვანა დაგვიწყებია. თითქოს ყველა ერთად გავითიმეთ.

იმ დღის მერე ჩემი მეგობარი ჯუნასთან თავისი ფეხით დადიოდა. ერთხელ მეც გავეყვი. საბურთალოსე იყო ის ბინა, პავლოვზე ან ვაჟაზე, ზუსტად არ მახსოვს. ბინის კარი ღია იყო. დერეფანში უამრავი ხალხი ტრიალებდა. თავი რკინიგზის სადგურზე მეგონა. ჯუნა მისაღებ ოთახში ვი-დაცას მკურნალობის სეანსს უტარებდა. ლოჯიაში შორეული ნაცნობები და უცნობები მხიარულობდნენ. ჩვენც იქ დავსხედით. ამ დროს ქალმა ასე, სამი-ოთხი წლის ბიჭი შემოიყვანა და ჯუნას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. იმან ჯიბიდან მთელი მუჭა ფული ამოიღო, იმ ქალს მის-

ცა, ბავშვი მაგრა ჩაკოცნა და ორივე გაისტუმრა. ეს იყო მისი შვილი ვაზო. კარგად დამამახსოვრდა. სეანსის დროს ჯუნასთვის თვალი არ მომიშორებია. ისე დაჟინებით მივმტერებოდი, ჩემ დაქალს კითხა, ვინ არის, რა უნდაო.

— ჩემი მეგობარია, მე წამომყვა, — უპასუხა იმან. ჯუნამ არაფერი თქვა, თავისი საქმე გააგრძელა და როცა სეანსს მორჩა, ჩემკენ მოტრიალდა

— შენ ვისაც ეძებ, ის აქ არ არის, აღარ არის, ცხოვრება გრძელდება. მოდი, აქ დაჯექი, — მიბრძანა. მე მორჩილად დავეჯექი სკამზე. ჯუნამ თავისი უგრძესი თითები თავზე გადაამისვა. ტანში მდულარე ჩამელვარა და ძალიან შემეშინდა, წამოდგომა ვცადე, მაგრამ ფეხები არ შემორჩილებოდა, მერე გავთბი, ფეხები დამიბუჟდა, თვალები მიმებნდა, ამიტრიალდა, საოცარი სიამოვნება ვიგრძენი. მერე ზუსტად იგივე თანმიმდევრობით დავბრუნდი უკან და თვალი გავახილე.

— მართალია, ცხოვრება გრძელდება, დიდი მაღლოდ, — ამოვღერდე და სკამიდან მძიმედ წამოვდექი.

— არაფერი გჭირს, „ზდაროვა კაკ ბიკ“, — დიაგნოზი დამისვა, — ეს უნდა გადაიტანო და გააგრძელო ცხოვრება.

ამის მერე ჯუნასთან კიდევ ერთხელ

მანანა ღუმბაძე

პასუხი არის ჯუნა



ვიყავი სხვა მეგობართან ერთად. იმას სოსო ერქვა და ჯუნასთან პირად საქმეზე მიდიოდა. მე, უბრალოდ, თან ვახლდი და მანქანაში დარჩენა არ ვისურვე. მიწოდდა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი ჯადოქარს, რომელზეც უკვე მთელი თბილისი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ახლა უკრაინელების გადაღებულ სერიალს ვუყურებ ჯუნაზე და უნებურად ის დღე მახსენდება, მე და სოსო ჯუნასთან რომ მივედი. ჯუნამ ვერ მიცნო, სოსოს კი ეტყობა, ელოდა, რადგან მაშინათვე მერე ოთახში გავიდა და იქიდან ცელოფანის პარკით რაღაც გამოუტანა. ვუყურებ სერიალს და აგატა კრისტის დეტექტივივით რაღაც ძველ, მაგრამ ჩემთვის სრულიად ახალ ამბავს ვხედავ ფარდას. ჯუნა ეკრანიდან თავის გათხოვების ამბავს ყვება.

როცა ვიქტორმა ცოლობა მთხოვა, უარი ვუთხარი, რადგან პირობა სხვისთვის მქონდა მიცემული, იმ სხვას სიციფემდე ვუყვაროდი და რამე რომ არ აეტყვა თავისთვის, ცოლად გაყოლას შევპირდი. ის გიჟმაჟი ყმანვილი დაპირებით დაუნყნარებია, მაგრამ ცოლად მაინც შევარდნადის რეფერენტ დავითაშვილს ვაპყობი. ახლაგაზრდა შეყვარებული ჯუნას ქორნილის დღეს ავტოკატასტროფაში მოჰყვია. სერიალში გაურკვეველია, რა მოუვიდა იმ ყმანვილს — გადარჩა, მოკვდა. აქცენტი იმაზეა დასმული, რომ ეს ტრაგედია მაინცდამაინც ჯუნას ქორნილის დღეს მოხდა და ამ დღეს იტყვის ის ცხოვრებაში თავის საკვანძო ფრაზას: „ვისაც მე ვუყვარვარ, ყველას თავს რაღაც დიდი უბედურება ატყდება!“ ერთი ბანალური ისტორიაა. ჩემთვისაც ასე იქნებოდა, იმ ახლაგაზრდა შეყვარებულ პერსონაჟს სერიალში სახელად „სოსო“ რომ არ ერქვას.

მამაჩემის მეგობრის ცოლს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს ლენინგრადში და თბილისში ოპერაციის გაუკეთებლად გამოუშვეს. სამოცდაათიანი წლების მიწურული იყო, თბილისში ჯუნას ფერომენი საყოველთაო გამოკვლევის საგნად იქცა. ექსპერიმენტებს ატარებდნენ მასზეც და მის პაციენტებზეც. ვისაც ხელი მიუწვდებოდა ჯუნამდე, ყველაფრის სამკურნალოდ მასთან მივბოდა, უკეთეს შემთხვევაში, სახლში მოჰყავდა. დეიდა გულნარასთანაც ჰყავდათ, მაგრამ ჯუნამ მას ხელი არ მოჰკიდა, ახლობლებს უთხრა, მე აქ არაფერი მესაქმება, დაგვიანებულიაო.

მამაჩემს მერე ინფარქტი ახალი გადატანილი ჰქონდა და რეაბილიტაციის პერიოდს სახლში გადიოდა. ერთ საღამოს ვაჟა ფლენტმა დარეკა, ნოდართან ჯუნა უნდა მოვიყვანო. მამაჩემი ჯუნას, რა თქმა უნდა, იცნობდა კაფე „მეტროდან“, რადგან „ნიანგის“ რედაქცია, „დროშა“, „მერანი“, კიდევ სხვა რედაქციები მაშინ „ზარია ვოსტოკას“ შენობაში იყო განთავსებული, რუსთაველის პროსპექტზე, კაფე „მეტროს“ მოპირდაპირე მხარეს და ახალგაზრდა მწერლები, ანუ „ბოჰემისტები“, რომლებზეც ზემოთ მოგახსენებდით, ძირითადად იქ „მოღვაწეობდნენ“. იმ საღამოს ისე დაემთხვა, რომ ჩვენთან სახლში

— ამოვარდნები დამენყო.
— ვიცი, ბევრი მომივიდა, — დაეთანხმა ჯუნა, — მაგრამ ეგ არაფერია, ახლავე ჩაგინყნარდება.
— ვა, ტო, მართლა ეგეთი მაგარი ხარ?
— ძალიან ფამილიარულად წამოიძახა ბიძაჩემმა, — აბა, მეც გამსინჯე?
— შენ რა გჭირს, რომ გაგსინჯო, — გაეცინა ჯუნას.
— მაინც გამსინჯე, რა ვიცი, მთელი ვერა შენთან დადის და ბარემ მეც გამიკეთე ეგ გიჟოზი.
— არა!
— რატომ?
— აზრზე არა ხარ, რა გინდა და იმიტომ.

— სლუში, შენ რა იცი, რომ არა ვარ, გამიკეთე და ნახავ! — არ მოუშვა გურამი.
— აქ დადექი, — უთხრა ჯუნამ.

გურამი შუა ოთახში დადგა, ჯუნა უკნიდან დაუდგა, ხელები ჯერ კისერთან მიუტანა, მერე ფეხებამდე დაუყვა. მერე მხრებთან შეაჩერა ხელები და უკან გადმოიწია. გურამი ხელებს გამოჰყვია, ცოტაც და იატაკს გაუსწორებოდა. მერე ჯუნამ ხელები წინ გასწია და გურამიც მიჰყვა. ცხვირით არ დაებრეხვოს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არა, გურამი ჯუნას ხელებს უკან

ბიძაჩემი გურამ გუგუნავაც იმყოფებოდა. ის მამაჩემისგან განსხვავებით „ბოჰემის“ წრეს არ განეკუთვნებოდა — ვერელი „სვეციკი ბიჭი“ იყო. ჯუნას ისიც კარგად იცნობდა, ამიტომ დარჩა და მის მოსვლას დაელოდა. ვაჟა ბიძიამ და ჯუნამ დაიგვიანეს. გულის ფანცქალით ველოდი მათ გამოჩენას. კარი მამამ გაუღო.

— ნოდარკა, — შესძახა ჯუნამ, მისასალმებლად გამონვდილი ხელი მამაჩემი მიიხიდა და გულში ჩაიკრა. მამაც თბილად გადაეხვია.

— გამარჯობა, ნოდარჩიკ, საყვარელო, რამ შეგანუხა... — მამამ და ჯუნამ დიდხანს ისაუბრეს, იცინეს, ვინლა და რაღა არ გაიხსენეს, — სკაჟი, კაკ ედიკ? — უცბად ყველასგან გამოორევით მოიკითხა ედიკერ ყიფიანი.

— ედიკა დავნო უჟე ნეტ, ჯუნა! — ხმა აუკანკალდა მამას, — ინფარქტით გარდაიცვალა.

საკუთარი თვალთ დაინახე, როგორ აუნყლიანდა ამ გრძნულ ქალს უზარმაზარი შავი თვალები.

— უმერ! — თქვა მან გაურკვეველი მისამართით და ნამში სასაუბრო თემა შეცვალა.

ვაჟა ფლენტმა რამდენჯერმე შეახსენა, ნოდარი გასინჯეო. ჯუნას ამაზე ელიმებოდა. ბოლოს მაჯაზე დაადო ხელი მამას და საუბარი განაგრძო. სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში ბიძაჩემი გურამი. ჯუნასკენ გაიწია, მაგრამ ჯუნამ ანიშნა, მაცალეო. მამაჩემის მაჯას უსმენდა. ჩვენ გასუსულები ვისხედით.

— დამენვა, ჯუნა, გამიშვი! — იყვირა მამაჩემმა, — გულიც ამიჩქარდა!
— ნუ გეშინია, არაფერი მოგივა, — დაამშვიდა ჯუნამ.

გაჰყვა. როცა ვერტიკალური მდგომარეობა მიაღებინა, ჯუნამ ხელები დასწია და მაგრა დაიფერთხა.

— სულ ესა ხარ, ჯიგარო? — არ დაუფასა ჰიზნოზი გურამმა.

— ჰო, სულ ესა ვარ, ხომ ხედავ, შენზე ჩემი „ჩარები“ არ მოქმედებენ.

— არა, სლუში, მართლა მაგარი ხარ ხომ იცი, ისე მარწვედა, როგორც აკვანში.

— კიდევ კარგი, ალიარე, თორემ ხომ მოგვეჭრებოდა თავი, — ვედარ გაუძლო გურამის ფამილიარობას ვაჟა ფლენტმა.

სულ ერთი წუთით გავედი ოთახიდან. როცა დავბრუნდი, ფერნასული ჯუნა სავარძელში ესვენა და დედაჩემი წნევას უზომავდა. თავბრუ დახვევია. ძალიან დაბალი წნევა ჰქონდა. დედაჩემმა წამალი შესთავაზა, მაგრამ ჯუნამ მართო წყალი დალია.

— დილიდან არ გაჩერებულხარ, დაილაღე, გამოიფიტე, ეგ შენი ენერგია შენვე გაგანადგურებს ცოტა თუ არ დაზოგე, — ნუხდა ვაჟა ბიძია და ჯუნას მაჯაზე ედო ხელი.

— ნიჩევო, ახლავე გამივლის, ნუ გეშინიათ, არაფერი მომივა, — გვამშვიდებდა ჯუნა, — ნეტავ ამის მეტი პრობლემა არ მქონდეს.

— ფრთხილად იყავი, ჯუნა, ჯიქურ ნუ მიაჭრი, თორემ მოგსპობენ, არ გაპატყებენ, გაფრთხილებ! — უთხრა მამაჩემმა. მივხვდი, რომ ჩემს იქ არყოფნაში რაღაც ძალიან სერიოზული და საინტერესო გამოვტოვე.

— არ მეშინია, ეგენი არაფერს არ წარმოადგენენ, „პუსტოე მესტო“, ვერაფერს დამიშავებენ.

— ასე ნუ ამბობ, ქრისტე ჯვარს აცვეს!
— ჰოდა, მე მზად ვარ ჯვარცმისთვის!

— ესე იგი, გინდა, რომ ჯვარს გაცვან?
 — არა, მაგრამ მზად ვარ! — გაიმეორა ჯუნამ

— სანამ ჯვარს გაცვას, ეგებ წნევის ასანწევით რამე დაგელო, თორემ გაიბარე და ეგაა, — დაილოგის შემსუბუქება სცადა დედაჩემმა.

— ყავა მირჩევნია, თუ არ შენუხდებით. მე ყავის მოსადუღებლად გავედი. როცა უკან დავბრუნდი, ჯუნამ მამაჩემს ეუბნებოდა, ძალიან ძლიერი ბიოველი გაქვს და იმდენად სუფთა აურა, ყველას იქ უნდა შეიძროს, ხალხს მაგნიტივით იზიდავო. ეს სიტყვები არასდროს დამიწყებია, რადგან მართლაც ასე იყო. სანყალი მამაჩემი საკუთარ კაბინეტშიც კი ვერ ახერხებდა განმარტობას. რამდენიმე წუთი და ყველა იქ შევრბოდით. სადაც მიდიოდა, შლიეფივით უკან მივსდევდით მთელი ოჯახი. ასე იყო სამსახურშიც. მისი კაბინეტი თითქმის სულ ხალხით იყო სავსე. ზოგჯერ სრულიად უსაქმოდ ისხდნენ, არც კი საუბრობდნენ, ყველა თავისთვის იჯდა და ფიქრობდა, ოღონდ მაინც და მაინც იქ, მის ოთახში. ამას არაერთხელ შევსწრებია ვარ, რადგან მეც იქ ვიჯექი ხოლმე. ზღვის ნაპირზე უყვარდა ჩასვლა და მთვარის ბილიკის ცქერა მარტოს. ვინ აცლიდა, წამში თავს მთელი მრავალფეროვანი „ტურბაზა“ დააცხრებოდა ხოლმე. ახლა ყურში ისევ ჯუნამს სიტყვები ჩამესმის და მგონია, მამა აქ არის და ჩვენ ყველა მის ვარდისფერ, სუფთა აურაში ვცურავთ.

— ამ დღეებში კიდევ მოვალ შენთან, ჯერ არ დამითავრება, დიდი გამარჯვება გეღის წინ, ყველაფერს გეტყვი, — თქვა ჯუნამ

— მოვალთ, მოვალთ, — დაუდასტურა ვაჟამ.

— მოგეცადათ ცოტა, თავბრუ აღარ გეხვევა? — ჩაკითხა დედაჩემი.

— კიდევ სამ ოჯახში ელოდებიან, — გაშალა ხელები ვაჟა ბიძამ.

— რას ამბობ, მოკვდება, არ ნახვიდე ჯუნამ! — არ წყნარდებოდა დედაჩემი.

— კარგად ვარ, არაფერი მომივა, ნუ გეშინიათ, — უპასუხა მან, წამოდგა და მამაჩემი შეილივით ჩაიკრა გულში.

— კარგი, აბა, ვაჟა, წაიყვანე და გაუფრთხილდი, მალე გელოდებით.

ისევ სერიას ვუყურებ. სულ 12 სერიაა. თბილისის ამბები ძალიან ხელოვნური მეჩვენება. ახლა იმას, რისი მონაცემი ვარ და რაც ახლომდებარე განიგია, სერიალში აღწერილი თბილისურ ამბებს ვაძარებ და ერთი საერთო სურათის შექმნას ვცდილობ. სერიებში, რომელსაც ამ წუთას უჩვენებენ, ჯუნამს თბილისში ჩამოსვლის ამბავია მოთხრობილი. არადა, ზუსტად ვიცი, სად ცხოვრობდა: მეტროსადგურში „26 კომისის“ (ახლა ავლაბარი) უკან რომ სკვერია, იმ უბანში, ფილანტოვის ქუჩაზე, ამ იერკავკასიის სამხედრო მომარაგების საწყობების დასახლებაში. მის მეზობლად ჩემი და ჯემოს მეჯვარე, ბათუმელი ვაჟა ჯიჯავაძე ბათუმის მილიციას მამიდამისთან ემალეობდა. ვაჟას ბინა ძალიან პატარა იყო, თითქმის მინური, უფანჯრო ოთახი და პატარა, ერთფანჯრიანი კორიდორი. ჩემი მახსოვრობის შესამოწმებლად ვაჟას ვურეკავ.

— კი, აქ ცხოვრობდა, მაგრამ ეზოში რომ ორსართულიანი სახლი იდგა, იქ, მეორე სართულზე. მაშინ ჯუნამ ის ჯუნამ არ იყო, ბატაისკიდან ჩამოსული ერთი კარგად აწყობილი გოგო იყო და „მეტროში“ ოფიციალურად მუშაობდა. ვემგობრობდით. როგორ არ უმარჩივლია, რამდენჯერაც გინდა, მითხრა, ახლა არ დაგიჭერენ, დიდი ხანი გავა და მერე მოგაკითხავენო. ჰოდა, დღემდე ველოდები, როდის მომაკითხავენ, — იცინის ვაჟა, — ნახევარი საუკუნე გავიდა მას მერე. მეზობლები გადაბრუნებული ყავის ჭიქებით დასდევდნენ, არავის უარს არ ეუბნებოდა, რაღაც ასირიული რვეულები ჰქონდა, დიდი წიგნიც და იქიდანაც წინასწარმეტყველებდა. ისეთი ახტაჯანა იყო, ბიჭები სულ „სმინაზე“ იდგნენ. უკვე დავითაშვილი იყო, მაგრამ მისი ქმრის ოჯახი არ ღებულობდა და ქმარი აქ აკითხავდა. მაღალი, სიმპატიური კაცი იყო. ჯუნამ უმცროს დასთან ერთად ცხოვრობდა. იმ დას მირიგებდა. მამიდაჩემმა ეს რომ გაიგო, გაცოფდა და მაგის ფეხი აქ აღარ დავინახო, გამომიცხადა. ბოლოს, კაფეში მუშაობას თავი დაანება და სადღაც მთაწმინდაზე გადავიდა, ეტყობა, ქმართან. ამის მერე ჯუნამ აღარ მინახავს. რატომ მეკითხები?

— გუშინწინ ჯუნამ გარდაიცვალა.

— ვაა, რას ამბობ, ძალიან მეწყინა, კარგი ქალი იყო, კეთილი...
 — ახლა სერიას ვუყურებ მასზე და რაღაც-რაღაცების დაზუსტება მინდა. აქ ამბობენ, 49 წლიანიაო. გამოდის შენხელაა, ასეა?
 — არა, კაცო, ჩემხელა მისი უმცროსი და იყო. ჯუნამ ჩემზე 5 წლით უფროსი მამიცი იქნებოდა.
 — მეც ასე მეგონა, ბიძაჩემის ხნის. კიდევ მომიყვები რამე, მოთხრობის დაწერა მინდა ჯუნამზე.
 — რას ამბობ?
 — აბა, თურმე იმდენი რამე მქონია გასახსენებელი...
 — თუ კიდევ გამახსენდა რამე, დაგირეკავ. ჩემი ამბავი ხომ იცი, მოყოლა არ მეხერხება.
 იმ პირველი ვიზიტის შემდეგ ჯუნამ კიდევ ერთხელ მოვიდა ჩვენთან, ამჯერად ვაჟა ფენდის გარეშე. დაბლა ელოდებოდნენ მანქანაში. ლოჯიაში ისხდნენ, ოვალურ მაგიდასთან. არავითარი სენსი არ ჩაუტარებია, ისევ ისაუბრეს ერთხანს. მაშინ ჯუნამ მამაჩემს უწინასწარმეტყველა: „ძალიან დიდი ჯილდო უნდა მიიღო, ყველაზე დიდი ჯილდო ამ ქვეყანაში, მაგრამ შენ ამ ჯილდოს მისაღებად არ ნახვალ. იმდენ წინააღმდეგობას გამოივლის ეგ რაღაცა, კარგად იქნება, თუ არ ნახვალ. მოსკოვიდან თავად ჩამოგიტანენ!“ მამაჩემი ჯუნამს ჯანმრთელობაზე ეკითხებოდა, ის კი იმ დიდ ჯილდოზე ლაპარაკობდა დაჟინებით. რამდენჯერმე გაუმეორა, არ ნახვიდე იქ, თვითონ ჩამოგიტანენო. ახლა ვხვდები, რატომ არ ამახვილებდა ჯუნამ ყურადღებას მამას ჯანმრთელობაზე, ხედავდა, რა მდგომარეობა ჰქონდა და იმას უყვებოდა, რაც მის დარჩენილ, ხანმოკლე ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო. ცდილობდა, გაეფრთხილებინა და რაღაც-რაღაცეებისგან დაეცვა, რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

სულგანაბული ვუსმენდი. როცა დამითავრა და ნასასვლელად მოემზადა, კისერზე ჩამოვეკიდე.

— მეც რა, ჯუნამ, მეც მითხარი, მეც მიმოკითხავ, რა მოხდა? — ვევედრებოდი.

— შენ კარტზე გიმკითხავებ! ახალი „კალოდა“ გაქვს?
 — მაქვს, რატომ კარტზე?
 — იმიტომ, რომ ნახევრად ბოშა ვარ, — გაეცინა ჯუნამს, — ბედზე გიმარჩილებ. უჯერიდან კარტის გაუსხნელი შეკვრა ამოვიღე და წინ დავუდე!
 — ახლა ფული დადე!
 — რა ფული?
 — ხურდა. კარტები უფულოდ არ ლაპარაკობენ.
 მაგიდაზე აბაზიანი დავდე. ჯუნამ აიღო.

— ბედზე მკითხაობა რა ნიშნავს?
 — მთელ შენ ცხოვრებაზე გიმკითხავებ! შიშისგან ერთი კი გამაფრიალა, მაგრამ ისე მინდოდა მისი მკითხაობის გამოცემა, ყველაფრის მოსახსენება მზად ვიყავი. დავაი-მეთქი, ვუთხარი და წავიდა... ზოგადი სამკითხაო ფრაზების კორინტელი შორეულ გზებზე, შესაძლო კატასტროფებზე, მომავალ ქორწინებებზე, სიცოცხლის გრძელ, მაგრამ რამდენიმე ადგილას განყვეტილ ხაზზე. მისი მკითხაობა იმდენად ზოგადი და ბუნდოვანი მეჩვენა, ცოტა არ იყოს, იმედიც კი გამიცრუვდა, ჯუნამსგან ამკარად მეტს ველოდი... ახლა ვხვდები და ვხედავ, რომ ის, რაც ვითომ ზოგად ჭრილობა იყო და ბუნდოვნად მიამბო, ყოველივე მათემატიკური სიზუსტით, ნაბიჯ-ნაბიჯ მისრულდება. კიდევ ერთი-ორი დეტალი და დარჩა ასახდენი და ვაჟა ჯიჯავაძისა არ იყოს, იმის მოლოდინში ვარ.

რაც შეეხება მამაჩემისთვის ნაწინასწარმეტყველებს, მართლაც სასწაულია — ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ახდა: მალე საქართველომ ნოდარ ღუმბაძე, „მარადისობის კანონისთვის“ ლიტერატურის დარგში, ლენინურ პრემიაზე წარადგინა. ოფიციალურ წარდგენაზე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ავად გახდა და წარდგენაზე არც თვითონ წავიდა და არც სხვა ვინმე წარმომადგენელი გააგზავნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რომ მამაჩემის (ერთადერთი ქართველი მწერლის, რომელსაც ეს პრემია აქვს მიღებული) კანდიდატურას სხდომის დროს მექანიკურად მოხსნიდნენ. ასეც მოხდებოდა, რომ დარბაზიდან რასულ გამზათოვი არ წამოჭრილიყო და არ ეთქვა: ნოდარ ღუმბაძე მარტო საქართველოს არ ეკუთვნის, ის საბჭოთა მწერალია და მე

და ყაისინ ყულიევსაც შეგვიძლია მისთვის რეკომენდაციის მიცემაო. ასე მიიღეს ქართველი მწერლის კანდიდატურა იმ წლის ლენინურ პრემიაზე. წარდგენა მოხდა, ახლა პრემიების მიმნიჭებელ ცენტრალურ კომიტეტში საქართველოდან „ანონიმების“ და ხელმოწერილი დასმენების მთელი ნიაღვარი წავიდა. წერდნენ, ამ მწერალს საბჭოთა კავშირი ეზიზღება, თავის წიგნს თეთრგვარდიული დროშის სახელი „თეთრი ბაირალები“ დაარქვაო, ქართველი სოლჟენიცინიაო, პრემიაზე წარდგენილი წიგნის მთავარი გმირი მღვდელია, ქალი პერსონაჟი — მარია მაგდალინელიო. მოკლედ, ყველაფერი ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუშვიდა... პრემია მიანიჭეს და გადაცემის ცერემონიაზე მოსკოვში დაიბარეს, მაგრამ მამამ ავად ვარ და ვერ ჩამოვალ — შეუთვალა. პრემიაც და ორდენიც თბილისში ზარზემით ჩამოუტანეს. ამ უპრეცედენტო ფაქტს მთელი სოციალისტური და, წარმოდგენილი, კაპიტალისტური მედიაც აშუქებდა.

ისევ სერიას ვუყურებ. ჯუნამს ბიოგრაფი მასალის მოსაგროვებლად ცნობილი შუააზიელი რეჟისორისგან იღებს ინტერვიუს. რეჟისორის სახელს ჯერ არ ვახსენებ, რადგან სერიალში იგი შეცვლილია. არადა, მე მას პირადად ვიცნობდი. 91 წელს მე და ჩემი მეგობარი თამარიკო მაისურაძე ტრანზიტით ვენის აეროპორტში ვისხედით. კაფეში ყავას ვსვამდით, როცა აზიური გარეგნობის მამაკაცი გამოგვეცნაურა.

— გამარჯობა, გოგოებო, ქართველები ხართ?
 — დიახ.
 — კარგია. თქვენ საუბარზე მივხვდი, რომ ქართველები ხართ და გამიხარდა, ხუთი საათია უკვე აქ ვზივარ მუხვივით, მიყვარს ქართველები, — ეს კაცი, მართალია, ცოტა ნასვამი იყო, მაგრამ ძალიან უშუალო ჩანდა და გაღიზიანებას არ იწვევდა.

— ქართული გესმით? — ჰკითხა თამარიკომ.

— არა, ინტონაციით ვხვდები, კარგად ვიცნობ საქართველოს, ბევრი მეგობარი მყავს თქვენ ქვეყანაში. შეიძლება, თქვენს მაგიდასთან დავჯდეთ და ნამცხვარზე დაგპატიყოთ? ვენური „პეროუნები“ მსოფლიოში საუკეთესოა.

— მობრძანდით, მაგრამ შენუხება არაა საჭირო, — უთხრა თამარამ.

— რა შენუხება, ისე გამიხარდა თქვენი დანახვა, ძლივს დამლაპარაკებელი ვიპოვნე. მე ახლც ხამრავი ვარ, რეჟისორი, თქვენი სახელები?
 — მე თამარა მაისურაძე ვარ, ეს მანანა ღუმბაძეა.
 — ღუმბაძე ცნობილი გვარია. მე ორი ღუმბაძე ვიცი. ერთი — მსოფლიო ჩემპიონი ბადრის ტყორცნაში, ნინა ღუმბაძე და მეორე — მშვენიერი ქართველი მწერალი, ნოდარ ღუმბაძე.
 — ჰოდა, მანანა ნოდარ ღუმბაძის შვილია.
 — მართლა?! მე, ბებია, ილიკო და ილარიონი ფანტასტიური რომანია, ძალიან, ძალიან მიხარია, — თქვა ხამრავმა და ოფიციალურად სამი ნაჭერი ვენური ტორტი შეუკვთა, — ღუმბაძეს არ ვიცნობ, მაგრამ რეზო ამამუკელს, კნიაზ ჭაბუა ამირეჯიბს, ლაშა თაბუკაშვილს კარგად ვიცნობ. ესენი თქვენც გეცოდინებათ.
 — როგორ არა!
 — ჰოდა, ჩემგან ყველას დიდი მოკითხვა გადაეცით. ჯუნამ ხომ თბილისელია. გაგიგიათ ჯუნამ დავითაშვილი?
 — როგორ არა, კარგად ვიცნობდი. თბილისში ძალიან პოპულარული იყო, რაც მოსკოვში გადავიდა, აღარ მინახავს, — ჩავურაკრაკე მე.
 — აბა, კარგად იცნობდი იმ გიჟს?
 — კი, მაგრამ რატომ გიჟს? ძალიანაც ნორმალური ქალი იყო.
 — გიჟი იყო და არის, მაგას რა გამოცვლიდა. სისხლი გამიშრო!
 — ასე ახლოს ხართ მასთან?
 — ფილმში ვიღებდი, მთელი დასი ჭკუიდან გადაიყვანა.
 — კი, ცოტა უხეშოაო, თბილისშიც ამბობდნენ, — თქვა თამარამ.
 — უხეში კი არა, გიჟია-მეთქი. რასაც უნდა, იმას აკეთებს, ლამის თვითონ გადაელო ის ფილმი და სცენარიც თვითონ დაწერა. კვირაობით იკარგებოდა. ერთი გაქრობის შემდეგ, პლასტიკური ოპერაცი-

ით დაბრუნდა. ეს რა ქენი, კინალამ გარეკე, მე შენი გარეგნობა ისეთი მჭირდებოდა, როგორც გქონდა-მეთქი, იმან კი, ასე უფრო ლამაზი ვარო.

— ფილმს რა ბედი ენია, დახურეთ? — დავინტერესდი მე.
 — არა, ჯუნამს კადრები მთლიანად ამოვიღე.
 — როგორ არ მოკალით?! — შევეყვირე.
 — რა მოვკალი, სიგეფემდე მიყვარს! — იცინოდა ხამრავი.
 — ჰოდა, ახია თქვენზე! — მიახალა თამარამ.
 — ახია, ახი! — დაეთანხმა რეჟისორი. მერე უცბად ფეხზე წამოდგა და ნახეთ, ვინ მოდისო, მოგვმართა, — სერგეი ვლადიმეროვიჩი, გამარჯობა, როგორ ბრძანდებით, საიდან საით?
 ეს კაცი პოეტი სერგეი მიხალკოვი იყო — ცოცხალი რუსი კლასიკოსი, ორი გამოჩენილი რეჟისორის ნიკიტა და ანდრეი მიხალკოვების მამა. მაღალი, სიმპატიური გრძელი ნაცრისფერი ლაბადა ეცვა და კაკოსფერი ტყავის ჩანთა ეჭირა. ხამრავმა ყველა მიხალკოვი სიყვარულით მოიკითხა, მერე სერგეი ვლადიმეროვიჩი ჩვენს მაგიდასთან მოიპატიჟა, მაგრამ იმან მოიმიზეზა, ჩემი რეისი გამოაცხადესო და დაგვტოვა, ოღონდ ნასვლის წინ მე და თამარიკო უმშვენიერესი კომპლიმენტებით შეგვაშკო.

— კიდევ მომიყვით რამე ჯუნამზე? — შევეხვეწე ხამრავს.
 — ეჰ, ჯუნამზე რა უნდა მოგიყვე, ერთი უბედური ქალია, მაგის სახლში ვინ მიდის, ვინ მოდის, კაცმა არ იცის, ვიღაც გაუგებარი ხალხი მართავს მის სახლსაც, ქონებასაც და ცხოვრებასაც. მე იქ მისი ნამდვილი მეგობარი დიდი ხანია, არ მი-ნახავს. აი, შენ თუ მართლა გიყვარს, დაურეკე, თავი გაახსენე, გაუხარდება, თბილისი ძალიან უყვარს, თუმცა კი იძახის, იქ არ დამაყენეს, ბევრი მტერი გამიჩნდაო...
 ალიკა ხამრავი კონიაკს წრუპავდა და კარგადაც მოეკიდა. ჩვენი რეისი რომ გამოცხადეს, გამოცოცხლდა, გაახსენდა, რაც დამიბარა და ჯუნამს ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა, თან დასძინა, აუცილებლად დაურეკე იმ მარტოსულ გიჟსო.

მოსკოვში ათი დღე დავრჩი. პირველი დღეები სულ თეატრებში, ახლომდებარე რესტორნებში გავატარე. მერე, „საქმე“ რომ გამომელია, ალიკა ხამრავი და ჯუნამს ტელეფონის ნომერი გამახსენდა. და-ვურეკე. ვიღაც ქალმა ზრდილობიანად მიპასუხა, ახლა ჯუნამ არ გახლავთ, თქვენი სახელი და ტელეფონის ნომერი დატოვეთ, გადავიცემ და თავად დაგიკავშირდებათო. რა თქმა უნდა, არავინ დამკავშირებია. ეს იყო და ეს, ჯუნამსთან დაკონტაქტების მეტი მცდელობა აღარ მქონია. ერთხელაც ჭორად გავიგე, ჯუნამ შუაზიელ რეჟისორს გაჰყვა ცოლადო. სერიალში ამაზე არაფერია ნათქვამი.

ერთი შემთხვევა კიდევ მახსენდება. მოსკოვის ტელევიზიის რომელიღაც არხზე ჯუნამს სამკურნალო გადაცემა მიჰყავდა. შემთხვევით ერთ-ერთს ვუყურე და შევისწავლე კიდევ ჯუნამს მეთოდით როგორ გამეუმჯობესებინა მხედველობა. ერთხანს ერთგულად ვასრულებდი იმ ვარჯიშებს, მერე, როგორც ხდება ხოლმე, მომბზრდა და თავი დავანებე. ახლა ძალიან მინდა, გავიხსენო რა და როგორ, მაგრამ თავს ვერ ვაბამ. ალბათ ამიტომაცაა, რომ ჩემმა მხედველობამ +3.5-ს მიაღწია და უსათვალოდ უკვე აფიშების კითხვაც მიჭირს.

ესეც ჯუნამს ბედია! ხედავთ, ჩემი უმნიშვნელო პრობლემაც მას მივანერე. და, რამდენია ასეთი ჩემნაირი? რამდენს აკერია პირზე მისი სახელი ასეთ და ისეთ კონტექსტში? რამდენი არ ასვენებს საფლავში არც მას და არც მის უბედურ შვილს? მალე ჯუნამს აღზევების ახალი ტალღა წამოვა. მიუძღვნიან ახალ წიგნებს, ფილმებს, მოგონებებს (როგორც მე) ათასი ტყუილითა და მართლით, რამდენი დაიბრალებს მის „ნამდვილ“ მემკვიდრეობას, რა შარავანდელით შემოსავენ ასირიელთა ბოლო დედოფალს და რა მანტიას მოასხამენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა საპატიო გენერალს... ვინ იცის?!

მე ვიცი ის, რომ შენ, ჩემო ვეგენია ივაშვილი, ერთი ძალიან საინტერესო კუნძული ხარ ჩემ უღიმღამო ცხოვრებაში და ამ კუნძულს „საუკუნის გამოცხადება“ პასუხი გაცემული აქვს — **ჯუნამ!**

აოატი

სოსო მეშველიანი

სოსო მეშველიანი ჩვენი გაზეთის წყალობით გავიცანი. კი არ გავიცანი, აღმოვაჩინე, რადგან, ალბათ, მხოლოდ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის აღმოჩენისას გრძნობ ასეთ უცნაურ სიხარულს და ივსები უცნაური იმედით, სახელსაც რომ ვერ არქმევ.

ჩვენ მწერალთა სახლში შეხვედით. თქვა, რომ საუბარს წერა ერჩივნა — თუ შესაძლებელია, კითხვებს შინ წავიღებ და გულიანად ჩავუჯდებო. შევთანხმდით. ორივე კრებული მაჩუქა, „ლამესასნაული“ და „მიულაპარი“ და სანამ ის პასუხებს უჯდა, მე მის ლექსებს ვკითხულობდი — მესმოდა სიმინდების შრიალი, წარმოვიდგენდი ქალაქების გაზმორვას კბილების კრაჭუნით, თვალნი მდგა მფეთქავ სივრცეებს შესობილი ბასრი პროფილი და თხილის უმწვანეს, თავისებურსუნთან ფოთოლს შავ ხბოსთან ერთად ვყრისავდი. გადავწყვიტე, „საბაზე“ ამ პოეზიას ვუგულშემატკივრო. მანამდე კი, აი, მისი პასუხები ჩემს კითხვებზე:

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ სვანეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისგან განსხვავებით, პოეზიას არასერიოზულად უყურებენ, ამიტომ ჩემს კითხვებში დიდხანს არ გამიმხვლია, რომ ლექსებს ვწერდიო. თქვენი ჩანაწერებიც წავიკითხე, მამასთან ერთად გატარებულ დღეებზე რომ წერდით. იქ, მთაში, სხვა გარემოა, სხვა სინამდვილეა თითქოს. მომიყვებით თქვენს ბავშვობაზე, პირველ შეხვედრაზე მხატვრულ სიტყვასთან, ლექსთან, ზოგადად ლიტერატურასთან, პირველ წიგნებთან.

— ეს, სამწუხაროდ, დღემდე ასეა, ვერ მიეჩვიე ჩემს პოეტობას. იმ გარემოსთვის, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე, დღემდე ვრჩები ყველაზე განდევნილი, რთულ, ყველასთვის გაუცხოებულ ადამიანად. ადრე საშინლად განვიცდიდი ყოველივე ამას, ახლა ცოტა მივეჩვიე, მაგრამ როცა ამ თემას ჩავუღრმავებდი ხოლმე, ისეთი სევდა მომანვება, ლამის ვიტყვი. ჩემი ყველაზე ძვირფასი ადამიანებისგან ასე გამრიცხა პოეზიამ, ასე გამიმეტა ლექსმა მარადიული მარტოობისთვის. თავიდან, თითქოს, ვერც ვხვდებოდი, ან უბრალოდ, არ მინდოდა, ამაზე მეფიქრა. წიგნის სიგიჟემდე შეყვარებამ ყველასთან გამირთულა ურთიერთობა, მათ შორის მშობლებთანაც. მათთვის წარმოუდგენელი იყო, როცა ამდენი საქმე, ამდენი პრობლემა ჰქონდა სოფელს, როცა ასე ჭირდა ცხოვრება — ოთხმოცდაათიან წლებს ვგულისხმობ — როგორ შეეძლო მათ შვილს, ოთახში ჩაკეტილი და საათობით წიგნებზე დამხობილი, სრულიად მონყვეტილი ყოფილიყო რეალურ სამყაროს. შემოაღწევდა ხოლმე მამაჩემის ცივი, მკაცრი, ორლესულზე ბასრი ხმა ჩემს საკუთარ, ასე სათუთად აწყობილ სამყაროში და ყველაფერს აზანზარებდა: „რა ჯანდაბას აკეთებ ამდენ ხანს ოთახში, საქონელი მოსაძებნია, თივა შესაგროვებელი, ხარები დასაჭედი...“

ცხადია, ფიზიკური მუშაობა არც მამის მაკლდა, არც მას შემდეგ, ორგანიზმშიც ისეა მიჩვეული, თუ ფიზიკურად არ დავილაღე, ვერ ვიძინებ, საძილე აბები მჭირდება, მაგრამ მამაჩემი რა გიჟი მუშაც თვითონ იყო, ჩვენგანაც იგივეს მოითხოვდა. ასეთმა თავგანწირულმა მუშაობამ შეინარა კიდევ, უსაშველოდ დადლილმა გრილი წყლით შხაპის მიღება გადაწყვიტა და გული გაუსკდა. მოგვიანებით, ლექსი დავწერე „ლობიის ლურჯი ყვავილი“ და მამის ხსოვნას ვუძღვენი, ასევე — „ხარის სიკვდილი“.

ხშირად ვამბობ ხოლმე, ემიგრაციაში ყოფნის დროს მე შევეფარე სიტყვას, რომ სულ არ დავკარგულიყავი. ცხადია, პოეზიას ვგულისხმობ, ვგულისხმობ საკუთარ ლექსებს. მაგრამ ჩემს ყმანელოკაცობაში, როცა ლექსების წერა ჯერაც არ მქონდა დაწყებული, როცა მხოლოდ მკითხველი ვიყავი, თავდაუზოგავი მკითხველი, მაშინაც სიტყვას ვიყავი შეფარებული, სხვის სიტყვას. განსაკუთრებით ის პერიოდი დამამახსოვრდა, როცა ბედისწერამ ასე მოულოდნელად, ასე დაუკითხავად გადაგვისროლა შუა საუკუნეებში. ზოგჯერ რომელიმე ნივთი თუ შეგვახსენებდა იმ ეპოქის არსებობას, რომელსაც, წესით, მივეკუთვნოდით. წარმოიდგინეთ, ერთი მთიანი ყრუ სოფელი, მანამდე რომ ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, უშუქობა, უგზობა, უტრანსპორტობა, ექსტრემიანი მკაცრი ზამთარი, ყელამდე თოვლი, ასე მთელი არსებით ერთ ადგილზე დავუბნელები — ერთადერთი ვიყავი, ვინც კითხვით, წიგნით, ვირჩენდი თავს. გულს მიკლავდა უსაქმურობით გალოთებული

ჩემი სოფლის ბიჭების ყურება, რომლებიც სიგარეტის ნაცვლად, პლანს ეწოდნენ, რადგან უფილტროც აღარსად ეშოვებოდათ, რომლებიც რატომღაც დამცინოდნენ კიდევ, როცა სოფლის ბიბლიოთეკიდან წიგნებით დატვირთული გამოვიდოდი — სოფლის „ბირჟა“ იქვე იყო — ამაზე მეც ავენთობოდი ხოლმე... ზოგჯერ კი პირიქით, მომინდებოდა მათთან ქვიფი, დაღვევა, მაგრამ იმდენად სხვანაირად იყვნენ, შეუძლებელი იყო ბოლომდე იმ სუფრაზე დარჩენა.

ახლახან ერთი მეგობარი პოეტი დაინტერესდა ჩემი იმდროინდელი ამბებით,



მასაც მოუყვიე. ერთხანს დუმდა, მერე მითხრა: „იცი, იქნებ იმ წინააღმდეგობებმა განაპირობა, რომ პოეზიაში ასეთი თავისებური ხარ“. ამან ცოტა ჩამაფიქრა.

— როგორ დაიწყეთ წერა? დაწყება ყოველთვის საინტერესოა. მგონი, ეს სტუდენტობისას მოხდა.

— ალბათ, გონებაში. ასე, ზეპირად, ყოველთვის რაღაცას ვწერდი. სტუდენტობის დროს, უბრალოდ, ფურცლებზე გადატანა დავიწყე. ხან არ გადამქონდა, ხან ვხვდები. რასაც ვტოვებდი, ისიც წლობით იკეტებოდა სადმე, მოგვიანებით კი მავიწყდებოდა. სწორედ ჩემ გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო არ მინდოდა, მწერა. უბრალოდ, მოდიოდა და ვწერდი, შემდეგ კი ასე იკარგებოდა ყველაფერი, ყველაფერი საწყისს უბრუნდებოდა. სწავლით არაფრით გამოვირჩეოდი დაწარჩენებისგან. გაკვეთილების მომზადებას ყოველთვის კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა მერჩია, მასწავლებლებს ნიჭიერი, მაგრამ ძალიან ზარმაცე, კითხვის მოძულე ბავშვი ვეგონე. მე კი სულ ვკითხულობდი, ვკითხულობდი ყველგან — მთაში, სათიბში, ყანაში, როცა კი დროს გამოვინახავდი. წიგნი მუდამ თან მქონდა. ერთი ასეთი ამბავი დამამახსოვრდა: ზაფხულის არდადეგების შემდეგ, ჩვენი სკოლის დამრიგებელი ეკითხება თავის ხელდასმულ ხუთოსან გოგონებს: „აბა, ჩემო გვრიტებო, რა ნაიკითხეთ ამ ზაფხულს?“ ერთმა: „ბიძია თომას ქობი“, მეორემ: „ტომ სოიერის თავგადასავალი“, მესამემ უთუღ ვერის რომელიღაც მოთხრობა დაასახელა. ესენი მეხუთე-მეექვსე კლასში მქონდა ნაკითხული, უკვე მერვეში ვიყავით და მათ პასუხებზე სცილოდი ვერ შევიკავე. ამაზე მასწავლებელი გაცხარდა: „კი მაგრამ, შენ რა ნაიკითხე, შენ, ძროხებისა და თხების ჩამონველის მეტი რომ არაფერი იცი“. საშინლად გავბრაზდი, „გამიტყდა“, მაგრამ არაფერი მითქვამს, ან რას ვეტყვოდი, როგორ გავებავდი შეკითხვას, ის კი არ ცხრებოდა. შემდეგ, ჩემმა კლასელმა ბიჭმა, რომელმაც მთელი ზაფხული ჩემთან ერთად გაატარა მთაში, უთხრა, რომ სულ რაღაცას ვკითხულობდი. ის კი უფრო

დაინტერესდა, რაღაც ეშმაკურად ჩამეძია. ბოლოს ვუთხარი, „შაჯი მურატის მოჭრილი თავი“ და „კაცი, რომელიც იცინის“ ნაკითხე-მეთქი, კიდევ რაღაცები მივაყარე. ეგონა, ვატყუებდი, ავტორები მკითხა — ჩამოვუთვალე. მივხვდი, რომ ის ნაწარმოებები არ ნაეკითხა, არც გაეგონა.

— თქვენ და სვანეთი, თქვენ და თბილისი, თქვენ და ესპანეთი — ისინი თქვენში და თქვენ — მათში. დამოკიდებულებებზე მესაუბრეთ, ჩვეულებრივ ცხოვრებასა და წერაზე.

— ჩემი ბოლო კრებულის „მიულაპარის“ წინასიტყვაობაში რედაქტორი ზვიად კვარაცხელია წერს: „წიგნში თითქოს ერთმანეთს ერწყმის წინაგანი და ტერიტორიული ემიგრაცია. ეს ორი უმწვავესი განცდა, მძაფრი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ყველგან შეიძლება დაგეუფლოს — როგორც აქ, სამშობლოში, ისე საკუთარი ქვეყნისგან მოშორებულს“. ეს არის ყველაზე მოკლე და ზუსტი შეფასება. ჩემთან ასე ხდება: სანამ კალამს ავიღებ, ლექსი თავში კარგა ხანს მწიფდება. შემიძლია, სამი-ოთხი ლექსი დავწერო ზეპირად. ხშირად ეს ფურცლებზე გადაუტანელი ლექსები ერთმანეთში გადადის, ერთმანეთში იხლართება, ერთმანეთს ავსებს,



ინოვს, ერთ მთლიანობად იქცევა. ამიტომ ზეპირად დაწერილი ოთხი ლექსიდან, ერთი შეძლებისდაგვარად დაპრესილი ლექსი გადადის ქალაქად. ამ უცნაური ჩვევის გამო ესპანეთზე დაწერილი ლექსები, ძირითადად, საქართველოშია შექმნილი და პირიქით. მაქვს ჩანაწერების ციკლი, ერთი ვრცელი პუბლიკაცია „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა, ეს ერთგვარი დებიუტი იყო პროზაში. იქ ვწერ იმ დამოკიდებულებებზე, იმ რთულ, ძალიან უბრალო, მაგრამ საინტერესო ემიგრანტულ ცხოვრებაზე.

— პირველი წიგნი „ლამესასნაული“, ნინო სადღობელაშვილის არაჩვეულებრივი ანოტაციით, 2011-ში გამოვიდა. არადა, წერა, ქალაქად ზეპირად, დიდი ხნის დაწყებული გქონდათ. პირველი ლექსები „ცისკარში“ დაბეჭდეთ, შემდეგ — „ჩვენს მწერლობაში“, იმავე ჟურნალის პრემიის ლაურეატიც გახდით. წიგნის გამოცემას რატომ აჭიანურებდით?

— ყოველთვის რაღაცას ვაჭიანურებ. დღემდე ვერ წარმომიდგენია ტექსტის ასე, პირდაპირ კლავიატურაზე აკრეფა. რვეულში, ბლოკნოტში ან თაბახის ფურცლებზე ვწერ. იქ დიდხანს რჩება. შემდეგ, ბეჭდვას რომ ვიწყებ, ტექსტი გვარიაანად იცვლება. ბოლოს, როცა სადმე გავზავნას ან გამოქვეყნებას დავაპირებ, უზრუნველბი, ისევ ვასწორებ. სულ ასე იყო. ეს ერთგვარ ჩვევად მექცა. ასე ხდებოდა მაშინაც, როცა მარტო ჩემთვის ვწერდი. თხუთმეტი წელი, ალბათ მეტიც, აზრად არ მომსვლია, ვინმესთვის ნამეკითხა, გამოქვეყნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ერთხელ ასე მოხდა: ტყე-ღრე დავეტეხებოდი, როგორც ადრე, განმარტებობისთვის, მაშინ მოვლოდი მქონდა უცხოეთი, უფრო დედაქალაქში მიხდებოდა ცხოვრება, სახლში დაბრუნებული კი, ჩემსას არ ვიშლიდი, დავდიოდი და თან საქმესაც ვაკეთებდი — სამიზნო, სათიბის მოვლა, სკოის ან ნორჩი სპორტივტი გვიმრის (ერთგვარი ჯიშია, რომლისგანაც უგემრიელესი ფხალი მზადდება) შეგროვება მყოფნიდა, საკარტოფილე ნაკვეთსაც ვამონებდი. ღორებს რომ არ მოეკალოათ.

ერთხელ, რატომღაც, მომინდა, ხის მალალ გადანაჭრზე ავსულიყავი და მთელი ხმით საკუთარი ლექსი წამეკითხა. მასსოვს, როგორ მეუცხოა საკუთარი ხმა, ის სტიქონებიც ერთადერთია, რაც დღემდე ზეპირად მასსოვს:

„ნაღდად არ ვიცი, ვერ მივხვდარვარ, ზოგჯერ რა მომდის. სიმშვიდე ორთქლავს ჩემი სიზმრის ფერად ვიტრინებს, გადანაწილდა ნორჩ ფოთლებზე ნვიმა გრამობით, აკაციებმა მწვანე ცრემლით გამომიტირეს“.

რაღაცნაირად გამოვფხიზლდი. მივხვდი, რომ ეს ძალიან უბრალო სტრიქონები არ ჰგავდა არც ერთს, რაც მანამდე წამეკითხა ან მომესმინა. მაშინ გადავწყვიტე, მეხსნა ისინი ჩემივე ტერორისგან. ყოყმანის შემდეგ, დაძაბულობისგან ერთიანად აკანკალებულმა, ჯერ ბატონ ბალათერ არაბულს მივუტანე „ცისკარის“ რედაქციაში, შემდეგ უხერხულობისგან დამუნჯებულმა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას მივაკითხე. საოცარმა ლიტერატორებმა და კარგმა ადამიანებმა მთლიანად შეცვალეს ჩემი მომავალი. ჟურნალის ერთ-ერთმა რედაქტორმა, შესანიშნავმა პოეტმა და მთარგმნელმა, გიორგი ლოზიანიძემ მეორე დღესვე დამირეკა, დამიბარა, მესაუბრა, ლექსები კი პირველსავე ნომერში დაბეჭდეს, ცოტა ხანში მეორე პუბლიკაციაც მიაყოლეს და ასე, მოულოდნელად, ანეყო ყველაფერი.

— მომიყვით „მიულაპარზე“ — თქვენი ცხოვრებისა და პოეზიის რა ნაწილი, რა გამოცდილება აღიბეჭდა კრებულში?

— ჩემმა მეგობარმა, მწერალმა და რედაქტორმა, ზვიად კვარაცხელიამ მითხრა, თუ ლექსები დაგიგროვდა, მოდი, გამოვცეთო. დავთანხმდი, წიგნის რედაქტორობა თავად ითავა და ორიგინალური სახელიც შეურჩია — კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსის სათაური — „მიულაპარ“. ეს სვანური სიტყვაა და მზის ჩასვლის ადგილს ნიშნავს. საკუთარ ლექსებზე ძალიან მიჭირს საუბარი, უბრალოდ ვიტყვი, ამ კრებულში ბოლო სამ წელიწადში დაწერილი ლექსების გარდა, არის უფრო ადრე დაწერილი ის ლექსებიც, წინა კრებულში რომ არ შესულა. მათ შორის — „კარგა ხნით გადამალული ლექსი“, რომლის დაბეჭდვის შემდეგ საოცარი შვება ვიგრძენი. რაღაცნაირად გულზე მომეშვა, ვინანე კიდევ, აქამდე რომ არსად გამომიქვეყნებია.

ეს კრებულებიც, ისევე, როგორც წინა, ერთი ამოსუნთქვაა, მაგრამ მაინც — სხვადასხვა ლექსის გარდა, იქ არის ორი ციკლი „დანამცვეცილები ლექსები“ და „მაჭპა სიცოცხლის ხის ქვეშ“. ამათგან პირველი რობაის მცდელობაა, სრულიად განსხვავებული მიდგომით, მეორე კი მთლიანად წარმართულ-ფოლკლორულ-მითოლოგიური თემებით არის გაჯერებული. უცნაური! გენიალურ კირკეგორს ვკითხულობდი და უცებ მოვიდა ეს ყველაფერი. იტყვი, საიდან სადო, მაგრამ ასე მოხდა. თითქოს ყველაფერი ჩემში იყო და ვერ ვაგნებდი, სხვა დამემარა. ისედაც, სვანეთში გაზრდილს, უცნაური, წარმართული რიტუალების მონაწილეს, შეუძლებელია, გვერდი ამეგლო იმისთვის, რაც ასე ღრმად ჩამებეჭდა მესხიერებაში.

— „საბას“ ფინალისტებს შორის ხართ. რა განცდაა ეს?

— სიმართლე გითხრა, კონკურსის შესახებ აღარც მასსოვდა, რატომღაც მეგონა, რომ ჩამოვშორდი ლიტერატურულ მოვლენებს. ამიტომაც ჩემმა მეგობარმა, მწერალმა ნათია როსტიაშვილმა „ფეისბუქით“ რომ მომილოცა, ერთხანს აზრზე ვერ მოვედი, რას მილოცავდა, როგორც შემდეგ გაირკვა — ფინალში გასვლას. ცოტა ხანში უცნობმა გოგომ დამირეკა, ტელევიზიიდან ვართ და თქვენი ჩანერა გვინდაო. მეგონა, სხვაში შევეშალე, გაუგებრად ვუბუტუბუტებდი რაღაცას, მიმიხვდა და ყველაფერი ამიხსნა. მოგვიანებით, როგორც ყოველთვის, სოციალურ ქსელებში ამ ამბის გარჩევა დაიწყო. ერთი ასეთი კომენტარი მომხვდა თვალში: „ზოგს ეს პრემია დიდებისთვის, სახელისთვის, იმიჯისთვის სჭირდება, ზოგს იმისთვის, რომ ამოინიოს, მე პირადად

ფულის კუთხით ვუყურებ — ყველა იმას ეძებს, რაც აკლია. მართალია, ეს ყველაფერი მაკლია, მაგრამ არასდროს მიოცნებია მსგავს რამეებზე, არც მიფიქრია. უბრალოდ, შეუძლებელია, ასეთმა ყურადღებამ ძალიან არ გაგახაროს, სტიმული არ მოგცეს.

— რაც ხელში ჩამივარდება, ყველაფერს ვკითხულობ, წერთ ერთგან. არ ვიცი, ესპანურ ლიტერატურულ პერიოდიკასაც თუ ადევნებთ თვალს, იქნებ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე თქვენი დამოკიდებულება გავიზიაროთ. ნავიკითხე ძალიან საინტერესო ნაწერი, ლაპარაკობდით ჩვენს „სიშორეზე“ ესპანეთთან — როგორც სახელმწიფოსთან და ასევე, მის ლიტერატურასთან, იმ ავტორებთან, რომლებსაც თითქმის არ ვიცნობთ.

— არ არსებობს ქართული ლიტერატურული პერიოდიკა, მე რომ არ ვეცნობოდე, ხარისხს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, როგორც მკითხველი. ასე უფრო მოსახერხებელია ამა თუ იმ ლიტერატურული გამოცემის ხარისხის განსაზღვრა. ისედაც ერთიანად დავეწაფე იმას, რაც წლების განმავლობაში მაკლდა, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ერთმა კარგმა ლიტერატორმა, ჩემი კომენტარის საპასუხოდ შენიშნა — ხომ ხედავ ასეც ხდება, ზოგჯერ შენი უცოდინრობა შენი ცოდნაა, იქნებ ამან განაპირობა, რომ არავის გავლენას არ განიცდო. ალბათ, ასეც არის, თორემ შეუძლებელია, ამდენი კარგი, თანამედროვე პოეტის გადამკვიდე, ცოტუნებას არ აყვობდი. რაც შეეხება იქაურ ლიტერატურულ პროცესებს, დრო თითქმის არ მრჩება, მას თვალი ვადევნო, თუკი რამე ლიტერატურული გამოცემა ჩამივარდა ხელთ, გზადაგზა ვკითხულობ. საერთოდაც ასე ხდება, თუ თბილისში არ ვარ, ყველაფერს გზადაგზა ვკითხულობ, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. არც იმის დრო მაქვს, სადმე დავეჯდე და ყველაფერი გააზრებულად დავეწერო, აქა-იქ თუ ჩავინიშნავ ხოლმე ზეპირად დანერგულ ლექსებს. შეიძლება ამიტომაც არის, რომ უფრო კონვენციური ლექსისკენ ვიხრები, ვერლიბრი ხომ ძნელად დასამახსოვრებელია..

— არაფერს თარგმნი?



— ვერ ვიტყვი რომ ვთარგმნი. თუ დროს გამოვნახავ, გადმოვაქართულებ ხოლმე, სერიოზული არაფერი მითარგმნია. ენის გასატეხად პატარა, რთულ ტექსტებს ვარჩევ. ასე შემომეთარგმნა ბორხესის რამდენიმე პიკუ, ასევე ბენედეტის მინიატურები. დიდი იმედი მაქვს, როდისმე სერიოზულად ჩავუჯდები ამ საქმეს. ცოტა არ იყოს, მალიზიანებს კიდევ, იმდენი ახალგაზრდა მთარგმნელი ჰყავს ინგლისურენოვან ლიტერატურას, არც სხვა ენებიდან მთარგმნელების დეფიციტი იგრძნობა, მხოლოდ ის ვერ გამიგია, რატომ არის ესპანური ენა, ამ მხრივ, გამოწკილი. ენა, რომელზეც სერვანტესი, უნამუნო და ბორხესი წერდნენ.

— ლიტერატურულ გაზეთში“ თქვენი პროზაული ჩანაწერები გამოქვეყნდება ბიუტი შედგა. მანამდე, „თივის ლოგი-

ნის“ ნაკითხვის შემდეგ, შთაბეჭდილების ქვეშ, მეც ვფიქრობდი, ნეტავ, პროზაში არ მოსინჯავს კალამს-მეთქი? ახლახან ერთ-ერთ ინტერნეტვერდზე კი ეწერა: „ამჟამად მუშაობს პროზაში“. პოეზიას — უარი?

— „ძლივს „საკუთარი თვალით“ დავინახე ეს უცხოეთი“ — ცხადია, პოეტის ხელწერაა, მაგრამ ამას ვერ (ნუ) გაექცევი, რადგან პოეზია და პროზა სექსივითაა. ადამიანი ან პოეტად იბადება ან პროზაიკოსად. „ქირურგიული“ ჩარევები არ მიყვარს და მგონი, არცაა საჭირო. „წარმატებები“ — დამინერა გია არგანაშვილმა „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებული ჩემი პირველი პროზაული პუბლიკაციის შემდეგ. ის ჩემი უფროსი მეგობარია, ძალიან კარგი ლიტერატორი, რომლის გემოვნებასაც ბოლომდე ვენდობი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ ჩემი პოეზია სრულიად განსხვავდება ჩემივე პროზისგან. შეიძლება ითქვას, არც არაფერი აქვს საერთო. შესაძლოა, აქა-იქ პოეტური გადახვევები მქონდეს, თუმცა ეს არაფერს ცვლის, ისიც არ ვიცი, რა უნარში ვწერ, ვიცი, რომ პროზაა და მორჩა. უბრალოდ, შეუძლებელი მერჩვენა, იმ ყველაფრის ლექსებად წერა, რასაც ვგრძნობდი თუ განვიცდიდი. ლექსების წერის პარალელურად, პატარა-პატარა პროზაულ ჩანაწერებს ყოველთვის ვაკეთებდი, ზოგს თავი აკლდა, ზოგს ბოლო, არც პროზად აღვიქვამდი, უბრალოდ, რაღაცას ვინიშნავდი და მორჩა. ერთხელაც მაჩადოს ქართულად თარგმნილი ლექსების კრებულისთვის წინასიტყვაობა მთხოვეს, რატომღაც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. თუ რომელიმე დიდ პოეტზე შემიძლია გაუთავებლად საუბარი, ერთ-ერთი მაჩადოა. მეგონა, დრო მქონდა, არხეინად ვხნავდი და ვბარავდი — მაშინ სოფელი ვიყავი — მაჩადოზე ფიქრს აქა-იქ თუ მივბრუნდებოდი, უცებ ზვიად კვარაცხელია მირეკავს და მეუბნება, კრებული გამოსაცემად მზად არის და წინასიტყვაობა ეჩქარებათო. დავიბენი, საღამოს ჩავუჯექი, უცებ გამახსენდა, ინტერნეტი არ მქონდა და ნაწერს ვერ გადავუგზავნიდი. ზვიადმა მითხრა, რაც დანერგე, ტელეფონით მიკარნახე და ჩავინერო. მერე თვითონ აუკრიფავს, დაულაგებია და, რაც მთავარია, მოსწონებიანო, ეს არც დაუმალავს. მითხრა, ისე კარგად გამოგდის, პროზას ხომ არ მოსინჯავდიო. მეგონა, ხუმრობდა. მერე როცა გავუხსილე, რაღაც ჩანაწერები მაქვს-მეთქი, ასე ვთქვათ, მაიძულა, გულიანად ჩავჯდომოდი. „ლიტერატურული გაზეთის“ იმ ნომრის გამოსვლამდე ისე ვლელავდი, ვინანე კიდევ ჩანაწერების რედაქციაში გავზავნა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, ბევრმა კარგმა ლიტერატორმა მომწერა, გააგრძელო და წარმატებები მისურვა. შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც დაიბეჭდა რაღაცები. თუმცა, პროზის წერა ბევრად რთული გამოდგა, სულ უნდა იჯდე და იმუშაო, მე კი ჯერჯერობით ამის ფუფუნება არ მაქვს.

ესაუბრა თამარ ჟურული



გურამ მეგრელიშვილი

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი ნიგნები“ — ფარგლებში გამართული შემოქმედებითი ტურნე აჭარაში.

ისტატუს, ნიგნებისა და აჭარული სამზარეულოს შესახებ

1. „მოხუცების ადგილი აქ არ არის“

ბათუმში „ცოცხალი ნიგნების“ შეხვედრებამდე ორი დღით ადრე ჩავდივარ. სამსახურიდან მივლინება მაქვს და „ბარაბულკისა“ და ქარაღანას დაგემოვნებას ვასწრებ. აქამდე არასოდეს მიჭამია არც ერთი და თავს პირობა მივეცი, წელს მაინც მოვახერხო.

ჯიპისით იმ სასტუმროს ვეძებ, რომელშიც უნდა გადავბარგდე. სადღაც ახლოსაა იმასთან, რომელშიც ვცხოვრობ, მაგრამ მიგნება მაინც მიჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სამხედრო არქიტექტორის დაპროექტებულია, მე აქაურ ქუჩებში გაგნება მაინც ყოველთვის მირთულდება. მხოლოდ ის ვიცი, ზღვა საითაა, ზღვას მაინც ვპოულობ, ეგეც შელავათია.

სასტუმრო სახლში ყაზახი დამსვენებლები არიან. დიასახლისი მეუბნება, რომ მწერლები ნასულეები არიან. ოთახში მამინავეებს, სადაც სკამიც კი არაა ტანსაცმლის გადასაკიდებლად.

ეზოში ასაკოვანი კაცი ქათამს პუტავს და წუნუნებს, ბებერი ქათამი შემოგვტენსო. ტურისტები მიმოფანტული ზუმბულის ირგვლივ დგანან და ისეთი ინტერესით უყურებენ პროცესს, თითქოს რომის წმინდა პეტრეს ტაძარს ათვალიერებდნენ.

დაძინება არ გამოდის. ნიგნის ნაკითხვა უქეთები გადანწყვეტება. ბოლო დროს ისეთი რეჟიმი მაქვს, ცოტას ვკითხულობ. მაკარტის ნიგნი ცუდი თარგმანი არაა, მაგრამ არც ძალიან სანიმუშოა (რაღაცნაირად შევარდნაძესავით გამომივიდა, ორი სანინალმდეგო პოზიცია დავაფიქსირე). ვცდილობ, შევადარო ფილმი და ნიგნი, ორივე თავისებურად მაგარია.

მოკლედ, პროექტი „ცოცხალი ნიგნები“ ბათუმში ჩასული და ავტორები ვართ: თემურ ჩალაბაშვილი, მანანა ჩიტიშვილი, ელა გოჩიაშვილი, მანანა დუმბაძე, მარიამ ნიკლაური, არჩილ ქიქოძე და მე.

ყველა ავტორს ვიცნობ, როგორც ავტორს, სახეზე მხოლოდ მანანა დუმბაძე, მარიამი და არჩილი ვიცი.

პირველი დღეა. დანარჩენი ავტორები ერთმანეთს კარგად იცნობენ, საუბრობენ ნიგნებზე, ამინდზე, წნევაზე, ქალაქგეგმარებაზეც კი, მე ჯერ უცხოვარ ვარ, მაგრამ მალე ვშინაურდებით. არჩილი მეორე დღეს უნდა ჩამოვიდეს ნოსირიდან და მე და თემურ ჩალაბაშვილი ერთ ნომერში ვთავსდებით. რაღაცებს მიყვება და ვუყვები, მოკლედ მალე ვუვებთ ერთმანეთს.

მაკარტის ნიგნი კარგად იკითხება. განსაკუთრებით მაგარია იმ ტეხასელი შერიფის მონოლოგები. სათაურიც რა კარგად დაარქვა ამ არამზადამ, ზუსტად ერთი-ერთშია.

თემური მეუბნება, მაგ ნიგნზე გამახსენდა და რამდენი ასაკოვანი კაცი დატოვებს ამ ქვეყანაში დაუფასებელიო. ნოდარ ტაბიძე მახსენდება ეგრევე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან რომ გაუშვეს. თემურის ძმაკაცი ყოფილა ნოდარი, ჩემი პირველი ნიგნის რედაქტორი. ვეუბნები ჩალაბაშვილს, მეთქი — მწერალი რომ გავხდი, დიდწილად ნოდარ ტაბიძის დამსახურებაა. შემაგულიანა, მეც დავეჯერე. მერე ნავიდა და ნავიდა, როგორც რუსულ სიცივეში არაყი.

მეორე დღეს შეხვედრებია, გადანყვეტილი მაქვს, ხმა არ ამოვიღო. ილა-პარაკონ პოეტებმა. არც ვიცი, ვინმე იცნობს ამ ხალხს? მე ნაღდად არავინ მიცნობს ბათუმში.

ვახშამზე ჩემი გამოსდელი ჭაჭა მიმაქვს სუფრასთან. დიასახლისი 45-47 წელს მიტანებული უკრაინელია. იშვიათი სილამაზის ქალია. მე ვასკენი, რომ თათრული სისხლი აქვს — სქელი ტუჩები, შავი თვალები, მუქი კანი და აშოლტ-

ილია არყის ხესავით. ქალებსაც მოწონთ, კომპლიმენტებს ეუბნებიან, დიასახლისი იფერებს.

სალამოს ეზოში გავდივარ, ორი ასაკოვანი კაცი ჭადრაკს თამაშობს. ერთს თითები არ აქვს, მეორეს ფეხები. ერთმანეთზე უარესი მოთამაშეები არიან, მაგრამ უთითებო უფრო მონდომებულია. პირველად ვნახე უთითებო ხარაზი, ბათუმში ამ მხრივაც განსხვავებულია.

ჩვენი მწერალი ქალები ზღვიდან ბრუნდებიან. რომელიღაცა ხუმრობს, ზღვა ვეძებთ და ძლივს ვიპოვეთ, იმდენი ჯიხური ჩაუდგამთ სანაპიროზეო.

როგორ ფიქრობთ, ბატონო თემურ, რატომ გვაქვს ასე ცოტა ზღვა ნანარმოებში? — ვეკითხები თემურ ჩალაბაშვილს. მხრებს იჩეჩავს და ვინცებთ ყველა იმ ქართველი ავტორის გახსენებას, ვისაც ერთხელ მაინც აქვს ნახსენები საკუთარ ნიგნში ზღვა.

2. ნიგნების ადგილი აქ არ არის

დილით საბანაოდ მივდივართ მე, თემური და ჩვენი პროექტის მძლელი გაიოზ იჩქითი, გორელი კაცი. ცურვა არც ერთმა არ ვიცი. ჩალაბაშვილს მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი და წყალს ერიდება. ისე, ცურვა არც მძლომა იცის. მე კაი, ასფალტზე სად მესწავლა ცურვა, შენ რაღა მოგივიდა სოფელში გაზრდილ კაცს-მეთქი, ვეხუმრები გაიოზს. მხრებს იჩეჩავს, სამი ბიჭი მყავს გაკეთებული, დახრჩობის არ მეშინიაო, ამბობს.

აი, ეგეთები ვართ ქართველები, ცურვა არ ვიცი, ზღვაში კი ღრმად შევდივართ. ნაპირიდან თემური ეძახის გორელს, გამოდი, ორი გურამის დახრჩობა ნამეტანი ზარალი იქნება ლიტერატურისთვისო. ასეთი ქვეტექსტების სროლა მარტო მწერალს შეუძლია. ეცინება. გაიოზი მეკითხება, ვინ გურამი დაიხრჩო კიდევო? ფეხი გამენასკვა და არიქა, ნაპირზე გამყვები-მეთქი, ვპასუხობ.

სასტუმროში მიბრუნებულებს კარგი ამბავი გვხვდება — ოთახი შეგვიცვალეს. ახალ ოთახში სკამებიცაა და უამრავი ნიგნის თაროც. მართალია, ნიგნები არსად დევს, მაგრამ თაროები უკვე კარგია.

პირველი შეხვედრა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გვაქვს. მასპინძელი ინვა გოგიბერიძეა — ენერგიული, ლიტერატურაზე შეყვარებული ქალბატონი. ჩასვლამდე Facebook-ში მომწერა. შთაბეჭდილებებს მიზიარებს მოთხრობაზე, რომელიც, როგორც წესი, ქალებს არ მოსწონთ. არის ერთი ტაშის კვრა და ამბები, მაგრამ თაროებზე ცოტა თანამედროვე ქართველი ავტორის ნიგნი დევს. არც პუბლიკას ეტყობა, რომ ახალ ქართულ ლიტერატურას იცნობდეს. თუმცა არ მიკვირს, თანამედროვე ავტორებიც არ ეცნობიან ერთმანეთის შემოქმედებას. პოეტები ლექსებს კითხულობენ და მსმენელს გულწრფელად მოწონის მოსმენილი.

ამ ბატონის, თემურ სამადაშვილის ლექსები სად ვნახო? — აღვზნებული მეკითხება აშკარად კარგი ოჯახისშვილი ქალბატონი.

ჩალაბაშვილის?

ხო, ჩალაბაშვილის.

ვუთითებ და აშკარად კმაყოფილია. გიორგი ზანგურის იდეა მახსენდება, კულტურის სამინისტროს მივმართოთ, აფიშებზე დაბეჭდოს ლექსები და ქალაქებში გამოაკრასო. რამდენი ადამიანი იპოვიდა თავის პოეტს?!

მსგავსი ხელოვნური ჩარევა ლიტერატურაში ბევრისთვის საკამათოა. ერთ ჩემ მეგობარ, კარგ ფინანსისტთან ვთქვი ადრე, რომ ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის მცირე სტრატეგიულად დაგეგმილი „მაიმუნობები“ ცუდი არ იქნებოდა. მაგალითად, კაფე-ბარებში საკითხავი კუთხეების მოწყობა, სასტუმროს ნომრებში ნიგნების დალაგება, ტელენამყე-



დასასრული

ანების მაგიდაზე ყავის ჭიქასთან ერთად წიგნის განთავსება (ცხადია, ავტორისა და ნაწარმოების ამოცნობის გარეშე, ვერა-გულ რეკლამად რომ არ მონათლონ და ეს სანყალი ტელევიზიები არ დაგვიჩაგრონ მერე), საჯარო კითხვის დღეების მოწყობა საზოგადოებრივ პარკებში (რამდენი სამუშაო ადგილი გაჩნდება თან), ან სულაც, წვირლმან დანაშაულზე მოზარდების მკითხველებად გაგზავნა მოხუცებულთა სახლებში, მაგალითად, ერთი თვით (მშვენიერი ნაუკარცერლუსო ამბავი გამოვიკვი-ვა). ხსენებული ფინანსისტი ცოტა ლიბერ-ტარიანელია, ყველაფრის ნებაზე მიშვება და თვითდალაგება ურჩევნია ხე-ლოვნურად დაფარცხნილ მსოფლიოს. მი-აჩნია, რომ წიგნების პოპულარიზაციიდან არაფერი გამოვა, რადგან ლიტერატურამ თავისი ჭირი მოჭამა და დროა, მწერლებმა სერიალების წერა დაიწყონ. რა თქმა უნდა, ისევე იქნებიან ადამიანები, ვინც დროდადრო წიგნსაც წაიკითხავენ, მა-გრამ ეს იმდენად მცირე ბაზარი იქნება მწერლებისთვის, რომ მალე კარგი ავტორე-ბი წერას თავს დანებებენ და მხოლოდ გრაფომანები და წერენ, რაც კიდევ უფრო შეამცირებს მკითხველთა არეალს, ბოლოს კი დარჩება ლიტერატურა, როგორც წარსულის გადმონაშთი, რომელსაც პერიოდულად თუ მოიკითხავს ვინმე უსაქმური, პატიმარი ან ავადმყოფი ადამიანი.

მძიმე დიაგნოზა მწერლობისთვის, მა-გრამ რას იზამ. შუადღეს არჩილ ქიქოძე ჩამოდის. ყველაზე მეტად მოხეტიალე ქართველი მწერალია. ასეთ პატიოსან ავტორს, ცოცხალს მხოლოდ რამდენიმეს ვიცნობ. წლების წინ მითხრა ერთმა მკითხველმა, ხევსურეთზე თანამედროვეობაში მხოლოდ შენ და არჩილ ქიქოძე წერთ, ის შენზე უკეთესად. რა თქმა უნდა, წავიკითხე და მომეწონა.

ოთახში ახლა სამნი ვართ, მაგრამ გვი-ანობამდე დაბრუნება არ გვინერია — ტამ-შხვედრების ციკლი გვაქვს. ვა, მაკარტის კითხვობა? — მეკითხება აჩიკო. გიომ მითხრა, ახვლედიანმა, ტეხასელი შერიფის მონოლოგები (ეგ მოგეწონებოდა შენც, ცხადია) ინგლისურად ძალიან მაგარიაო. მე მაგდენი ინგლისური არ ვიცი, მაგრამ ეს აქცენტი, ტეხასური აქცენტი მაგარი რამეაო, ამბობს.

მივდივართ ბათუმის ცენტრალურ ბიბ-ლიოთეკაში. არის ოვაციები და წუხილი, ძირითადად, ხედმეტად გლობალურ საკ-ითხებზე. აჩიკო შეკითხება, როგორ გგონია, რომელიმეს გვიცნობენ? მეთქი, შეიძლება არ გვიცნობენ, მაგრამ სიტუა-ციაა, როგორც ქალი ბიჟუტერიის მაღა-ზისთან — ოქროს ყიდვის ფული არ აქვს, მაგრამ ბრჭყვიალა ნივთი უნდა და ყიდუ-ლობს ყველაფერს, რაც იმ თანხით მოუვა, ჯიბეში რომ უდევს.

მერე გამოვდივარ მლეღვარე სიტყვით, იმდენად მლეღვარე, რომ ზღვა ცოტა წყ-ნარდება და მესმის დარბაზიდან გადაჩურ-ჩულდება — ეს ვინაა? მგონი, კულტურის სამინისტროდანაა, ან შეიძლება დეპუ-ტატი.

უხდება ბათუმურ ამბებს ცოტა მეტი სიტკბო.

საღამოს ადგილობრივი პოეტები რესტორანში გვეპატივებინან. სუფრასთან იკითხება ლექსები (ძირითადად, საკუ-თარი), ითქმება სადღეგრძელოები (ასევე საკუთარი) და ყვებიან ამბებს (ამას კი სხ-ვებისას). ბათუმური ელიტა ძველბრი-ტანულს გავს — ქალები მომხიბვლელები და ჩუმიდ სენტიმენტალურ-დეპრესიულე-ბი, კაცები დენდ-ჯენტლმენურები, ასევე სედიანები (ფარულად) და ირგვლივ ბევ-რი სიყვარულია. ალბათ, ამიტომ დადის ერთი ჩემი ნაცნობი, ბალზაკის ასაკს კარ-გა გვარიანად გადაცილებული ქალბატო-ნი ბათუმში და მხოლოდ ბათუმში. მე იქ სიყ-ვარულს ვპოვე-ხოლმეო, ასე ამბობს. ბა-თუმში სიყვარულია ქალაქია.

ღამე მორიგეობით ვხვრინავთ. სამი კაცი ერთ ოთახში ადვილად ვერ იძინებს. ორი საუბრობს, მესამე ხვრინავს — მშვე-

გურამ მეგრელიშვილი ისტატის, ნიგნებისა და აჭარული სამზარეულოს შესახებ

ნიერი მორიგეობაა. აი, ამიტომ ვერ გვერე-ოდა მტერი — პატარა ოთახები გვექონდა მეციხოვნეებს და ვერ ვიძინებდით!

3. მწერლების ადგილი აქ არ არის
დღეს შეხვედრები ხელვაჩაურში გვაქვს. რაიონულ ცენტრში, ღია ცის ქვეშ სკამე-ბია დალაგებული. ბევრი ადამიანი შეიკრი-ბა, ბათუმიდანაც ჩამოვიდა გულშემატი-ვართა ჯგუფი. სახეზე ვცნობ რამდენიმეს. მარიამ ნიკლაური ამბობს, რომ ეს გოგონა, თეონა ფუტკარაძე და მისი მეგობრები პროექტს თითქმის სულ დაყვებინან, სადაც კი მოუხერხდებათ. ვცდილობ, გამოვიცნო რა არის ამ „დევის“ მიზეზი. ლიტერატუ-რული პროცესები საქართველოში ისე მიმ-დინარეობს, რომ ძნელია, მარტივი და ლოგიკური ახსნა მოუძებნო ახალგაზრდე-ბის ჯგუფს, განურჩევლად ყველა ავტორს რომ დაყვება შეხვედრებზე.

მწერი რესურსის მქონე საბიბლიოთეკო ნიგნებს ჩვენ ჩატანილ საავტორო ეგზემ-პლარებს ვჩუქნით. ასე ქვია, საავტორო, თორემ ყველა ავტორმა იცის, რომ გამოცემული წიგნის ტირაჟის ნაწილი ავ-ტორისვე საყიდელია. „შენი წიგნი მათხოვე“, „წიგნი არ უნდა მაჩუქო?“, „გავეცნობოდი თქვენს შემოქმედებას!“, „ვეძებ და ვერსად ვპოულობ თქვენ წიგნს, არადა, ისეთი გუ-ლით მინდა წაკითხვა“ და ასე შემდეგ ფრა-ზები იმდენად სტანდარტულია, რომ ჩამოთვლადაც არ ღირს. მე ჩვევად არ მაქვს საკუთარი წიგნების გაჩუქება, ვიცი, რომ ავტორის მიერ ნაჩუქარ წიგნს ნაკლე-ბად კითხულობენ. მხოლოდ იშვიათ შემთხ-ვევაში ვჩუქნი საკუთარ წიგნს, თორემ ზოგადად წიგნის გაჩუქება სასიამოვნო პროცესია, მგონია, რომ რაღაც რიტუალ-ივითაა — ენერჯის გადაცემა, საერთო სააზროვნო სივრცეში მოქცევა და ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანება ხდება.

ხალხს ვაკვირდები. საქართველოში ბევ-რი მოგზაურობა მიწვევს სამსახურიდან გა-მომდინარე, ისედაც ძალიან მიყვარს ხეტია-ლი და ჩვევა მაქვს — ადგილზე ჩასული იქაურ წყალს ვსვამ და ხალხს ვაკვირდები. ჩემი წიგნი ნარმოდგენები მაქვს, კუთხეების მიხედვით სად რა ტიპის ადამიანები ცხ-ოვრობენ, რამ გამოიწვია მათი ფუნოტიბის ამგვარობა და ხასიათის იმგვარობა. ხალხზე დაკვირვება ბავშვობიდანვე მიყ-ვარდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ბავშ-ვობაში ადამიანები გაცილებით ლამაზები მეჩვენებოდნენ. ბუნებრივი სილამაზე მთის ხალხში უფრო მეტია. ბევრი ამას გენე-ტიკური მუდრეველობით ხსნის, მე მგონია, რომ ეს მიზეზი არაა, საქართველოს დღემ-დე მოსვლის მთავარი მიზეზი სწორედ ნებით თუ უნებურად გენეტიკური გახსნი-ლობა იყო. ვახუშტი ბაგრატიონი უნდა გა-დავიკითხო, მასზე დიდი მეცნიერი ცოტა გვეყოლია ქართველებს.

ვუსმენთ ადგილობრივ პოეტებსაც. ისი-ნი წუხან, რომ დედაქალაქში თითქმის არ ბეჭდვენ. მე ვამშვიდებ, რომ ჩვენც ცოტას გვბეჭდავენ, მაგრამ რეალურად ისაა, რომ თუ დედაქალაქში არ გადასახლდა ადამი-ანი, ყურადღების ცენტრში ძნელად ექცე-ვა, მაგრამ გადავა და მერე შეიძლება უმიზ-ეზოდ აიტაცონ, აქ მეორე უკიდურესობაა — თითქოს პროვინციიდან ჩამოსვლა და სოფელზე წერა იყოს მთავარი მოვლენა ლიტერატურაში.

გუმინ ერთი ძალიან კარგი ავტორი შემე-ვდა, ქარდა ქარდუხი. არც ვიცოდი, ბათუმ-ში თუ ცხოვრობდა, აფხაზეთიდან იძუ-ლებით გადაადგილებული მწერალია. ისიც წუხდა, რომ ბათუმში დაბეჭდება უფრო უხ-ერხდება, ვიდრე დედაქალაქში.

ხელვაჩაურელები გვეკითხებიან რამე-დენი ავტორია „ცოცხალი წიგნების“ პროექტში აჭარიდან. ყველანი მარიამს ვუყურებთ, მან იცის ასეთი დეტალები. საქართველოს შინაგანი მთლიანობა ჯერ კიდევ აკლია. შვეიცარიაში, სადაც სხვა-დასხვა კანტონებში სხვადასხვა ენაზე



ლაპარაკობენ, შინაგანად უფრო სოლი-დარულები არიან ერთმანეთის მიმართ, ვიდრე ჩვენ. ასე მეჩვენება და გული მწყ-დება. ის კი არა, ქედა, შუახევსა და ხულოს შორისაც კი ისეთი შინაგანი ნინალობა-გობა და შეჯიბრება, რომ მეტი არ შეიძლე-ბა.

საღამო თავისუფალი გვაქვს. მე ბა-თუმში სასაქონოდ მივდივარ. ჯიბივსი მაქვს, ამიტომ ვიცი — არ დავიკარგები. გადანყვეტილია, იმ კაფეში დავეჯდები, სადაც მხატვრული ლიტერატურა ექ-ნებათ. რასაკვირველია, ამას ფარული პროტესტისა თუ სოლიდარობის გამო ვა-კეთებ. დიდი ხანი დავდივარ. მომსახურე პერსონალი ცოტა უცნაურად მიყურებს, როცა შევხდები ცოტა და ვეკითხები, აქვთ თუ არა სადმე ადგილი, სადაც წიგნები ულა-გიათ.

სადაც სტალინის ქუჩისკენ ვაწყდები ერთ ადგილს, თარო აქვთ, წიგნებიც, მა-გრამ ერთი მხატვრული ნაწარმოები არ დევს.

ყავის გარეშე დარჩენა დიდად არ მინ-და და დათმობაზე მივდივარ — ილუსტრ-ირებული „ბათუმი“-ც ხომ წიგნია, არა?

4. ლიტერატურის ადგილი აქ არ არის!

ზღვაზე დამსვენებლებს ჭირის დღესავით რაც ეჯავრებათ, სწორედ ის მიყვარს მე, როცა ზღვისპირა ქალაქში ვარ, მაგრამ წვეთი არ გადამვარდნილა, რაც ბათუმში ჩამოვედი.

მთელი სამი დღე ნორმალურად არ გვიჭამია, ბათუმის საოჯახო სასტუმროე-ბი დამსვენებლების ნონასა და კუჭის სწორ მოქმედებაზე ზრუნავენ და წინიბურას დიეტაზე ამყოფებენ, უნდათ მათ ეს თუ არა.

პირველი შეხვედრა მუხახეტატეს სა-ზოგადოებრივ ცენტრში გვაქვს (ეს პროექ-ტი იუსტიციის სამინისტროს წამოწყებაა, ევროკავშირის დაფინანსებით ამერებულია და ნათელი წერტილია ყველა იმ სოფელ-ში, სადაც არის), მეორე — ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. დრო საკ-მარისზე მეტია.

რალაც გაურკვეველი დასახელებისა და რეპუტაციის სასადილოში შევდივართ. არჩილმა ლამის მთელი საქართველოს მასშტაბით იცის, სად როგორი საჭმელი იჭმევა (ეს დღეებია სასაცილო ამბებს გვიყვება მისი კულინარიული თავგადასავ-ლების შესახებ) და ეს ადგილიც მისი ნაპოვნია. ბევრი არაფერი დევს — აჭარუ-ლი დაწული ყველი, ბორანო, კაიმალი, მალახტო (ისრიმიანი), იახნი, აჩმა, სინორი და, რალა თქმა უნდა, აჭარული ხაჭაპური. კაცები კარგად ვნაყრდები, ქალები წუ-ნუნებენ, უთენია ჭამა რა არისო და ქვიშაზე მოდულეულ ყავასა და ბაქლავას აგემოვნებენ.

თემური მეკითხება, შენი გამოხდლი

ჭაჭა თუ დაგრჩაო. სანამ ვუპასუხებ, უარს ამბობს დაღევანზე, ახალი ნაოპერაციები გული მაქვსო.

მუხახეტატეში ადგილობრივები საინ-ტერესო ისტორიას ყვებიან საკუთარი სოფლის ტოპონიმიკაზე. ვილაც ესტატე ყოფილა, ადამიანებით მოვაჭრე, გურული კაცი (გურული რომაა, ეს ამ სოფელში ნიშანდობლივია, აქაურები უფრო აჭარ-ლობენ). სოფლის ადგილას ადრე ტყე და შუაგულში დიდი მუხა მდგარა, რომელიც ტყვეთა გადაცემის საიდუმლო ადგილი ყოფილა. ერთხელაც ესტატეს ბავშვი მოუტაცია და ხის ძირას დაუბამს. ტყვეთა მსყიდველი ოსმალო თუ ირანელი (ალბათ, უფრო ოსმალო, ახლანდელ გეოპოლიტი-კას თუ გავითვალისწინებთ) არ მისულა დანიშნულების ადგილას. დაავიწყდა, დაეზარა, იქნებ მოკლეს კიდეც. ბავშვი მონადირეს უპოვია მისაგებებული. ბოლო სიტყვები, რაც საცოდავს სიკვდილის წინ უთქვამს — „მუხა“ და „ესტატე“ ყოფილა. ამას მოყვა ამბავი, რომ ესტატემ სიკვდი-ლის წინ შეინანა და რომ კიტელის ქვეშ ჯვალის პერანგი ეცვა და მსგავსი ამბები, როგორც ხდება ხოლმე, სოფელს კი მუხ-ავესტატე დაერქვა.

არადა, მარიამ ნიკლაურს უკეთესი ვერსია ჰქონდა, რომელიც წმინდა ეს-ტატეს, მუხის, როგორც ქრისტიანული და წარმართული სიმბოლოს ნაზავს და ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიურ ნიაღვრებს უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ვერსია დარ-ჩა ჩვენ ჯგუფში.

მუხახეტატეში სულ ნარჩევად ლამაზი ბავშვები გვხვდებიან. მანანა დუმბაძე სამჯერ აღნიშნავს ამას. ამიტომაც იტა-ცებდნენ ჩვენ შვილებსო, ამაყად ამბობს ერთი მშობელი. აი, ქართულ მწერლობაში კი მოიკოჭლებენ. რატომ არაფერს კითხ-ულობთ, ვეკითხები სტანდარტულ კითხ-ვას შეკრებილებს. მხრებს იჩეჩავენ, ერთი მათგანი კი ბავშვური სიალაღით ამბობს, ლიტერატურის დრო ჯერ არ არის, ვსწავ-ლობთო. სკოლებში ლიტერატურის ადე-ილი ზოგადად არ არის. ვასწავლიდი ორი წელი და ვიცი. ამ ორმა წელმა ბევრი მას-წავლა მე თვითონაც და მალე წიგნსაც დავწერ იმაზე, როგორი ტექნიკით უნდა შევავაროთ ბავშვებს კითხვა.

ქობულეთში დროზე ადრე ჩავდივართ. როგორც ჩანს, მძიმე ტურისტული სეზო-ნის გამო ან რალაც გაუთვალისწინებელი მიზეზით, ყველას გამორჩა, რომ მწერლე-ბი ესტუმრნენ ქალაქს. მარიამი მსუბუქად საყვედურობს ორგანიზატორს და პასუხ-ი მკვახთა — ყველას ჩვენი საქმე გვაქვს. ლიტერატურის დროა?

ეს წამიერი ქართული ამბავია, მერე ვინც კი იკრიბება (და ბევრნი შეგროვდ-ნენ) გულწრფელი ინტერესით უსმენს ყვე-ლა გამომსვლელს. მე სათქმელი, როგორც სხვაგან ბევრგან, ცოტა მაქვს. საკუთარ ინიციატივას ვახმოვანებ — იქნებ ყველა საოჯახო სასტუმრომ ნომრებში წიგნები დააღაგოს. ეს სერვისის ამაღლებაშიც ჩა-ეთვლებათ და ლიტერატურისთვისაც (რომლის ადგილიც ძნელად მოიპოვება თანამედროვე ცხოვრებაში) კარგი დახ-მარება იქნება. პირობა დადებულია და გაისად უწინგნობ სასტუმრო სახლს ქობ-ულეთში ვეღარ ნახავთ.

თბილისში დაბრუნება ყველას ერთ-ნაირად გვეჩქარება. ოჯახებში, ტელევი-ზორთან, კომპიუტერთან თუ საკუთარ თავებთან განმარტობა ყველას ერთნაირ-ად გვინდა. განსაკუთრებულად კარგი სა-ცურაო აუზი და მანანა დუმბაძის გურუ-ლი პატივიც კი ვერ გადაგვაფიქრებინებს.

ცოტა არ იყოს, დავილაღე ამდენი ლიტერატურით და ულიტერატურობით, ქიზიყური ალალობით ამბობს თემურ ჩა-აბაშვილი.

დედაქალაქში გვიან ღამე ვბრუნდებ-ით. არ ვიცი, გაისად რა იქნება. გაგრ-ძელება თუ არა „ცოცხალი წიგნების“ ამბები. დარჩება თუ არა ლიტერატურ-ისთვის ცოტა მეტი ადგილი მზის ქვეშ, ვი-პოვი თუ არა ერთ მკითხველს მაინც, ვისაც ჩემი დაწერილი წიგნი ექნება წაკითხული, მაგრამ წელს მე ძალიან კარგი მწერლები გავიცანი.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772 346 794004